

K269.661

3



# ქართული მუსიკის ისტორია

სოხუმის ლევსიაგი გარემონტაჲ



პროც. ქ. გერესია-გერე

ქართული მუსიკის ისტორია გამოიცა 1985

თბილისი 1985

Ամէն մարթ չի կանա խըմի իմ ջուրըն՝ ուրիշ վըրէն է.  
 Ամէն մարթ չի կանա կարթա իմ գիրըն՝ ուրիշ գըրէն է.  
 Բունիաթս ավազ չիմանաս՝ քարափ է, քարուկըրէն է:  
 (Սայաթ-Նովա, 8,4)

Ազելաս գալլեցա առ մալուծ ჩյօմօ Ռյոլօს, — և զա Ռյալօ!  
 Ազելաս Շայոտხցա առ մալուծ ჩյօմ ճաֆէրտ, — և զա շալօ!  
 Շոժէց յցոშա առ ցըցոնօս, — յցոտյօնո ձա և օլօ!  
 (Տաօտնոցա եռթեղործ լոյժես 8,4)

ს ა ბ ა რ თ ვ ე ლ რ
პ ა რ ბ ა მ ე ნ ტ ი
ც ა რ 3 6 უ დ ი
ბ 0 8 ლ 0 0 3 0 9

## წინასით ჟურნალი

საიათნოვას შესახებ ბევრი რამ არის დაწერილი, ბევრი იწერება<sup>1</sup> და ბევრიც დაიწერება. უმთავრესად იწერება სომხურ და ქართულ ენებზე.

სომხურად, სხვათა შორის, პიესაც კი არის შეთხეული მხატვარ გიგო შარბაბჩიანის მიერ სათაურით „ხალხის ნოქარი (საიათნოვა)", რომელიც, როგორც ერთ-ერთ განეთის რეცენზენტმა<sup>2</sup> სამართლიანად აღნიშნა, „ტფილისის სომხურ სახელმწიფო დრამის მიმართ სახანძრო რაზმის ანუ სასწრაფო დახმარების კარეტის როლს ასრულებს". და მართლაც, „როდესაც რომელიმე მორიგი დადგმა რაიშე მიზეზის გამო გადაიდება, „ხალხის ნოქარი" მორჩილი მხლე-ბელის დამახასიათებელი თავაზიანობით შეცვლის ხოლმე მას"; აგრეთვე „როდესაც სეზონის გახსნის შემდეგ თეატრში სიარულის ტემპები სასურველ კალაპოტში ვერ ჩადგება ხოლმე და დრამის სალაროს პირი ეწვის თვისი სიცალიერის სირცხვილის გამო,— „ხალხის ნოქარი" ამაყად გამოდის ასპარეზზე და, თავს უყრის ათასეულ მაყურებელს". როგორც იგივე რეცენზენტი სამართლიანად აღნიშნავს, ასეთი ფართოდ გამომელავნებული მასიური სიმპატია „ხალხის ნოქარი"-სადმი იმით კი არ აიხსნება, რომ პიესას თვალსაჩინო მხატვრული ღირსება ჰქონდეს, არამედ საიათნოვას დიდი პოპულარობით.

რაც შეეხება საიათნოვას პოპულარობას, ჩვენ გვეონია, რომ იგი მარტო იმით კი არ უნდა აიხსნას, რომ საიათნოვა 3 ან 4 ენაზე თხზავდა ლექსებს, ე. ი. სომხურად, ქართულად და თურქულად, ან სომხურად, ქართულად, თურქულად და სპარსულად (ზოგჯერ სამივეზე

<sup>1</sup> როგორც ეს წინასიტყვაობა, ისე მომღევნო შესავალი წაკითხულ იქნა მოხსენებად, სათაურით „საიათნოვას სამოცი ლექსი“, ტფილისის სახ. უნივერსიტეტის ძევლი ქართული ლიტერატურისა და კავკასურალმოსავლურ ენათა და ლიტერატურათა კათეტრების გაერთიანებულ საჯარო სხდომაზე 1934 წ. 11 იანვარს.

<sup>2</sup> ის. ჩვენი ნაშრომები საიათნოვას შესახებ: საიათნოვას ვინაობა. კრიტიკულ-ბიოგრაფიული ეტიუდი. ტფ. 1930; საიათნოვას შემოქმედების ლიტერატურულ-ხალხური წყაროები,— „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ I, 1935, გვ. 232—254; აონა ხელაშეილი სომხეთში და საიათნოვა (იბეჭდება); და სხვა.

<sup>3</sup> იჩ. გას. „პროლეტარ“ (სომხ.), 1933 წ. 29 XII, № 299.

ან ოთხივეზე ერთად), — ვინაიდან მასზე წინ, ჯერ კიდევ მე-XVI საუკუნეში, გრიგოლ პატარელიც თხზავდა ლექსებს 3 ენაზე: სომხურად, თურქულად და სპარსულად, მაგრამ მან მაინც ვერ მოიპოვა საიათნოვასებური სახელი, — არამედ უმთავრესად იმ მხატვრული მაღალი სახეების გამო, რომლითაც უმთავრესად სომხური და თურქული ლექსები გამსჭვალული, და საზოგადოდ იმ დღმოკრატიული სულისკვეთებით, რომელიც მის მუზას ახლავს, როგორც პოეზიას ხელოსანთა იღეოლოგიისას.

სამ ნაკუშად ქცეული საიათნოვას სხეული მომავალში სომხურქართული ფილოლოგიის კომპეტენციის საზღვრებსაც გასცილდება. მისი კვლევის გარდამავალი დროშაც სწორედ მაშინ იმ მკვლევარის ხელში გადავა, ვანც ამისათვის უფრო მეტად მოწოდებული აღმოჩნდება. და ამრიგად ეს კვლევაც სომხურ-ქართულ-თურქული ფილოლოგიის სავნად გადაიქცევა, უკეთ რომ ვთქვათ, თურქულ-სომხურქართული ფილოლოგიის, რამდენადაც საიათნოვას თურქული ლექსების რიცხვი (115) სომხურისა და ქართულის საერთო ჯამს აღმატება ( $60+30=90$ ).

ხოლო „მთლიანი საიათნოვა“, — აშ განსვენებული სომეხი პებლიცისტ-ისტორიკოს ლეონ არაქელ ბაბახანიანის კილოთი რომ ვთქვათ<sup>1</sup>, — ჩვენს წინაშე წარმოდგება მხოლოდ მაშინ, როდესაც, ერთის მხრივ, ქართულად — ქართულ ლექსებთან ერთად სომხური და თურქული ლექსების თარგმანიც გვეძნება, მეორეს მხრივ — სომხურად — სომხურ ლექსებთან ერთად ქართული და თურქული ლექსების თარგმანიც, დაბოლოს, თურქულად — თურქულ ლექსების თარგმანიც<sup>2</sup>.

რამდენადაც საიათნოვას თურქული ლექსები ჯერჯერობით ვამოქვეყნებული არაა, ხოლო ქართული ლექსები სომხურად უკვე ვადათარგმნილია ვერაგ მურადიანის მიერ<sup>3</sup>, ჩვენ მორიგ ამოცანად დავისახეთ იმავე საიათნოვას სომხური ლექსების გადმოქართულება. ეს ადვილი საქმე არ იყო, ვინაიდან საიათნოვას სომხური ლექსები შეთხზულია არც ძველი სალიტერატურო სომხური ენით (ცრაბარით), არც ახალით (აშხარაბარით), რომელიც მე-XVIII საუკუნეში არც იყო ჩამოყალიბებული და გამართული, არამედ — ქართულ-თურქულ-არაბულ-სპარსული ლექსიკით გაქცენთილი სპეციფიკური ტფი-

<sup>1</sup> ლ ე თ, საიათნოვას საკითხი, სომხ., გან. „ხორ. ჰაიასტა“ 1926 წ. № 2.

<sup>2</sup> ზერ. თიფან ტაბაძე, საიათნოვა, — „ლიტერატურული განეთი“ 1934 წ. 6. XII. № 28; იგივე სომხურად, გან. „პროლეტარ“ 1934 წ. 10. XII № 283.

<sup>3</sup> რამდენადაც ვიცით, 1930 წელს გადაგზავნილია სომხეთის სახელგამში დასაბუძდად.

ლისის სომხური (სეიდაბალისეულ-კლდისებნისეული) დიალექტით, რომელმაც ჩვენ დრომდე მოაღწია და ჩვენს ოვალწინ საგრძნობლად იცვალა სახე, რამდენადაც საიათნოვას პირველი მკლევარის გვორგ ახვერდიანის ენა (მე-XIX საუკუნის შუა ხანებში) უკვე განსხვავდება საიათნოვას ენისაგან, შემდევ—ახვერდიანის ენისაგან განსხვავდება დრამატურგ გაბრიელ სუნდუკიანცის და მის თანამეტროვე ზოვიერთი მწერლის ენა (იმავე მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში), დაბოლოს—უკანასკნელთაგან განსხვავდება იუმორისტ ბუღლან ერიციანის და საერთოდ უურნალ „ხათაბალა“-ს ირგვლივ თავმოყრილი წრის ენა (მე-XX საუკუნის დასაწყისში).

ხოლო თუ რამდენად ჩვენი ამოცანა ქართველი მკითხველი საზოგადოების წინაშე პირნათლად შევასრულეთ, დევ თვით ამ საზოგადოებამ შეაფასოს. მთოლოდ ვიტყვით, რომ ჩვენ შევეცადეთ მოგვეწოდებია, შეძლებისდაგვარად ლექსთაწყობის კანონების დაცვით, ისეთი თარგმანი, რომელიც ახლოს იდგებოდა სომხურ დედამითან და, ამასთანავე, მის სპეციფიურობასაც გამოხატავდა.

რაც შეეხება საიათნოვას ლექსთა შეფასებას არსებითად შინაარსის მხრივ, ასეთი მოცემულია შესავალ წერილში: „საიათნოვას შემოქმედების ლიტერატურულ-ხალხური წყაროები“ (იგივე:—ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტ. I, 1935, გვ. 232—254), ხოლო მისივე ბიოგრაფია ის. ეტიუდში: „საიათნოვას ვინაობა“, ტფ. 1930.

\* \* \*

საიათნოვას სომხური ლექსები პირველად გამოიცა მოსკოვში 1852 წელს გვორგ (იური) ახვერდიანის მიერ, თანახმად იმ ხელნაწერი დავთორისა, რომელიც ამჟამად ერევნის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული საიათნოვას სახელობის სპეციალურ კარადაში. ამ პირველ გამოცემაში მოთავსებული იყო სულ 46 ლექსი.

თუ რა ტირაჟით იყო გამოცემული ეს ლექსთა კრებული, არაა ცნობილი. მიქ. ნალბანდიანის ახლახინ გამოქვეყნებული საარქეოლ მასალებიდან კი ვტყობილოთ, რომ იგი (ლექსთა კრებული) უკვე 1863 წელს საძებარი ყოფილა პეტერბურგში და მასზე თვალსაჩინო ჭომებ მოღვაწეს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია: „საიათნოვას სიმღერათა კრებული, —მბომბ მ. ნალბანდიანი 1863 წ. 12 აპრილის თარიღით თავის ძმისადმი მიწერილ წერილში (იხ. ე. შაჰაზიზის გამ., ერევანი 1932, გვ. 274—275),—დაწერილია სერიოზულად, განსაკუთრებით იმ კილოთი, რომლითაც საქართველოს სომხები საუბრობენ“, და შემდევ დასტენს: „საიათნოვას რომ ამბობენ, ეგე 1853 ან 1854 წელს (sic. ლ. მ.-ბ.) მოსკოვში დასტამბული საქმაოდ მოზღიული წიგნია, რომელშიც მოთავსებულია იგრეთვე იური (გვორგ) ახვერდიანის გამოცემადა

ხსენებული კილოს შესახებ. ვიშეზოვნებ, რომ შენ უკვე მონახული გექნება ის, რასაც გთხოვ“, და სხვ.

1882 წელს ტფილისში, სომხურ წიგნთა საგამომცემლო საზოგადოებამ გამოსცა ცალკე წიგნად ზემოაღნიშნული 46 ლექსიდან 20, პატარა წინასიტყვაობით.

1885 წელს ტფილისშივე გეორგ ტერ-ალექსანდრიანმა გამოაქვეყნა საიათნოვას 2 ახლად ოღმოჩენილი ლექსი—ჯერ უურნალ „არძაგანქ“-ში (№ 1), შემდეგ კი კრებულში „ტფილელ სომებთა გონგბრივი ცხოვრება“ (გვ. 39—40).

1903 წელს ტფილისის სომებთა საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანოს „აზგაგრაკან ჰანდეს“-ის (ეთნოგრაფიული უურნალი) მე-X წევნში მოთავსებულ იქმნა გეორგ ტერ-ახტვაწატრიანის (გეორგ ასატურის) პატარა წერილი სათაურით „საიათნოვას უცნობ სიმღერათაგან“ (გვ. 94—112), საღაც მოტანილი იყო საიათნოვას სომბურ სომლერითაგან ახლად ნაპოვნი 8 ნიმუში და 3 ახალი ვარიანტი, თანახმად პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის სააზო მუზეუმის ხელნაწერისა Georgica № 222.

1912 წელს ტფილისის გახეთ „ქუვკასი ლრაბერ“-ის (კავკასიის მოამბე) № 36-ში გამოქვეყნდა საიათნოვას კვლავ 2 უცნობი ლექსი.

1914 წელს სომხე მწერალთა კავკასიის საზოგადოებამ, პოეტ ო. თუმანიანის თაოსნობით, ხელმეორედ გამოსცა საიათნოვას სომხური ლექსების კრებული იმავე წინასიტყვაობით, რომელიც მას უძღვნა გეორგ ახვერდიანმა, და გეორგ ასატურის მიერ გამოქვეყნებული 8 ლექსის დართვით, სულ, მაშასადამე,  $46+8=54$  ლექსის რაოდენობით, ხოლო მოლოში მოაქცია „ლექსიკონი“.

1922 წელს გეორგ ასატურმა ეჯმიაწინის სამეცნიერო ინსტიტუ წის მოამბეში (№ 1—2) მოთავსებულ თავის წერილში „საიათნოვას ხელნაწერი დაფარი“ გამოაქვეყნა საიათნოვას კვლავ 1 უცნობი ლექსი.

1924 წელს გეორგ ბაშინჯალიანმა ტფილისის გახეთ „მარტა-ქოჩ“-ის № 181-ში, შეეხმ რა საიათნოვას თურქული ლექსების საკითხს, გამოაქვეყნა საიათნოვას კვლავ 1 უცნობი ლექსი.

დაბოლოს, 1932 წელს ერევანში გარევინ ლევონიანმა კვლავ გამოსცა საიათნოვას ლექსთა კრებული, რომელიც თავი მოუყარა როგორც გ. ახვერდიანის მიერ გამოცემულ 46 ლექსს, ისე გ. ასატურის და სხვა პირთა მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ 13 ლექსს, რომელსაც დაურთო თავის მიერ აღმოჩენილი კიდევ 1 სომხურ-თურქული ლექსი, მაშასადამე, სულ 60 ლექსის რაოდენობით. თვით კრებული გამოიკა პ. მაკინციანის წინასიტყვაობითა და გ. ლევონიანის გამოკვლევით, შენიშვნებითა და ვარიანტების ჩვენებით, ლექსიკონითა და ბიბლიოგრაფიითურთ.

յև սպանասընելու ցամուքի մա, հռմելու սաղսավաճ շւգը ի հայեց հայեց տարշանես, ցամոյքայնեցնելու թեմացի ցըպելու սատաղութ: „Սաօտնոցա. Սոմեսյր Սոմլերատա սրալու կրեծնելո. Ց. լուզոնօնօնօն Շեսացալու թյուլութ, Շենօնցնեցնութ լոյժսոյոնութ և հեծայիւթութ: Վոնասուցամբա-[Շեսացալու] թյուլու ծովու մայօնցունօնօն: 46 Սոմլերա Ց. աչքերածունու ցամուքմիւնան, 8 Սոմլերա Ց. ասագուրուն ցամուքմիւնան, 6 Սոմլերա սեցածսեցա Վյարուտացան”; Սուլ 196 ցըրածու (Թատ Մորու 1—12 Ց. մայօնցունու Վոնասուցամբա, 15—72 Ց. լուզոնօնօնու ցամոյքալուց, 77—150 Եցու լոյժսցնու, 153—177 Շենօնցնեցնու և ցարունութեցնու, 180—189 լոյժսոյոնու, 190—194 Ցունացարացուա).

Եցու լոյժսցնու հայեց տարշաննու մուրանունու օմազ նշմերացուութ, հռցորաց Ց. լուզոնօնօնու ցամուքմանու: 1—60. յրտաճ - յրտու լոյժսու № 52, հռմելու անմանու-յեցնա-ս- Վարմուացցենու և հռմլուս պաունուսաց յարտուլուաճաց արսցնունու (Օ. ցրութացունու ցամուքմիւն, Ց. 62), հայեց մոյր արաւ ցալմոյքարտուլուցնելու, հալցանաւ մոսու տարշան Շյունցնեցնունու: Ամ Շյունցնեցնաշու հայեց մեռլուճ ցյմապոտուլութեցնութ քուտ, հռմ պացցելու ասու Ցունասունու ցշինցնեցնու մի Սոմեսյր Սուցան, հռմէնութ Շեսացյերունու սրուու օվայցնու, հասացուրացնու, ամ Տուցանու յարտուլու տարշանու մուրանութ: Մե-եա լոյժսու ալգցնունու Ծայ-քեցնու և սրուուցնու ցածասմութ: Ամուրմաւ արուս, հռմ ամ լոյժսու մարշանու Շեսացյերունու ցուուրեցնութ նահյենցնու մզելու ալնացունու հոցո: Մե-44 լոյժսու (Հանջուլ-լամա) ցապոտունու 5 ցանյուունու ալգցնունու Ծայ-քեցնու և 1 առանց տրուունու Ծայ-քեցնու: Պացցելու լոյժսու ծովունու մուրանունու post-scriptum-ու Սաօտնուցան լոյժսու որուց լաւուրունու մոսեցուու, հռմելուացան յրտու (A) Եցու Սաօտնուցան 1765 Վլուս տարունութ (Ժապուլու յրացնու մունցնեցնու), եռլու մեռու (B) Սաօտնուցան Վլուս ոյան Սյունունու 1823 Վլուս տարունութ (Ժապուլու լոյժնունցրաճս Սամյունուրու պյառեցնունու ալմուսացլութ-մըունցնունու: Օնսըութունու, Կ. Սաանու մունցնեցնու Georgica № 222). Ամսատանաց, ոյ հռմելում լոյժսու հուսալուաճաւ արուս նատարշնու, Շենօնցնաշու նահյենցնու Շեսացյերունու ցամուքմա ցայրեցնունու ալնուսեցու<sup>1</sup>.

Լոյժսցնու հայեց մոյր ցալմոյքարտուլուցնելու պայլա Անոմիւնու ցարունութեցնունու ցատցալունունունութ<sup>2</sup> և, սագաւ Շեսանցնեցնունու ոյս, գանցնեցնունու ալգունունու ալգցնունութ, հոտու, ցոյզրութ, եռլու Շյալունունու

<sup>1</sup> Վայունունունու: Վ. Բ ր յ ս օ վ, Պօէզիա Արմենի, Մոսկվա 1915; Ս. յ. Ռ ա բ տ ի, Արմանական պատմութեան 1916 (Վ. 1), Տիֆլիս 1917.

<sup>2</sup> յրտու ամացանու (№ 15) ցամոյքայնեցնունու հայեց նամանմանու Սաօտնուցան, Ց. 99—100, ծովու յրտու կուռաց (Կ. 50) Ց. ասագուրուն մոյր սպանացան տարշան-Ցու, 1934 Վ. № 17.

საიათნოვას ლექსთა იმ ადგილების გავებას, რომელიც დღემდე შოუხერხებელი იყო; ამასთანავე გაადგილებული იქნება ამ ლექსთა კრებულის ხელახალი გამოცემაც.

საიათნოვას სომხური ლექსები სხვადასხვა ზომითაა დაწერილი, რომელთა რიცხვი 11-ს აღწევს. მისთვის ყველაზე საყვარელი ზომაა, — როგორც გ. ლევონიანიც სამართლიანად ონიშნავს (გვ. 58), — მუხამბაზი, რომლითაც შეთხულია სომხურ ლექსთა თითქმის ნახევარი (31). შემდეგ მოდის ლოშმა (12), დიუბეით (6), ჯინჯილ-ლამა (2), დივანი (2), რუბია დივანი (2) და სხვ. ამ ლექსთა ზომისა და თვისებათა დაწერილებითი დახასიათება მოცემულია იმავე გ. ლევონიანის წიგნში (გვ. 58—59), ამიტომაც აქ აღარ ვიმეორებ. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ საიათნოვას ყველა ლექსების გაღმოქართულება იმავე ზომით, როგორც იყი სომხურ დედანშია, ყოველთვის ამ ხერხდებოდა. აქ დართულ პირველ ტაბულაში მოცემულია ნუსხა საიათნოვას სომხური ლექსების ზომისა (მარცვალთა ჯამის აღნაშვნით) ისე, როგორც იყი მოცემულია დედანში, გვერდით კი ნაჩვენებია ჩვენი თარგმანის ზომა. მეორე ტაბულაში კი მოცემულია იმავე ლექსთა ქრონოლოგიური მაჩვენებლები.

\* \* \*

საიათნოვას სომხური ლექსების გაღმოქართულებისა და თვით ამ კრებულის გამოსაცემად დამზადების საქმეში სხვადასხვა განმარტებებითა და დახმარებით ხელი შემიწყეს დოკ. 6. კეცხველმა, დოკ. ილ. აბულაძემ და ალ. კობახიძემ, რომელთაც გულითად მაღლობას მოვასხენდა.

ლ. გ.-ბ.

ტფილისი.

11/IV. 1935.

P. S. ახლახან ერევანში გამოიცა საიათნოვას ზოვიერთი სომხური ლექსები ნოტებით, დამუშავებული სარგის ბარხუდარიანის მიერ (საიათნოვა, სიმღერები. დამუშავება სარგის ბარხუდარიანისა, ეրევანი 1935, გვ. 1—52), სადაც მოთავსებულია შემდეგი ლექსები:

№ № 5, 15, 33, 10, 20, 8, 42 და 24.

I

Սահատնոցատօ	Բցջնութ	Սահատնոցատօ	Բցջնութ
1—16	{ 8 7	31— 11 32— 16	15 18
2— 12 (II Ը. 8)	15	33— 8 (6,5)	7(7,7)
3— 11	15 (14)	34— 16	15
4— 16	16	35— 16	15
5— 16	15	36— (15)8	(8)8
6— 8(16)	15		(8)
7— 11	11	37— 16	15
8— 16	15	38— 16	15
9— 16	15	39— 16	16
10— 8	8	40— 15	15
11— 16(7,7)	15 (8,7)	41— 16	15
12— 11	11	42— 15(15)	15 (7)
13— 16	15		(7)
14— 16	15		(7)
15— 8(3,3)	8 (4,4)	43— 16 44— 8	16 7
16— 11	15	45— 14 (11)	15(8)
17— 14—16	15	46— 8 (6—8)	7 (7)
18— 16	15	47— 16	16
19— 16	15	48— 16	16
20— 11	{ 7 7	49— (16)8 } 8 }	15
21— 16	15	50— 16	15
22— 15—16	15	51— 14—15	15
23— 15	15	52— 10—12	—
24— 8 (15) 8 }	15	53— 11 54— 11	11 15
25— 16	15	55— 16	15
26— 16	16	56— 11	15
27— 11	15	57— 11	15
28— 16	15	58— 15	15
29— 15	15	59— 14	15
30— 16	15	60— 15	15

		II	
1—	1759	31—	—
2—	—	32—	1758
3— 1 მაისს	1753	33— მარტს	1752
4—	1758	34— აპრილს	1759
5—	1758	35— მარტს	1759
6— 5 აპრილს	1757	36— 5 აპრილს	1757
7—	—	37—	1759
8—	1753	38— 6 სექტემბერს	1758
9—	—	39—	1755
10—	—	40— 1 მარტს	1754
11—	—	41— 9 ოქტომბერს	1758
12—	—	42— 2 მაისს	1757
13—	1759	43—	1758
14— ივნისს	1758	44—	—
15—	—	45—	1753
16—	—	46— 10 მაისს	1758
17—	—	47—	—
18—	—	48—	—
19— 1 აპრილს	1754	49—	—
20— 3 სექტემბერს	1756	50—	—
21—	1758	51—	—
22—	1758	52—	—
23—	—	53—	—
24—	—	54—	—
25—	1758	55—	—
26—	—	56—	—
27—	—	57—	—
28—	1759	58— [post 1751]*	—
29—	—	59—	—
30—	—	60—	—

\* ჩვენი გამოაწეარი შემით



შესავალი

## საიათოვას ჯემოქმედების ლიტერატურულ- ხალხური წესრიგი

საკითხის ასეთი დასმით ჩვენ მიზნად ვისახავთ, შეძლებისდა-  
გვარად, აენუსხოთ ყველა ის ლიტერატურული წყაროები,—როგორც  
მუშაობითი, ისე ზეპირსიტყვეობითი ანუ ფოლკლორული, — რომ-  
ლებიც ასეთუისე ნაგულისხმევია ან გამოყენებული საიათოვას ლექ-  
სებში.

მართალია, საიათოვას პოეტური შემოქმედების უდიდესი ნა-  
წილი, რომელიც თურქულ ლექსებშია აღმოჩნდილი 115 სიმღერის სა-  
ხით, ჯერ კიდევ გამოუტვეყნებელია, მაგრამ ის, რაც დღესდღეობით  
დასტამბულია (30-ოდე ქართული და 60 სომხური ლექსი), საქართ-  
ვის იმისათვის, რომ ჩვენს მიერ წამოყენებულ საკითხზე გარკვეული  
პასუხი გავცეთ, თუმცა ეს პასუხი, გასაგები მიზეზის გამო, ამომწუ-  
რავი არ იქნება.

საიათოვას პოეზია, უმთავრესად სომხურ და ნაწილობრივ  
ქართულ ლექსებში აღმოჩნდილი, განსაკუთრებით საინტერესოა იმ  
თვალსაზრისით, რამდენადაც გვიხატავს მის, მշოსნის, საზოგადოებ-  
რივ ფიზიონომიას. და ეს საკითხი ჩვენ მიერ სპეციალურად განხი-  
ლულია ჩვენი წინა მონოგრაფიის მე-XXI თავში<sup>1</sup>, ხოლო ახლახან მას-  
ვე შეეხო ხიმეონ აკოფიანი სპეციალურ სტატიაში სომხურ ენა-  
ზე<sup>2</sup>, სადაც იგი ახასიათებს საიათოვას, როგორც ხელოსანთა ფე-  
ნის იდეოლოგის.

ის დასკვნა, რომელიც ჩვენ საიათოვას სომხური ლექსების  
შესახებ წარმოვადგინეთ 1930 წელს, რასაკვირველია, დღესაც ძალა-  
ში რჩება: „თუ საიათოვას ყველა სიმღერას ჩვენ დავალავებთ ქრო-  
ნოლოგიური რიგით და მხოლოდ ასე დალავებულს ჩავუკეირდებით,  
დავინახავთ, რომ წინა ხანებში მշოსნი მხოლოდ სატრადიალო ლექ-  
სებსა თბზავდა, ხოლო შემდეგ დიდაქტიურ-მორალურსაც, სადაც უკ-  
ვ დროვამოშვებით მისტიკურ-კლერიკალური პანგებიც კი იჩენენ  
თავს, ის პანგები, რომლებშიც მგოსნანი გვიხატავს თავის სურვილს  
ემსახუროს ღმერთს, სულს, ანგელოზს, საერთოდ ზეციტრ მბიექ-  
ტებსა და მონასტრებს“<sup>3</sup>. ხოლო სატრადიალო ლექსები, რამდენადაც

<sup>1</sup>. ლეონ მელიქეთ-ბეგი, საიათოვას ენიანდა, ტფ. 1930, გვ. 128—130.

<sup>2</sup>. ხემ. აკოფიანი, საიათოვას შემოქმედების სოციალური შინაარსი, სომ-  
ხურად, უცრ. „ვერელქ“ 1933 № 2—3, გვ. 185—200.

<sup>3</sup>. ლ. მელიქეთ-ბეგი, ც. ც. 130—131.

სათანადო თარიღებიდან ჩანს, უმთავრესად შეთხზულია განატელულსა-  
 და შემოდგომას<sup>1</sup>, ე. ი. იმ თვეებში, როდესაც მგოსანს საშუალება  
 ჰქინდა მონაწილეობა მიეღო ქეიფში, რომელიც ტფილისის ბალებსა  
 ანდა ამათუმი „ხატის“ გალავანში დღეობასთან დაკავშირებით იმარ-  
 თებოდა ხოლმე.

ამიტომაცა, რომ საიათონოვა თავის მრავალ ლექსში, უმთავრე-  
 სად სომხურში, რამდენადც იგი „სომები ქრისტიანი“ იყო, ქრის-  
 ტიანული მორალის მქადაგებლად გამოდის, ხოლო დაჩაგრულთ გო-  
 რჩილებასა და მომინებას უნერგავს.

ასეთია, მაგალითად, № 3 სომხური ლექსი, 1753 წლის თა-  
 რილით<sup>2</sup>.

1. მოდი ასლო, ყური მიგდე, გულო შეშლილო ჩემო!  
 ქვეყანა რომ დაგრჩეს შენა, რით უნდა დაიჩემო?  
 პირისწყალი, თავმდაბლობა, კდემა შეიყვარე!  
 ლმერთი-სული და მოყვარეც ისე შეიყვარე!
2. შენ ისეთი საქმენი ჰქმენ, რომ შეიქმნე ღვთის გულის.  
 სამი რამე არს ამ ქვეყნად ხორციელის და სულის:  
 წიგნი, კალამი, დავთარი კარგად შეიყვარე!  
 სვინაქსრისა დარიგებაც ისე შეიყვარე!
3. კრარა, გულო, რაც გაქვადი; მოდი, ერთი მომხდედე!  
 ჰალალითა ზრახეთ-ნიდობით პურმარილსა შეხედე!  
 რომ შენ არვინ არ დაგციროს, აღთქმა შეიყვარე!  
 დარიგება, მომინებაც ისე შეიყვარე!
4. თუ რომ არ გაიბერები, მოყიწოდებს უფალი.  
 იყავ შენსე ქვეით მდგომთან ქვევითა თავმდაბალი.  
 ყველა ერთი სულისაა, ერთობ შეიყვარე!  
 ალქატ-სტუმარი და მშირიც ისე შეიყვარე!
5. ნეტამცა შენ, საიათოვა, საქმეს ისეთსა ჰქმნიდე,  
 სულის ხათრით სხეულს ყოფად ხელს რომ აღარ უშლილდე.  
 სანამ სასჯელს დაესწრები, სალი შეიყვარე!  
 მონასტერი და უდაბნოც ისე შეიყვარე!

№ 4 ლექსში, 1758 წლის თარილით, პირველ ტაქტში იგი  
 ამბობს:

როგორც ყარიბი ბულბული ბალებისა ნატრულია...  
 სწორედ ისე შენი ყმაცა ბატონისა ნატრულია...

<sup>1</sup> Ibid., 48—49.

<sup>2</sup> როგორც აქ, ისე ყველგან ქვემოთ სომხურ ლექსებს ჩვენ აღწივნიათ  
 თანახმად უკანასკნელი, მესამე გამოცემისა (გ. ლევონიანის რედაქციით, ერევანში 1932  
 წელს) იმავე ნომრების (№№ 1—60) ქვეშ.



№ 8 ლექსში, 1753 წლის თარიღით, მესამე ტაქტში:

დაჭრილს ექიმი თუ უნდა, იმიტომ რომ განკურნოს.

ყული ალაზე არ ჩინის, კვლავ შეჯფერის ითმინოს.

უცხოს ნულარ დაუჯვერებ, არ შეგშალოს, გაცდინოს.

ლევის სერობის ქადაგით პასუხს კარით ნუ გასცემ!

№ 16 ლექსში, უთარიღოში, მეოთხე ტაქტში:

მსურს ყოველთვის კარზე გვედო ხატის მონასაცითა.

ან და კიდევ № 34 ლექსში, 1759 წლის თარიღით, მესამე ტაქტში:

ვინ დაიკვეხს: „მე ვარ უკვდავ“, ანდა „არ მაქს ტკივილი“.

ლევით ამ ქვეყნად ადვილია კაცის შობა-სიკვდილი.

სიმართლეება არა საღობს, როს მრავლდება ტყუილი.

ოცა ერთი ყულიც არ ყავს, ალაზე გვაქს ჩიგილი.

და სხვა.

რაც შეეხება ლიტერატურულ წყაროებს, რომელიც საიათნო-ვას შემოქმედებას გააჩნია, ამის შესახებ ჩვენ ნათქვამი გვქონდა შეძლევი:

„ოვის ლექსებში საიათნოვას მრავალი ისეთი რამ აქვს მოხსენებული, რომლითაც ადვილად შეიძლება გამოაშვარავდეს მის მიერ ლიტერატურის ცოდნისა თუ არცოდნის ფაქტი.

„რასაკვირველია, როდესაც მოსანი იხსენიებს სასულიერო წიგნებს, როგორიც არიან: ჰარანც ვარქ (№ 3—2, № 32—3) — „მამათა — ცხოვრება“, ასმაგურ (№ 11—3, № 41—1) — „სვინაქსარი“, ანუ ავიტარან || ავეტარან (№ 32—3, № 45—2) — „სახარება“, ასეთები მას ნომინალურად მაინც ეცოდინებოდა, ვინაიდან გავონილი ენებოდა შესატერ წრეებში, რომლებთანაც იგი თავიდანვე იდგა ახლოს და რომლებსაც შემდეგში თვითონაც შეუერთდა. ამავე გზით შეეძლო საიათნოვას შეეთვისებინა გამოთქმა: დაშტი წალიკ, ჰავტაც შუზან (№ 18—5) — „ყვავილი ველისა, შროშანი ლელეთა“, რომელშიც ემჩნევა „ქებათა ქების“ (II, 1) ზეგავლენა. მაგრამ საერო ხასიათის ნაწარმოებებს იგი ასე ადვილად ვერ გაეცნობოდა, თუ რომ ან პირადად არ წაიკითხავდა ქართულ ხელნაწერებში, ან სხვისგან არ მოისმენდა ნამბეობს<sup>1</sup>.

ამასთანავე ჩვენ აღნიშნული გვქონდა ისიც, რომ „საიათნოვას როგორც სომხურს, ისე ქართულ ლექსებში უფრო ხშირად ემჩნევა ლეილ-მეჯლუმიანისა (ლეილასა და მეჯლუმის), როსტომიანისა, უკეთ როსტომ-ზალიანისა (როსტომისა და ზალის), აგრეთვე ვარდ-ბულ-

<sup>1</sup> ლ. შელიქეთ-ბეგი, op. cit., 114.

ბულიანის და „სპილენძის ქალაქის“ ზეგავლენა, ნაწილობრივ ბრძათ იმიტომ, რომ სწორედ ეს და არა დანარჩენი ნაწარმოები სომხურ ვერსიებადაც იყვნენ ძველად ცნობილი, რომლებზედაც მას, საიათ-ნოვას, შეეძლო რომ გაეგო, ქართულ საზოგადოებას რომ თავი და-ვანებოთ, ტფილისის სომებთა ლიტერატურულ წრეებშიც“<sup>1</sup>.

თავის სპეციალურ გამოკვლევაში ძველი სომხური პოეზიის შესახებ მანუკ აბელიანი იმ აზრს ვამოთქვამს, რომ „გარე-ზეული გამოთქმები და მსგავსებანი, რომლებსაც თითქმის ერთი-და-ისავე სიტყვებით იყენებენ ქონსტანტინე ერზინჯაელი, ითანე თლკუ-რანელი, გრიგოლ ახთამარელი, ნალაშ იონათანი და ნაწილობრივ საიათნოვაც, ავრეთვე სხვებიც“, გამოწვეულია მით, რომ „ძველ სო-მხურ სიმღერებს გაიჩინა სხვადასხვა ღროს სხვადასხვა პოეტების მი-ერ შეთხული და გავრცელებული მოტივები, რომლებითაც ყველა სარგებლობს და რომლებიც დღემდე ხალხურ სიმღერებში იჩენს ხოლმე თავს“<sup>2</sup>.

სიმ. აკოფიანს კი მაინც საეჭვოდ მიაჩინა, რომ საიათნოვას საერთოდ ლიტერატურული წყაროებით ესარგებლოს: „რაც შეეხება ბიბლიის ანუ საეკლესიო ლიტერატურის ზეგავლენას საიათნოვაზე, — ამბობს იგი,—არაა საკირო რომ-მაგაში რამდენადმე სერიოზული ზე-გავლენა შევამჩნიოთ, ან და მას საზოგადოდ (რაიმე) წონა მივანი-კოთ. საიათნოვას მითითებას ამ მიმართულებით ვერ ძალუდს გვაფი-ქრებინოს, ვითომდა მას შეესწავლოს, ან წაეკითხოს საეკლესიო მა-მათა თხზულებები. ამ წიგნების ან და მათი „სალვოთ“ აეტორების ამბავი მას გაგებული ექნებოდა გარეთ, ან ეკლესიაში, ხელოსანთა იმ ფენებში, რომლებსაც იმ ღროს კავშირი ჰქონდათ ეკლესიასთან ან მღვდელთან“, ხოლო ამაში „გარკვეულ როლს თამაშობდა ველე-სია, ხატი და მათი მომსახურე მღვდელი, ხშირად შიგნით ეკლესია კი არა, არამედ მისი მიღამო, მისი არემარე და ხალხის ის თავმო-ყრა და დღესასწაულები, რომლებიც იქ იმართებოდა“<sup>3</sup>.

ასეთი განცხადება, ჩვენის აზრით, არ შეეფერება სინამდვი-ლეს.

საიათნოვა რომ გარკვეული ღროიდან წერა-კითხვის მცოდნე ყოფილა, ჯერ ქართულისა და შემდეგ სომხურისაც, ჩანს იქიდან, რომ ერევნის სახელმწიფო მუზეუმში დაცული მისი „დავთარი“<sup>4</sup>,

<sup>1</sup> Ibid., 115.

<sup>2</sup> მ. აბელიანი, ძველი მგოსნერი ხალხური სიმღერები, სომხურად, ერევა-ნი 1930, გვ. 122, შდრ. 127, 130—135, 138, 142—143.

<sup>3</sup> ხამ. აკოფიანი, op. cit.—„ვერელქ“ 1933 № 2—3, გვ. 198—199.

<sup>4</sup> ამ დავთარის აღწერა იქ: გ. ახვერდიანი, საიათნოვა, სომხურად, მოსკო-ვი 1852, გვ. XIII—XV; გ. ახატური, საიათნოვას ხელნაწერი დავთარი, სომხ., — „ექვივიტინის სამეცნიერო ინსტიტუტის მოამბე“, I—II, ეჯმიაწინი 1921—1922, გვ. 230—234.



რომელიც მის სომხურ და თურქულ ლექსებს შეიცავს, სწორები მინაზე  
სივე ხელითაა დაწერილი: სომხური ლექსები — ქართული ასოებით,  
ხოლო თურქული — სომხური ასოებით<sup>1</sup>, რასაც საუცხოოდ ადას-  
ტურებს პენტელაანთ იოვანეს მიერ მასში (გვ. 8) ჩართული მინაწე-  
რი, 1765 წლის მაისის 1-ის თარიღით, შემდეგი შინაარსისა: „ეს  
სიმღერები სულ საიათნოვას ნათქომია, ქ. კეთილმორწმუნენო და  
ქრისტეს მოყვარენო. ამის დამწერს და ამ სიმღერის მთქმელს ბევ-  
რი დღე დაულამებია და ღამე გაუთენებია ამის თქმაში. ახლა ამას  
გვეცლებით, ამის მკითხველნო, რომ ამის მთქმელი კეთილად და  
ცხონებით ახსენოთ და ოქვენც ქრისტეს პირისაგან კეთილად მოიხ-  
სენოთ. მე, პენტელაანთ იოვანემ, დავსწერე ეს მოხსენება მაისის  
ა-ქეს უნგ“<sup>2</sup>. ამასვე ადასტურებენ იმავე „დავთრის“ სხვადასხვა  
ადგილის ჩართული ჩანაწერები, რომელთაგან ერთში ვკითხულობთ:  
„ქ. ნეტ[ა]ი ღმერთმა ტერ სტეფანას<sup>3</sup> შავიდობით მოიღვანოს, მე  
ეს დავთარი წამიკითხინოს მე, ამისი არზი არ დარჩეს, და ჩემი თა-  
ვი იმას ემსახუროს“ (გვ. 24), ხოლო მეორეში: „ქ. ნეტ[ა]ი ტერ  
სტეფანა<sup>4</sup> შავიდობით მოვიდეს, მე ეს წიგნი წამიკითხოს თავის  
შავილების სადღესასწავლოთ, და ჩემი არზი არ დარჩეს, და ჩემი ცო-  
დვილი თავი იმას ემსახუროს. ამინ“ (გვ. 84)<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ზდრ. აგრეთვე ჩეენი მონოგრაფიის XVIII თავი („იყო თუ არა საიათ-  
ნოვა წერაკითხვის მცოდნე?“), op. cit., გვ. 107—113.

<sup>2</sup> იხ. გ. ახელრდანი, op. cit., XIV; ლ. მელიქეშ-ბეგი, op. cit., 86—87.  
სურათი საიათნოვას სომხური ლექსების მესამე გამოცემაში, გ. ლევონიანის ჩე-  
დაქციით, ერევანი 1932, გვ. 46.—პენტელაანთ: იოვანე უცობი პიროვნება არაა  
ქართული ლიტერატურის ასპარეზშე. ასე, მაგალითად, იგი ცნობილია როგორც  
მთარგმნელი სომხურიდან ქართულად ე. წ. „შელი წიგნისა“, რომელიც შემონა-  
ხულია ქ. შ. წ.-კ. გ. ს. კოლექციის № 1786 ხელნაწერში (რომელზედაც ყურა-  
დლება მიგვაჟცევინა დოც. ალ. ბარაბაძემ), რომელსაც დართული აქვს ბოლოში  
შემდეგი მინაწერი 1798 წლის ნოემბრის 14-ის თარიღით: „დასრულდა დროსა  
უკეთილმასახურესისა და უმაღლესის მეტის გიორგისა და მამათმთავრის, მის უწ-  
მიდევობის კათალიკოსის ანტონისა, გარდმოვთარგმნე სომეხთაგან ქართულს ენაზედ  
მე იოანე პენტელაშვილმა ნოემბრს იდ ქ ქ უნგ“. საკულესიო მუხუჭის № 308  
ხელნაწერს, რომელიც სხვადასხვა შინაარსს კრებულს წარმოადგენს, დართული  
აქვს (გვ. 69r-ხე) შემდეგი მინაწერი 1808 წლის დეკემბრის 20-ის თარიღით: „აღ-  
ვსწერე წიგნი ეს სისტრატეგით იოანე პენტელაშვილმა. ვისაც ჩაგივარდესთ კარგს  
კელით გარდილევით ჩყც წელსა ფეხერვალის კ ქას უნგ“ (ზდრ. ფ. ჯორჯაოვა,  
Описание рукописей Тифлисского Церковного музея, кн. I. Тифл. 1903,  
стр. 306—307; ლ. მელიქეშ-ბეგი, op. cit., გვ. 86, შენ. 3).

<sup>3</sup> „ტერ - სტეფანე“ საიათნოვას სახელწოდებაა, „არუთინას“ ნაცულად,  
მღვდლად კურთხევის შემდეგ, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონდა 1765—1766 წ. წ.  
(ამის შესახებ იხ. ლ. მელიქეშ-ბეგი, op. cit., გვ. 81—92, 101—106, 141—144).

<sup>4</sup> იგივე.

<sup>5</sup> ლ. მელიქეშ-ბეგი, op. cit., 88—89.



„პასქალიების“ ამოკრეფა საიათნოვა—ტერ-სტეფანეს, რასაკვირ-ველია, შეეძლო ყოველი ხელნაწერი სახარებიდან, რომელიც ყველა ეკლესიას და ყოველ მღვდელს მოეპოვებოდა. ხოლო რაც შეეხება „ეფრემ-ვერდს“, ასეთი მას აღვილად შეეძლო ჩაევდო ხელთ, რამდენადაც იგი მის დროს უკვი გამოცემული იყო ვენეციის მხითარიანთ კონგრეგაციის მიერ: „გრაც ვორ კაზი ეფიმერტე“, პირველი გამოცემა 1748 წელს, მეორე კი 1752-ს (მესამე გამოცემა 1796-ს). ხოლო ეს „ეფიმერტე“ ანუ „ეფრემ-ვერდი“ ქართულადაცაა ნათარ-გმინი გრიგორიანცის მიერ, რომელიც ორჯელ გამოიცა ტფილისში: 1897 და 1910 წ. წ.

და აი სწორედ ეს „ეფრემ-ვერდი“-ა 1748 ან 1752 წლის გა-მოცემისა, რომ საიათნოვა—ტერ-სტეფანეს ხელთ ჰქონია კახში 1766 წელს, რომლითაც უხვად უსარგებლია, რამდენადაც თვის კრებულში შეტანილი ორი თავი—„თვეთა ამინდისათვის“ და „ათორ-მეტთა მამასახლისთათვის“ (ე. ი. ზოდიაქოთათვის) — სიტყვა-სიტ-ყვით იქიდანაა გადმოწერილი.

ამ დებულების დასამტკიცებლად საკმარისია ორივე ნაკვეთი საიათნოვას კრებულისა შევადაროთ ეფრემ-ვერდისეულ ტექს-ტებთან.

### I. თვეთა ამინდისათვის.

ვასნ ამსოც შეღანაკაც<sup>1</sup>.

ცუცმუნქ ვასნ პატაპარაც  
ი ვერა შეღანაკაც ბოლორ  
ამსოც<sup>2</sup>.

ჭინასწარმეტყველებანი თვითონეულსა თვეზედ ბუნების მოგ-ლენათა<sup>3</sup>.

1. „ჰუნდარ, ვორ ე პორი, თე ი 1. „ი ჰუნდარ, ვორ ე პორი, თე  
ნუდნ ამსოჯ ლუსინ ხავარი. მევ ლუსინ ხავარი მევ ჰარუმუნქ  
ჰარუმუნქ გეტოც“.

1. „ი ჰუნდარ, ვორ ე პორი, თე  
ლუსინ ხავარი მევ ჰარუმუნქ  
გეტოც“.

### II. ათორმეტთა გამასახლისთათვის.

ჰალაგს ერკუტასან ტანურუ-  
რაც<sup>4</sup>.

ცუცმუნქ ი ვერა ერკოტასან  
კენდანაკერპიც, ვოროც მევ ასი  
ტანურერ<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ეჯმიაწინის მუხეუმის ხელნაწერი №4270, გვ. 253a—266b.

<sup>2</sup> ეფიმერტე, 117—132.

<sup>3</sup> შეღ. ეფრემ-ვერდი, ქართ. თარგმანი, ტფ. 1910, გვ. 85—99.

<sup>4</sup> ეჯმიაწინის მუხეუმის ხელნაწერი № 4270, გვ. 267a—173a.

<sup>5</sup> ეფიმერტე, 133—140.

ნიშნები ათორმეტ ზოდიაქოს თვისების შესახებ<sup>1</sup>.

1. „პორეამ ხომ ლინი ტა- | 1. „პორეამ ხომ ლინი ტანუ-  
 ნუტერნ... მარდკან აროლჯუთუნ“ | ტერნ... ხევ მარდკან აროლჯუ-  
 თუნ“.

და სხვ.

ასევე გადმოწერილია „პასქალიები“<sup>2</sup>.

ახლა სრულიად გასაგებია, თუ იმავე 1766 წლის ხელნაწერში, 276b გვერდზე მოთავსებულ მინაწერში საიათოვა — ტერ-სტე-ფანე ეფრემ-ვერდის მიმბაძეელობით რატომ იხსენიებს მამასახლისთ — „თხის-რქას“ (აიწელჯურ), „კირჩხიბს“ (ხეცვეტინ), „ლრიანკალს“ (კარიჭ) და „თევზს“ (ძუნ)<sup>3</sup>, რომლებიც ზოდიაქოს ნიშნებია.

ხოლო ზოდიაქოს ერთერთი ნიშნის, სახელდობრ „თევზის“ ანუ „ტულის“ ცნებასთან დაკავშირებით თავის ახსნა-განმარტებას პოულობს საიათოვას ერთ-ერთი სომხური ლექსი № 41, 1758 წლის თარიღით, რომლის მესამე ტაეპში ვკითხულობთ შემდეგს (სატრ-ფოს მიმართ ნათქვამს):

ჭვრილი ტანი ლვრწამივით, სახით თაგულისებრ,  
 დღეში სამ-ათ ფერად იცვლი, ვერც ერთხელ კი ტულისებრ<sup>4</sup>.  
 როს თამაშობ, ალიგზნები, გველის პირის მძიესისებრ.  
 ბნელ ადგილას როს ანაოებ, უცეცლოდა, მოვარისისებრ.

„ეფრემ-ვერდის“ გარდა საიათოვა კარგად იცნობს სასულიერო მწერლობასაც, კერძოდ „დაბადებას“ და მასში შემავალ სხვადასხვა წიგნებს, რომელთაგან ზოგიერთი სიტყვა-სიტყვითა აქვს გადაწერილი თვის 1766 წლის ხელნაწერში, რომლის შინაარსი ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ. ამისათვის კი საიათოვას შეეძლო გამოყენებინა

<sup>1</sup> შდრ. ეფრემ-ვერდი, ქართ. თარგმანი, გვ. 100—107.

<sup>2</sup> ეჯმიაწინის მუხუმის ხელნაწერი № 4270, გვ. 277 a—279 b.

<sup>3</sup> იბ. ლ. მელიქშეთ-ბეგი, საიათოვას ავტოგრაფი, გვ. 06, 015.

<sup>4</sup> სომხურ დედამშ: „ტოლი ნმან“, რომელსაც გ. ახვერდანი (საიათოვა, გვ. 152) გვიხსნის ასე: „ტოლ—ქართულია, ნიშნავს მოასაკეს“. მაგრამ ეს მიუღებელია, ვინაიდან „ტოლი ნმან“ უნდა შესწორებულ იქნეს „ტული ნმან“-ზე, რამდენადაც იმავე ტაეპის პირველ და მესამე სტრიქონებში იკითხება: „თაგული ნმან“ და „პული ნმან“. ამ აზრისაც გ. ლევონიანი (საიათოვა, გვ. 169), როდესაც ალნიშნავს, რომ ტაეპის მეორე სტრიქონებში „I და III სტრიქონების მოთხოვნით შეუძლებელია რომ ყოფილიყო ტოლი ნმან, არამედ უნდა ყოფილიყო ტული ნმან. „ტოლ“ ქართულად ნიშნავს მოასაკეს, ერთწლოვანს. „ტული“ კი ერთია ზოდიაქოს 12 სახეთაგანი, „მერწყული“ (verseau). ტული ალნიშნავს აგრეთვე ქვრივს (თურქულად)<sup>5</sup>. ჩვენ ვეთამშებით გ. ლევონიანს, რომ „ტული“ ზოდიაქოს ნიშანთაგანი უნდა იყოს, მაგრამ არა „მერწყული“ ანუ „შულის-საქანელი“, როგორც მას ჰერინა, არამედ „თევზი“, რამდენადაც ქართულად „ტულანბა თევზთ პეპლევა“-ს ალნიშნავს (საბას ლექსიკონი, 336). მაშასადამე, ქართულში ამერად არ არსებული სიტყვა „ტული“ თევზს უნდა ალნიშნავდეს.

როგორც ხელნაწერი „დაბალება“ (ასტვაწაშუნი), რომელიც ყველა ეკლესია-მონასტერში და კერძოდ ახპატსა და სანაინში ან მათი ტფილისის მეტოქეებშიც მოიპოვებოდა<sup>1</sup>, ისე ნაბეჭდი ეგზემპლარიც, რომელიც გამოიცა ამსტერდამს 1666 წელს და, მაშასადამე, მის დროს საქართველოშიც იყო ცნობილი, რამდენადაც ამ ბიბლიით მე-XVIII საუკუნის დასაწყისში უსარგებლია, როგორც ილია აბუ-ლაძემ გამოარკვია, ხულხან-ხაბა ორბელიანხაც.

ხოლო იმავე საიათნოვას ლექსებში დაბალების იმათუმიმ წიგნის ან გამოთქმის ზეგავლენა ეტყობა შემდეგ აღვილებში:

1) „შექმნათა“-ს (IV, 1—16)—სომხურ ლექსში № 46, 1758 წლის თარიღით, რომლის მესამე ტაქტში ვკითხულობთ:

ვინც ცერადა შეგხედოს,  
აბელ-კაენს ეფაროს,  
ცოდვილ კაცაც ერიდე:  
ჰმართებს ღმერთსა ვვედროს.

2) „მეორე მეფეთა“-ს (XIV, 16—25)—სომხურ ლექსში № 37, 1759 წლის თარიღით, რომლის მეოთხე ტაქტში ვკითხულობთ:

ქალი დედას რომ გაეყო, მიტომ ტირის ქალია,  
ადამიანთ დასაპურობად ეშმაკს უდგა გალია.  
ბევრი მიტყაც თვით ეშმაკსა, დანარჩენიც ვაია.  
თუ ურნას არ ემსგავსება, მკობა ვის რასღა არგებს?

3) „იგავნი სოლომონისნი“-ს (XXI, 4)—სომხურ ლექსში № 21, 1758 წლის თარიღით, რომლის მეოთხე ტაქტში ვკითხულობთ:

თუ რომ სიბრძნით სოლომონი იყოს კაცი ან ქალი,  
თუ რომ საცე მარგალიტით ქვითნებს ყელი და მკლავი,  
მხე და მთვარეც ერთობ იყოს, ანდა დევი ან ალი,  
შენებური მარიფათით ყველას დასძლევ შენ, ტურუავ!

4) „ქება-ქებათა“-ს (II, 1)—სომხურ ლექსში № 18 უთარიღოში, რომლის მეხუთე ტაქტში ვკითხულობთ:

რა იქნება მესაუბრო, სახათნოვას სატრეფო ხარ.  
ქვევანას რომ შენ აჩრდილებ, მზის პირისპირ ფარი ხარ.  
მიხაე-ილი-დარიჩინი, ია-ვარდი-სუსამბარ.  
ველის წითელი ყვავილი, ღელეთ შროშანიცა ხარ?

5) სახარებისა საერთოდ—სომხურ ლექსებში № 32, 1758 წლის თარიღით, რომლის მესამე ტაქტში ნათქვამი აქვს, რომ „სახარების სიტყვები მარგალიტის წყებაა ლამაზი“, აგრეთვე № 45, 1753 წლის თარიღით, რომლის მეორე ტაქტში ნათქვამია, რომ „სახარება კაცს თავმდაბალს როდი აყენებს უკან“.

<sup>1</sup> შდრ. ჩვენი ზემოაღნიშნული მონოგრაფიის III თავი (გვ. 17—22).

ყველა ეკლესია-მონასტერში და კერძოდ ახპატსა და სანაინში და მათი ტფილისის მეტოქებში, რომლებთანაც საიათნოვა ახლოს იდგა, მოიპოვებოდა არა მხოლოდ „დაბადება“, არამედ აგრეთვე „მამათა ცხოვრება“ (ვარქ ჰარანც) და „სვინაქსარი“-ც (ჰასმავურქ), რომლებიც საიათნოვას ღროს დაბეჭდილიც კი იყვნენ: „მამათა ცხოვრება“ (ჰარანც ვარქ) პირველად გამოიცა ჯულიაში 1641 წელს, ხოლო მეორედ კონსტანტინეპოლიში 1721 წელს, ხოლო „სვინაქსარი“ (ჰასმავურქ) კონსტანტინეპოლის პირველად 1706 წელს, მეორედ კი 1730 წელს<sup>1</sup>.

ამიტომაცაა, რომ ზემომოყვანილ № 3 სომხურ ლექსში, 1753 წლის თარიღით, სახელდობრ მის მეორე ტაქტში, საიათნოვა გაიძინა:

წიგნი, კალამი, დავთარი კარგად შეიყვარე!  
სვინაქსრისა<sup>2</sup> დარიგებაც ისე შეიყვარე!

ასევე მთელ რიგ სომხურ ლექსებშივე, რომელთაგან ერთში, № 11, უთარიღილოში, მესამე ტაქტში ნათქვამია:

განა ვიმე გიბააქებს—ათასგვარი სიტყვა ხარ.  
გამოთქმითა ჯავაირი, სვინაქსრისა სიტყვა ხარ.

ანდა № 32 ლექსში, 1758 წ. თარიღით, მესამე ტაქტში:

თუგანდ გაიგო და შეიტყო რიცხვი ვარსკელავთა შენ ლამაზი,  
შორს სიავეს, და მაშ იკითხე მამათ-ცხოვრება მთლად ლამაზი.

აგრეთვე № 41 ლექსში, იმავე წლის თარიღით, პირველ ტაქტში:

ქალალდი გაქვს ვარაყისა, სვინაქსრისა სიტყვა ხარ.  
მხილველმაც კი არა იცის, რომ ვარსკელავი მთვარის ხარ.

სასულიერო მწერლობაზე არა ნაკლებ იცნობს სიათნოვა საეროსაც, კერძოდ ეპიკურ ნაწარმოებებსა და ფოლკლორს, რომელთა ქვალიც ემჩნევა მის როგორც სომხურ, ისე ქართულ ლექსებშიც (ეპიკური ნაწარმოებებისა ხელნაწერებში წაკითხვის ანდა ზეპირ-სიტყვაობითის გზით, ხოლო ფოლკლორისა—მხოლოდ ზეპირსიტყვაობით).

<sup>1</sup> ერთ-ერთ ამ გამოცემათაგანს, უთუოდ, ჰელლისხმობს ანტონ კათალიკოზი 1750—1752 წ. წ. შედგენილს თავის „მზამეტყველება“-ში (გამოც. ტფილის 1892 წ.), როდესაც იხსენიებს მას როგორც ერთ-ერთ წყაროს თვისი შრომისას: „ახმაორქი სომხეთა, რომელ არს სვინაქსარი“ (გვ. 8) ანუ „ხოლო დღესასწაული იგი ახმაურქსა შინა, სადაცა განწესებულ არიან დღეთა მათვე, დღეთა მათ შინა მოიხსენებიან“ (გვ. 595).

<sup>2</sup> დედანში: „მამათა ცხოვრება“ (ჰარანც ვარქ).

ამ წყებიზან პირველ ყოვლისა აღსანიშნავია როსტომიაზი,  
 ლეიილ-მეჯლუმიანი და ფაქრად-შირინიანი.

როსტომიანის ანუ როსტომ-ზაალიანის კვალია საიათოვას შემ-  
 დეგ ლექსებში:

ქართულ ლექსებიდან—

ლექსში „ზოგ-ზოგი კაცი“ (გრიშაშვილის გამ., 102), მესამე  
 ტაეპში:

ზოგი კაცი ზღვაში შევა ნავათა,  
 ბაყაყს გვერდით დაინახამს შავათა,  
 ზოგი კაციც გარეთ გდია ავათა,  
 სახლში შევა როსტომ-ზალს დაიწუნებს!

მეორეში—„საყვარლის ბალში“ (გვ. 104), მეოთხე ტაეპში:

შენის ნაქცეურობით მე გამაკვირე..  
 როსტომის ხანგალი ყელთ დამაჭირე!

მესამეში—„ბალი ბულბულით ავსილა“ (გვ. 110), მეოთხე  
 ტაეპში:

ხელმწიფესაც არ უქნია როსტომ-ზაალისათვინა,  
 ნიშნობა და ქორწილიცა თაეისი ქალისათვინა!

იქვე, მეხუთე ტაეპში:

ტურფა ტანი ლერწამს გიგავს—მორთულხარ ქირმანშალშია,  
 კბილები მარგალიტში გაქვს, ინდის პილილი ხალშია,  
 ფალევანთა მომრევი ხარ, ნაქები როსტომ-ზალშია,  
 თუ ჩვენსა არ მოძანდები, წავიდეთ სამართალშია..

მეოთხეში—„ანბანი ქება“ (გვ. 119), მესამე ტაეპში:

ონ—ომი როსტომ-ზალს არ დაემართოს.

ამავე როსტომ-ზაალიანის კვალი ემჩნევა მთელ რიგ სომხურ  
 ლექსებსაც.

მაგალითად, № 8 ლექსში, 1753 წლის თარიღით, მეორე ტაეპ-  
 ში ვკითხულობთ:

შენისთანა მბრძანებელი არ არს, როსტომ-ზაალო!  
 შენი გვარი გვართა შორის ნაქებია, ჰალალო!  
 თუ მე ბევრი ცოდვა მომდეს, თავი მომკერ, უფალო!  
 შენ შეხედე შენს გამჩენსა და უბრალოდ ნუ მსაჯავ!

მეორეში, № 31 ლექსში, უთარილოში, მეოთხე ტაეპში:

თუ, ეინ იცის, მიჯნურთანა სიარული იყითხო,  
 როსტომ-ზაალის ამბავი გმართებს რომ წაიკითხო.  
 თუ უწყალო სატრფოს ყოფა ერთხელ მაინც იყითხო,  
 შენ პასუხად მოგესმება: სულთან-ხანად მოვდიგა!

მესამეში, № 48 ლექსში, უთარილოში, პირველ ტაქტში:

ინდოეთით მოტანილო, ჯავაირო საკვირველო!  
რასაც კი ოომ მოედები, დაამშენებ ოქროს ფარგლად.  
ყოველ კაცს არ შეუძლია შე გიშოვოს, საკვირველო!  
ვის ძალურს რომ გესაუბროს, შენ ცნობილსა როსტომ-ზალად?

მეოთხეში, № 50, უთარილოში, მეორე ტაქტში:

ბულბულმა სთქვა: „თუნდ რომ უმტრონ ძილში ხელებ შეკრულსა,  
ბოლოს ბურთი-მეტანი როსტომ-ზალისა არის“.

ლეილ-მეჯლუმიანის კვალი ემჩნევა საიათნოეას შემდეგ ლიპ-  
სებში:

ქართული ლექსებიდან—

ლექსში „ბალი ბულბულით აესილა“ (გვ. 110), მესამე ტაქტში:

ტრიალებს ოქროს თასები, ლეილუმ ნახი არ აკლია!

იქვე მეოთხე ტაქტში:

რაც რომ გადამზდა თავზედა, სულ იმ მაღალისათვინა:  
ლეილუმის ქამანჩისა დოულ-ყავალისათვინა...

მეორეში—„რა ზარბაპი“ (გვ. 112), მეორე ტაქტში:

ახლა მოდი, მოგახსენო, ქვეყანაზედ რა ვიარე:  
ლეილუმ ტოლი დავკარგე, მეჯნუნიერი დავიარე.

ამავე ლეილ-მეჯლუმიანის კვალი ემჩნევა მთელ რიგ სომხურ  
ლექსებშიც.

მაგალითად, № 6 ლექსში, 1757 წლის თარილით, პირველ  
ტაქტი გვითხულობთ:

როგორც ლეილი მეჯლუმისა, დამეკარგე უმწიერთოდ.  
ლეილი-ჯან, დავებნიე, ვხეტიალობ უმისძოდ.  
მეწვის ფილტე და გულ-ღიიძლი ყოველდღე, უთავბოლოდ.  
ცრემლის ნაცვლად თვალთ სისხლი მდის, სადა ზარ უგზაკეალოდ?

მეორეში, № 12 ლექსში, უთარილოში, პირველ ტაქტში:

ბევრი იტყვის: მე დაჭრილი არა ვარ,  
ლეილ-მეჯლუმის ყოფაში არა ვარ.  
კაცს ყოველთვის პირისახით ვუქივარ,  
სიტყვას ამბობ არაკებრივ მასალით.

მესამეში, № 24 ლექსში, უთარილოში, პირველ ტაქტში:

შენი ფასი მე არ ვიცი, ჯავაირის მსგავსი ხარ.  
მეჯლუმიაც აქცევ მხილველს, ლეილასი მსგავსი ხარ!

მეოთხეში, № 36 ლექსში, 1757 წლის თარილით, პირველ  
ტაქტში:

შენის ეშიით ანთებულვარ,  
მეჯლუმიერი ალვზნებულვარ,

შენის ხილვის ნატრული ვარ.

გადადეგ მთაო,—შენ გეტყვი!

მეხუთეში, № 40 ლექსში, 1754 წლის თარიღით, შეოთხე  
ტაქტში:

მეჯლუმიერით მთად გაგარდი, ლეილასგან ცნობა არ მაქვს.

შენის ეშხით გული მეწვის, გაგრილების შველა არ მაქვს.

მეექვსეში, № 42 ლექსში, 1757 წლის თარიღით, მეოთხე  
ტაქტში:

პატიოსნად აგებული, შენ ლეილას სახე გაქვს.

თმები დაგრჩა მუაჯარზე, ყველგანაცა ქება გაქვს.

ასევე საიათნოვას ლექსებში ემჩნევა ფაშრად-შირინიანის ზე-  
გავლენა.

ასე, ქართულ ლექსში „მტკვარო ამლერეულო“ (გვ. 99) მეოთხე  
ტაქტში ვკითხულობთ:

მოდი, დამიჯერე, ბალდადის წერო,

ინდოეთის თუთისაებრ იმღერო!...

რა იქნება ერთხელ მეც დამიჯერო,

ფერხადის ბებერო, შირინის მტერო,

შე ავო მიჯურო, შე ბრაზანო?

სომხური ლექსებიდან ერთში, № 20, 1756 წლის თარიღით,  
მერვე ტაქტში ვკითხულობთ:

თვალი პატიოსანი

ვარ გვირგვინის ნიშანი;

ვით შირინი ფაშრადის

ულამაზეს მარადის.

მეორეში, № 47 ლექსში, უთარიღოში, მესამე ტაქტში:

ერთი გზაზე დამაყენე უზრუნველი, მართლაც, ქმნილი,

დღე და ღამე სულ ვტირივარ, თვალები მაქვს დაცრემლილი.

დევ ვეგდო კარად შენდა, შირინის მსგავსად, დალერემილი.

ღმერთმა მოკლას ანგალიცა, ვით ფაშრალმა თვის შირინი.

მესამეში, № 50 ლექსში, უთარიღოში, მესამე ტაქტში:

ფაშრად მოკვდა წერაქვითა, შირინის დარჩა ხანჯალი.

მეოთხეში, № 51 ლექსში, უთარიღოში, პირველ ტაქტში:

ფაშრად მოკვდა, შირინმა სთქვა: „დარდისგან დამწვარი ვარ;

ვარდი ყვავის, არ მიკარებს; ღობითა დამწვარი ვარ“.

ფაშრად-შირინიანის გვერდით საიათნოვა, უთუოდ, ვაცნობი-  
ლი იქნებოდა ხოსრო-შირინიანისა და იოსებ-ზილიხანის სიუჟე-  
ტებთანაც, რამდენადაც სწორედ ეს სიუჟეტები, გარდა ფართულისა,  
სომხურ ფოლკლორშიც იყო კარგად ცნობილი; მით უმეტეს, რომ  
ამათვან ერთი, სახელდობრ ხოსრო-შირინიანი, საიათნოვაზე ცოტა

წინ ფარსადან გორგიჯანიძის მიერ უკვე ვრცლად აღნუსხული იყო  
 საქართველოს ისტორიის მიმოხილვაში.

თუ ზემოდასახელებული ეპიკური ნაწარმოებები საიათნოვას  
 მწერლობითი ძეგლებიდან შეეძლო ამოეკითხა, ამის თქმა შეუძლებელია მთელ რიგ იმ სიუჟეტების შესახებ, რომლებსაც მას ყური უნდა მოექრა და ესარგებლა კიდევ იმ მდიდარი საუნჯიდან, რომელიც ფოლკლორის სახით იყო ცნობილი: როგორც თურქულისა, ისე სომხურისა და ქართულიდანაც.

და მართლაც, წმიდა ფოლკლორული ხასიათის სიუჟეტებიდან, რომლებიც უხვადაა გამოყენებული საიათნოვას სომხურ და ნაწილობრივ ქართულ ლექსებშიც, აღსანიშნავია შემდეგი:

1. ხანდარ-ზულლარიანი (მოთხრობა ალექსანდრე მაკედონელის შესახებ).

სომხური ლექსებით—

№ 21 ლექსში, 1758 წლის თარიღით, მესამე ტაქტში, ვკითხულობთ:

სკანდარ-ზულლარას ცნობილი ჯავაირი—ლალი ხარ,

დანგი დანგთაბან რჩეული, მოხდილი მისხალი ხარ.

სასეირნოდ როს მიდიახარ, არვის უცქერ, ცალი ხარ.

მეფის-წულის შიში არ გაქვს, უსახტო ხარ, შენ ტურფავ?

№ 48 ლექსში, უთარილოში, მესამე ტაქტში:

ადვილად ვინ გაგიმეტებს, ძნელად ნაშოვო, მნათობო!

ვინც შენს სახეს დაინახავ, გადირევა, საკვირველო!

შე, აღმასო, იაყოთო, სათამაში გასართობო!

სკანდარ-ზულლარას უმსგაესო, შე თალისმავ საკვირველო!

2. ყარიბ-შაშსანამიანი (აშიკ-ყარიბის ამბავი).

სომხური ლექსით—

№ 5 ლექსში, 1758 წლის თარიღით, მეოთხე ტაქტში ვკითხულობთ:

მინდა პირი გავაღო და შეგაქო აშულივით.

ათი წელია დაყდივარ ფადიშაბის ელჩივით.

შემდეგ შეიდ წელს კიდევ ვივლი სახით ხელთ, ყარიბივით.

შენ ხარ ჩემი შაშსანამი, სხვა არვინ მყაეს, ნათელავ!

3. ფაშლულ-დევიანი.

სომხური ლექსით—

№ 43 ლექსში, 1758 წლის თარიღით, პირველ ტაქტში ვკითხულობთ:

შენთან მჯდომას მუდამ ათრობ,—ბანგი-ბუზა ხარ, აზიზო,

მხილველს ფაშლულ-დევად აქცევ.—თითქოს ჯაშა ხარ, აზიზო..

სადაც იქნე, დაამშეენებ, მეჯლისთ მახა ხარ, აზიზო!

ერთ საათით ნუგბარ-მახა, მუდამ ნორჩი ხარ, აზიზო

4. სპილენძის-ქალაქის ისტორია (სპილენძის ქვეყნის ამბავი).

ქართული ლექსით—

„ქოქობი ძუძუთ გაზრდილო“ (გვ. 108), მეორე ტაეპში ვკითხულობთ:

ქარში გულის დიდი ჯარი, გამოდი, სულთანი ხანი!

ბაღში ვარდო და ნარგიზო, მთაში—სუმბულო, სოსანო.

ოქრომყერდში ამოსხმულო მარგალიტის კრიალოსანო,

„სპილენძის ქვეყნის“ დედოფლის საყურისაგან ლამაზი ხარ!..

რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე აღვნიშნავთ, რომ როგორც „ფაჯლულ-დევიანის“, ისე „სპილენძის ქალაქის“ სიუჟეტები საიათნოვას დროს უკვე ნაბეჭდ წიგნადაც არსებობდა, რამდენადაც 1707 წელს პირველი გამოცემით, ხოლო 1731 წელს მეორე გამოცემით კონსტანტინეპოლში გამოცემული წიგნი სპილენძის ქალაქის შესახებ შეიცავდა როგორც ამ სპილენძის ქალაქის ისტორიას, ისე ხიკარისა და ფაჯლულ მეფის ისტორიასაც.

5. ექიმ ლოხმანის ამბავი.

სომხური ლექსით—

№ 4 ლექსში, 1753 წლის თარიღით, მეოთხე ტაეპში ვკითხულობთ:

არ მყავს მიჯჯური შენს მეტი, გაცურბი სხვას ამ ქვეყნისას.

თუ ერთ კვირას შენ ვერ გნახავ, გაცწყვეტ სიმსა ქამანჩისას,

ყურს არ ვუგდე ხმას ლოხმანის და მეფისას ძაბილისა.

რომელ ერთ დარღს გამიგებენ,—შულული დაღის ნატრულია!

№ 22 ლექსში, 1758 წლის თარიღით, მეორე ტაეპში:

არსად პატრონი არ მოჩანს, ვუკაუნო ქარშია.

ექიმ ლოხმანი რო იყოს, ჩახედავდა დარღშია.

მნახე როგორ არეულებრ, ჩამიხედე ჭკვაშია.

წყალმა ძელი წამამგლიჯა, რტოსთვისა რო ვტირი!

აქაც საკიროა აღინიშნოს, რომ ექიმ ლოხმანის არსებობაზე საიათნოვას, ფოლკლორულ სიუჟეტებს გარდა, შეეძლო რომ გაეგონა ყურანიდანაც, სადაც იგი, ლოხმანი (ლოკმანი), ორჯელ მაინც არის მოხსენებული: სურ. XXXI, 11—12.

6. სოლომონ ბრძენის ამბავი.

№ 21 სომხურ ლექსში, 1758 წლის თარიღით, საიათნოვა, როგორც ზემოდ დავინახეთ, იხსენიებს სოლომონ ბრძენს, რომლის იგავებს იგი კარგად იცნობდა და 1766 წ. გადაწერა კიდეც. მაგრამ ამ სოლომონზე მას, საიათნოვას, შეეძლო ბევრი რამ გაეგო ქართული და სომხური ფოლკლორიდანაც.

7. შვიდ ბრძენთა ისტორია.

სომხური ლექსით—

**№ 7 ლექსში, უთარილოში, მეხუთე ტაეპში ვკითხულობთ:**

ვინ იცის თუ ვინ შემხვდება—მირჩიოს,

გული ჩემი კვლავ აღირ ამიმღვრიოს.

შეიდნი ბრძენი მკვიდრი იქ—საიჯიოს

სახათოვას ვერ დასძლევენ საქმითა!

იგულისხმება, რომ ეს შეიდნი ბრძენი არიან: პიტტაყე მიტი-  
 ლენელი, სოლონ ათინელი, კლეობულე როდოსელი, პერიანდრე  
 კრინთელი, ქეილონ სპარტელი, თალესი მილეტელი და ბიას პრიე-  
 ნელი<sup>1</sup>.

**8. წითელი ძროხის ზღაპარი.**

სომხური ლექსით—

**№ 56 ლექსში, უთარილოში, მეხუთე ტაეპში ვკითხულობთ:**

სახათოვამ სთევა ასე რომ: „მე წითელი ძროხა ვარ;

საწეველ ქოთანი ჩამიტყდა, რძალთან უმძრაბადა ვარ“.

**9. საფრანგეთის ატლასის ამბავი.**

სომხური ლექსით—

**№ 16 ლექსში, უთარილოში, პირველ ტაეპში ვკითხულობთ:**

მეტად ტკბილი ხმა გაქვს შენა, ლამაზადაც საუბრობ.

მან დაგლოცას, სამსახურსა ვისაც უწევ და უთმობ.

წელი თუ გაქვს ჯეირანის, შაქარივით თვალს ატყობობ.

საფრანგეთიდან მოსული შენ ხარა ხარ, კეკლუცო!

**№ 19 ლექსში, 1754 წლის თარილით, მეხუთე ტაეპში:**

შენმა დარდმა დამაბერა, ვისღა უთხრა, თუ რა ვარ.

ნუ გამიშევებ ხელიდანა: მე ხომ ოქროს თასი ვარ.

საფრანგეთით მოტანილი ზარ-ატლასიც თითონ ვარ.

დაკეცე და ყუთში ჩადე ეგ დავთარი შენთვინა!

**№ 26 ლექსში, უთარილოში, მესამე ტაეპში:**

ერთი ტვირთი საესედა მაქეს საფრანგეთის ატლასითა,

მეორე ზარ-ყალამქარით, საბით ვითარ ეტრატითა;

მესამეცა ჩინმაჩინსა აფარლათებს სრულებითა;

არის ერთიდუნიაცა, ფადიშაპის ხალათითა.

გაჭრა-გამოჭრა არ უნდა, კერვამ მე არ მიმუნათოს.

**10. რაშის ამბავი.**

სომხური ლექსებით—

**№ 1 ლექსში, 1759 წლის თარილით, მესამე ტაეპში ვკით-  
 ხულობთ:**

ხემი მდიდრად დაფვრილი

თვით ფერადის ქარგითა;

<sup>1</sup> იხ. Bohren, De septem sapientibus, Bonnae 1867.

ძუაც რაშის კუდის წილი,  
ხმა-ჰყავ ტკბილის პანგითა!

**№ 18 ლექსში, უთარილოში, მეოთხე ტაქტში:**

შენმა ეშხმა მოლად დამათრო: მღვიძეს, თითქოს ძილშიც ვარ!  
ქვეყნით სოფელი გამოძღვა, მე შენგნით მშიერი ვარ.  
როგორ ვაჭრ, რა გიშოდო, არაფერი არა ვარ.  
ციცხლის ზღვიდან ამოსული ჯეორანი-რაში ხარ!

**№ 25 ლექსში, 1758 წლის თარილით, მეოთხე ტაქტში:**

სახუ, ფარსულად რომ გითხრა, გიგავს შამსა-ყამარსა.  
წვრილი ტანი ქირმანშალი, გიგავს ოქროს ქამარსა.  
კალამი ხელი ვერ ჩერდება, ასულელებ მხარეარსა.  
თუთიყუში ხარ მჯდომარედ, რაში მდგომარედ, ტურფაც!

**№ 37 ლექსში, 1759 წლის თარილით, მესამე ტაქტში:**

კარგი კაცი არის მხოლოდ ანგელოზთა ხელშია.  
სუნი-გემო ამ ქვეყნისა უერ შეიტყო ბრძნებშია.  
ბედილბალსა უზაგირი უდევს რაშა, წელშია.  
ქვეყანა ჩვენ არ დაგვრჩება, სუნაგობა ვის არგებს?

**№ 43 ლექსში, 1758 წლის თარილით, მეორე ტაქტში:**

შენი სიტევა შაქარსა სჯობს, უფრო ტკბილი-ხამოა.  
მიხრა-მოხრით რაშა გევარ, შენთან რბენა ამაოა.  
მარგალიტით საქე გალო, სადაფებიც საქმაოა.  
ვერცხლის კლიტით ჩაკეტილო, ოქროს რაზა ხარ, აზიზ!

**11. ვარდ-ბულბულიანი.**

აღმოსავლურ ძველ ლიტერატურებში და, კერძოდ, სომხურშიც  
გავრცელებულია ალეგორიული სიუჟეტი ვარდისა და ბულბულის  
შესახებ, რომელიც მე-XVI საუკუნეში საუცხოოდ გამოყენებული  
იყო პოეტ გრიგოლ ახთამარქის მიერაც; იგი საფუძვლად დასდე-  
ბია საიათნოვას ერთს სომხურ ლექსს (№ 50), უთარილოს, 4  
ტაქტად.

ამგვარად, მრავალი კიდევ სხვა ნაშარმოების ჩვენება შეიძლე-  
ბოდა, რომლებიც საიათნოვას სახეში აქვს ამათუიმ სომხური ან  
ქართული ლექსის შეთხვისას ან და იმავე ლექსთა ამათუიმ ტაქ-  
ტისა ან სტრიქონის გამართვისას.

დასასრულ, შევჩერდეთ ორიოდე ფაქტზე იმ დებულების ნა-  
თელსაყოფად, რომ თუ, ერთის მხრივ, საიათნოვას შემოქმედებას  
გარკვეული ბეჭედი აზის მის დროს არსებულის სასულისერო და  
საერო ლიტერატურისას ფართო გავებით, მეორეს მხრივ, მასშივე,  
მის შემოქმედებაში, ასახულია ზოგიერთი ისეთი ფაქტი, რომელიც  
საუცხოოდ თარილდება საისტორიო წყაროებით.

Ճյ հիշեն սաեցի զաքված ցացից ժամանակ, չե՛ր յրտո, յ. Ռ. „տունիս-  
բաշթուն“, եռլող Շեմլեց Ծոցունունուն մոլոնուն յըլունուն ցանածլեցին-  
սակութեց.

Սաօտնուած յրտուն յարտուն լլոյթ մատուն մատուն մատուն մատուն  
մեխուտ բայպին նատեցամուա:

Քալմարտուն սուրպա ար զուռուն, զոն մոցահեցնա,  
զոն մոցահեցնա, զոն ցացեցնա ցարդուն ցացեցնա?  
Ծուրդա-նարուուն, Շենսա յեծաս զե՛ր ուրպաս յե՞ն,  
մու, սամատնուաց, ռա ցարուրցիս, զոն մոցուն Շե՞ն?  
Բաշթուն տունին ոնդուն մետուն անանցնա!

Մյորեց ՝ պարմովրունուն “ (ց. 118) մյորեց բայպին:

Ոնդուն եղալմունուս բաշթուն, մայլուն գունուն գունուն,  
ներացու Շենսա մելուն յունսա, տեղ սացս մուշկուն,  
ցոնդեց ոյշուն գուրեց մարմարուն կոմքուն,  
Ապարա ունցաց, լումանուն, Շե՞ն յշունուն յարո նշ ցոնդա!

Եռլող № 21 սոմեխուն լլոյթ մատուն տարունուն, մյորեց

բայպին:

Սատուտառուն զե՛ր ոտքմեցա ուն, ռաց ոտքմուն մոտեհունուն:  
Նարուս-նարծանուն կուռուն, ցունուն եալուտ-եալունուն;  
Կերու զերպելուն մոցունուն, ագցուն-ագցուն ցարացուն.  
Եռունուն Շաէնս ացեծունուն բաշթուն տունուն, Ծուրդաց!

Ամ սյանասյնել սրբունուն ք. անցունուն տացուն գորուն գայուն-  
տուն Շեմլեց ցանմարեցա: “ տունիս բաշթուն-բաշթուն տունուն ոյշուն-  
տուն ացեծունուն դա անձամար-մարցալունուն Շեմլեց սամեցուն բաշթուն,  
հոմլուն յամարուանուն սանցունուն լացունուն ոյտ մզունուն յեպա-  
տացան ցամունցանուն պարզունուն սանուն-ոյարշեցանցուն (տացուն). յե-  
բաշթուն դունքանուն ոնցունուն գունուն մոցունուն եղլին ոյտ դա չունեն-  
ածուն (գունուն) եանունանուն ոնսեցունուն, սանունաց 1739 թվուն նազուն-  
Շաէմա ցամունուն դա սկարսեց թունուն<sup>1</sup>.

“ տունիս բաշթուն “ ալլոյթունուն եսենցնունուն սաօտնուած մեց-  
զունուն այց 1739 թվուն սուրուունուն ամենուն—ոնցունուն գայուն-  
բանուն նազուն-Շաէմանուն մոյր, հոմլուսաւ սյանասյնելմա եղլու հաջու-  
սամուն բաշթուն-յրտուն ուրպանուն, մյորեց մալահետունուն դա մեսամե մզուն-  
ուն տունունուն դա ոյարշեցանցուն ցամունսանցունուն Շեմլեց սամեցուն,  
հոմլուն ցամուն բաշթուն օյմենա սկարսեց թունուն<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ք. անցունուն, 103.

<sup>2</sup> սե. դաշման ցունուն եանն ուցարույն, ոյրիշունագ (սոմեխուն անցունուն), զը-  
նցուն 1800, ց. 57—58. Journal de Tambour Aroutine sur la conquête de  
l'Inde par Hadir Schah (Thamas Kouly Schah) 1735—1740 (Traduit de l'ori-  
ginal en langue Turque, écrit avec des caractères Arméniens) par Jacoub  
Artin Pacha.— „Bulletin de l'Institut Egyptien“, quinquième série, t. VIII (pre-  
mier fascicule). Année 1914, p. 208.



მეორე ამბავი, რომელსაც ჩვენ საითნოვას შემოქმედებახუთა  
დაკავშირებით უნდა შევეხოთ, გახლავს ე. წ. მოღნინის ანუ მოლ-  
ნისის ეკლესიის განახლება ტფილისში 1751 წელს. ამ ამბავს საით-  
ნოვა უძლვნის ერთს სომხურ ლექსის (№ 58), რომელიც ბოლოში  
დაზიანებულია და უთარილოცაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც  
საუცხოო გამოხატველია მისი კლერიკალური სულისკვეთებისა, და  
შეიძლება მიეკუთვნოს ან მიავე 1751 ან, უკიდურეს შემთხვევაში,  
1752 წელს, რომელი თარილითაც საერთოდ ცნობილი არიან საით-  
ნოვას აღრინდელ თარილიანი ლექსებიც (გვიანდელი თარილიანი  
ლექსები 1759 წლისაა).

მოღნინის შესაფერი სომხური წარწერა, რომელიც 1751 წლის  
განახლების ფაქტს ადასტურებს, გადმოვცემს შემდეგს:

„ნებითა და შეძლებითა ღვთისათა საძირკველთაგან აღიშენა  
წმიდა ესე ეკლესია, რომლის სახელწოდებაა ქამაგატარ ღვთისმშო-  
ბელი, მამათმთავრობასა უფლისა ლუკასი ბელნიერი ქათალიკოზისა  
და მეფობასა ჩვენის ქვეყნისა ქართველთასა თემურაშ ქრისტეს  
მიერ გვირგვინოსანისა და ძისა მისისა ირაკლისა ხელმწიფებით  
ძლიერისა. აღიშენა ღვაწლითა ტფილისელის მუნთოანთ მამაჯანის  
ძის მიკირტუმასი და ბასტამანთ სტეფანეს ძის მიღდისა მელქოსი  
და ბაშინჯალელის ყულიჯვანის ძის პავლესი (პოლოსისა) და მის  
ღვთივ-განსვენებული სიმამრის მიკირტიჩასი. ესე იქმნა დეკანოზო-  
ბასა მიღდისა ტერ-აბრაამესა. ვინც წაიკითხოთ, შენდობა ბძანეთ.  
ღმერთმაც თქვენ შეგინდობს. წელსა 1200 (=1751) მარტის დასა-  
წყისს<sup>1</sup>.

ესევე ამბავი უსახელო ავტორის მიერ 1837 წელს შედგენილს  
ტფილისის ეკლესიათა აღწერაში („წელსა ჩყლზ-სა აგვისტოს დ-სა  
დღესა. აღწერა ტფილისა შინა მდგომარეთა ჰაოსთა სარწმუნოე-  
ბისა ეკპლესიათა, რომელნიცა არიან რიცხვით 22-ნი“) მოთხოვობი-  
ლია შემდეგნაირად, თარილის გადასხვაფერებით: „მახლობელ თვალ-  
თა ბებუდოვთა სასახლეთა არს ეკლესია გუმბათიანი სახელსა  
ზედა წმინდისა გიორგისასა, მოღნინად წოდებული, მდგომარე ოთხ-  
სა სევტისა ზედა. გარდა დიდისა ამის ეკლესიისა გუმბათისა სამსა  
მხარესა ზედა კუთხესა გარედამ ადგა სამი მოწვრილო გუმბათი.  
ამათ წვრილთა გუმბათთაგანი ერთი არს ზარებისათვეს და ორი

<sup>1</sup> იხ. სარგის ჯალალიანი, მოგზაურობა დიდს სომხეთში, სომხურად, წ.-I, ტფილის 1842, გვ. 70. M. Brosset. Voyage archeologique dans la Géorgie et dans l' Arménie, V rap., p. p. 21—22; ხელნაწერი საქ. საისტორიო-საეთნო-გრაფიკ ყ. საზოგადოების კოლექციის № 1633. 1 გ. შდრ. აგრეთვე П. Иосели-  
ани, Описание древностей города Тифлиса, Тифл. 1866, стр. 238.



ცარიელ. ამას ეკვლესიასა შინა ასვენია ნაწილი წმინდისა გორგოსშე-  
ესე აღშენებულ არს წელსა 1532-სა (sic. ლ. მ.-ბ.) მოქალაქეთა მან-  
დენოვთა, ბასტამოვთა და ბაშინჯალელოვთაგან. შინაგან ფრიად  
შვენიერ სახილველი ვიდრე გარეგან. ამას შინა არიან ფრთი დეკა-  
ნოზი და ოთხი მღვდელი”<sup>1</sup>.

მოღნინის ეკლესია სომეხთა ერთ-ერთი თვალსაჩინო „ხატ“-  
თაგანი იყო საქართველოში, რომელიც ქართულ საისტორიო საბუ-  
თებში თელეთთან ერთად იხსენიება ხოლმე. ასე, დავითგარეჯის 1724  
წლის ერთს სიგელში წმ. გიორგის იმ „ხატებ“ შორის, რომლებსაც  
თავის თავს ანდობს თვით მისი დამწერი, მოხსენებულია: „წმინდ[ა]  
გიორგი გორისჯვარისა, წმინდა გიორგი ატოცისა, წმინდა გიორგი  
თელეთისა, წმინდა გიორგი მოღნინისა“<sup>2</sup>. ერთს სხვა ხელნაწერშიც,  
რომელიც წარმოადგენს შელოცვას რჩეულ წმიდათა მიმართ, „წმ.  
გიორგების“ ნუსხაში, თელეთის წმ. გიორგისთან ერთად, მოხსენე-  
ბულია „წმ. გიორგი გოდოლნინისა“,<sup>3</sup> რომელიც, ცხადია, „მოღ-  
ნინი“-ს გადამახინჯებული ფორმა უნდა იყოს<sup>4</sup>. ხოლო თვით სახელ-  
წოდება „მოღნინი“ || „მოღნისი“ || „მოღნი“ წარმოებულია სოფ-  
ლის სახელწოდებიდან „მოღნი“ || „მუღნი“, წმ. გიორგის ეკლე-  
სიითურთ, ეჯმიაწინის მახლობლად, სადაც ცნობილი არიან „ვეშპ“  
—ფალუსის კულტთან დაკავშირებული ადგილები „აშტარაკ“ და  
„ოშაკან“-ის.

<sup>1</sup> ლ. მელიქეთ-ბეგა, მასალები ტფილისისა და „სომხითის“ სიძეველეთა  
ისტორიისათვის,—„ჩვენი მეცნიერება“ № 1, 1923 წ., გვ. 88.

<sup>2</sup> ხ. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, V, ტფილისი 1913, გვ. 36.

<sup>3</sup> А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, кн. I. Москва 1895, стр. 129.

<sup>4</sup> იხ. ლ. მელიქეთ-ბეგა, სომხური სიძეველენი ტფილისის ანლო მიღამო-  
ებში. შევნაბად-თელეთ-წავეისი,—„საქართველოს მუხეუმის მოამბე“, t. I. 1922.  
გვ. 93—94.

<sup>5</sup> Н. Mapp, Книжная легенда об основании Киева на Руси и Ку-  
зра в Армении,—Изв. ГАИМК, т. II, 1924, стр. 278.

# ლექსი პრეზული

1\*.

## ԿՈՉԵԼ ՏԱԿՑՈ ԵԱԺԻՑՈ ԵԱՐ

1. Կոչել Տակցո նայեօն եար  
ցոտա ձասո, յամանհիաց! /  
ժոն՛յոսատցու Ցյ երե՞մո եար  
ձա մարեցաւր, յամանհիաց!  
  
յըագյ, հոմ յարշ դլյու ձա դրոն  
մոալ՛յոռ, յամանհիաց!  
Նյոն տացո ցոն վամարտոն  
սածասոնց, յամանհիաց!
2. Կոչել Ցըրպելոտ Ցյէպէդոլո,  
տացո ջացաօրոտա;  
Ծարո Շորմոտ Ցյմյոնձոլո,  
լունուր սագագոտա.  
  
Տոմսա ոյշոն ցարայուսաս  
տոտեր-ըշոնոտ ցամարտաց;  
ցայեծ Տայրաց մցորդասոսաս,  
լալ-օլմասո, յամանհիաց!
3. Եբո մգութագ դագյուրոլո  
տցոտ ցյուրագու յարցոտա;  
ժուաց Հա՛մու կցուցու Ծոլո,  
եմա Ֆյաց Ծյունու Ֆանցոտա!  
  
ցենչելուտցու լամուտցագ,  
մոլուցցու նանոնաց;  
ոյշոն տասու լցոնու Սմյցագ,  
սացանժորու-եանոնաց!

---

\* Ամ լոյքնու հշեսուլո տարցման ռե.: В. Брюсов, Поэзия Армении, Москва 1915, ց. 257—258 (№ 12).

4. შენ დამკვრელსა სწევავ და ჰდაგავ,  
 ჩაის-ყავას მოითხოვ;  
 აივნებში ქეიფს აბავ,  
 რაფაზედაც ძილს ითხოვ.

თუ რომ შეხვალ შიგ მეჯლისში,  
 დიდს შექცევას გამართავ;  
 ქალებს მართებს სვლა შეჯიბრში  
 შენით ეშხით, ქამანჩავ!

5. სევდიანი ბევრი ხარობს,  
 ცივანაც' არ ცივდება;  
 ბევრიც შენგნით სმენას ატკბობს,  
 ყურძენიცა მწიფდება.

შენს საქებად ბევრი მოვა,  
 იტყვის: ვაშა და ვაშა!  
 სანამ ცოცხლობს სახათნოვა,  
 ბევრ რას ნახავ, ქამანჩავ!

P. S.: A. ესე არუთინას ნათქომი ქრონიკინის ფ. მ. ზ. (447—1759).

B. ასე საიათნოვას თავისი საყვარელი და ძვირეული მამული ქამანჩა  
 რომ უჭია, მუხაბაზის ხმაზედ ათარგმნინეთ, გალობა ჩუმესა მაგა-  
 ლითები გახლავს.

var.: 4. შენ დამკვრელსა ორად ჰმართავ,  
 შალის ნაცვალს მოითხოვ;  
 აივნებში ქეიფს აბავ,  
 დასვენებასაც ითხოვ!

## 2.

### შენი წონის მარგალიტი

1. შენი წონის მარგალიტი რო მომცენ მე უზომოდ,  
 შენი წონის ანდამატი რო მომცენ მე ურიცხვოდ,  
 საყვარელო, ცათასწორო, შენ არ დაგთმობ უომოდ.
2. სიკვდილს სულ არ გავიქცევი, თუმც მომაღვეს კარზედა;  
 თვით რაყიფის მუქარაც კი ველარ შემშლის კკვაწედა,  
 თუგინდ ყაენის ბრძანება მე დამატებდეს თავზედა.  
 საყვარელო, ცათასწორო, შენ არ დაგთმობ უომოდ.
3. შენი წონის ანდამატი რო მომცენ მე ურიცხვოდ,  
 შენი წონის მარგალიტი რო მომცენ მე უზომოდ,  
 საყვარელო, ცათასწორო, შენ არ დაგთმობ უომოდ.

P. S.: A. ԳՈՒԼԻՍԱՆԳԻՆԱՆԻ ՀԱՇԴՈՎ: ՌԱԶԻՍՆԻ:

## 3\*.

## მოღი ახლო, უზრი მიგდე

1. მოდი ახლო, ყური მიგდე, გულო შეშლილო ჩემო!  
ქვეყანა რომ დაგრჩეს შენა, რით უნდა დაიჩემო?  
პირისწყალი, თავმდაბლობა, კდება შეიყვარე!  
ლმერთი-სული და მოყვარეც ისე შეიყვარე!
2. შენ ისეთი საქმენი ჰქმენ, რომ შეიქმნე ლვთის გულის.  
სამი რამე არს ამ ქვეყანად ხორციელის და სულის:  
წიგნი, კალამი, დავთარი კარგად შეიყვარე!  
სკინაქსრისა დარიგებაც ისე შეიყვარე!
3. ქმარა, გულო, რაც გაქვავდი; მოდი, ერთი მომხედე!  
ჰალალითა ზრასვით-ნდობით პურმარილსა შეხედე!  
რომ შენ არვინ არ დაგცინოს, ალთქმა შეიყვარე!  
დარიგება, მოთმინებაც ისე შეიყვარე!
4. თუ რომ არ გაიძერები, მოგიწონებს უფალი.  
იყავ შეწევ ქვეით მღვიმთან ქცევითა თავმდაბალი.  
ყველა ერთი სულისაა, ერთობ შეიყვარე!  
ალქატ-სტუმარი და მწირიც ისე შეიყვარე!
5. ნეტამცა შენ, საათონვეა, საქმეს ისეთსა ჰქმნიდე,  
სულის ხათრით სხეულს ყოფად ხელს რომ ალარ უშლიდე.  
სანამ სასჯელს დაესწრები, სალი შეიყვარე!  
მონასტერი და უდაბნოც ისე შეიყვარე!

P. S.: A. უჩლამა არუთინას ნათქომი მაისის ა. ქრონიკონის უ. მ. ა.  
(441—1753).

## 4\*.

## ოოგორც უარიბი ბულბული

1. ოოგორც ყარიბი ბულბული ბალებისა ნატრულია,  
მოტრფიალეც ისე ტირის, შენს ხელთ რახის ნატრულია.  
სწორედ ისე შენი ყმაცა ბატონისა ნატრულია,  
უბის შამამიც მწიფე გაქვს, თაბახისა ნატრულია!
2. არყინაა ვუზიარო: შენი ფერი ასეთია.  
თითქოს კალმით არ უხატავთ, შენი წარბი ისეთია.  
განშე გახველ, ტანშე მეტად, გულმკერდიცა აგრეთია.  
აბრეშუმით გაქვს დაწნული თმები,—ნამის ნატრულია!
3. შენ იმ თავით ნაქები ხარ, ახლა ქება გინდა ჩისა?  
უბე უჯრა ვარაყისა, სუნი მას სდის მუშკანბრისა.  
სამას-სამოც-ეჭები ასო გშვენის როგორც არავისა.  
თითები გაქვს სანთელივით,—ბროლის ჭალის ნატრულია!
4. არ მყავს მიჯნური შენს მეტი, გავურბი სხეას ამ ქვე-  
ყნისას,  
თუ ერთ კვირას შენ ვერ ვნახავ, გავწყვეტ სიმსა ქამან-  
ჩისას;  
ყურს არ ვუგდებ ხმას ლოხმანის და მეფისა ძახილისას:  
რომელ ერთ დარღს გამიგებენ,—წყლული დაღის ნატ-  
რულია!
5. დლე და ლამე შენის ეშხით ვხეტიალობ, ო კიპლულო!  
უური მიგდე, გნაცვალე, იარ ნელად, ო კიპლულო!  
ქვეყანა ვის შერჩენია, რომ ჩვენ დაგვრჩეს, ო კიპლულო!  
შენი ყური სახაონოვას სიმღერისა ნატრულია!

P. S.: A. ეს დიბაუ იენგიდუნიის ჰანგში. მუსადასი არუთინას ნათქოში  
ქრონიკონის უ. მ. ვ. (446—1758).

5\*.

## ՏԵՐԵՎԱՆ ՑԵՐԵՎԱՆ ՅԵՇԽԱՑՈՒԹԱ

1. Տունյաս ցերեվո պէլը ծիութա, մոմումոնյ նյու-նյուազ!  
Ցե ցնաւրհուլոն Շեն նաեսա, հիմու պուրոնաւուլուց!  
Հա չունու մոցապպեն, հոմ հիմս սաեսա ստուլազ?  
Կալա կայսութա ցամունա, ո, հիմս ցարւա, նաւուլազ!
2. Խացրամ ցանա ուզուսու սաւրութա արցուս պայսարս պաշոմուն?  
Շենուս յշենու կյանչե Շեպուդու, ցերուալոն պամինուն.  
Ըստ արցուն ցանութագուս հիմու դարւու պարուսիսուն!  
Կալա դամշչու միջյերուցութա յշենուս պապելուտ, նաւուլազ!
3. Մեցոնձրենու մերագ մոյքուց, պապեսու հատ դաշմեցոնձրե?  
Գավլուլ գլուսա պէլար ցամինց հոցոնց կո առ պալո-  
լոնձրե.  
Մերագ մերագ, լմերումանու, հոմ պայլասա պածոնձրե.  
Մյ პարարա նազսա ցայցար, Շեն կո նլցա եար, նաւուլազ!
4. Մոնճա პորու ցայցալու դա Շեցայու ամշուլուցուտ.  
Օտո Շելու դաշուղուար ցագութամուս յլինցուտ.  
Շեմուշ Շուր Շելս կուրու զուզլու սանութ եւլու, պարո-  
ծոցուտ.  
Շեն եար հիմու Շամսանամու, սեցա արցուն միացս, նաւուլազ!
5. Օտասու հու մյոնճուց դարւու ամ ցալլամու, առ ցմունուն.  
Շեն եար հիմու մծորմանենուլու, սեցա Շամս ալար Շամուշուն.  
Սահատնոցամ ստիշու: „Ալլահուլու! Մյ սուզուլուսա ցէցումացօն;  
Մյ ցնաւրհուլոն, հոմ դամրուրու տիմա-ցամլունու, նաւուլազ!“

P. S.: A. յսկը ոմ ժանցնու արշուտունաս. յիշունուցունուս թ. թ. 3. (446—1758).

B. յսկ մշեսամենու արուս.

\* Հայութանու տարգմանու ոնք: С. Шарти, Армянские поэты, Саңաւրուցուն ցամ. 1916 թ. չշ., 3, Ծովունուսուն ցամ. 1917 թ. չշ. 25—26.

## 6.

## როგორც ლეილი მეჯლუმსა

1. როგორც ლეილი მეჯლუმსა, დამეკარგე უმწიფლოდ.  
ლეილი-ჯან, დავებნიე, ვხეტიალობ უმიშნოდ.  
მეწვის ფილტვი და გულ-ღვიძლი ყოველდღე, უთაგბოლოდ-  
ცრემლის ნაცვლად თვალთ სისხლი მდის, სადა ხარ-  
უგზავნალოდ?
2. დღეს მე ვტირი სწორედ ისე, როგორც ტირის ბულბული.  
სისხლით ამევსო თვალები იმედ-გაცრუებული.  
შენის ეშით მე ვარ ვეად, უღონო და უძლური.  
დავლოგინდი და აშ ვგდივარ დავრდომილი-სნეული.
3. შენის ეშით, ჩემო ტურფავ, გარდავიქეც ეზიდაც.  
დაველიე, გამოვტვინდი, გარდავიქმენ სულელად.  
შემიბრალე, შემიწყალე, რამე მითხარ ხარებლად.  
რატომა ხარ უმოწყალო, ჩემდა შეუბრალებლად?
4. მე ვიწვი და შენ გეძახი, ეს კი შენთვის არ კმარა?!  
გულმქერდი გაქეს თითქოს ბალი, წარბებიცა კამარა.  
ქვეყანაზე შენი მსგავსი არვინაა, აღარა!  
შენი მსგავსი არ მინახავს, არ მინახავს სულ არა!
5. შენ გაშლილხარ სწორედ ისე, როგორც ია სივრილით,  
თანაც გამოიყურები წითელ-ფერის ვარდივით.  
სახათნოვას ნუ ატირებ მწარე ცრემლით, გიჟივით.  
თვალის-ჩინო, დამენახე, კმარა მხეოქო დუმილით!

P. S.: A. ეს სიმღერა იმ ხმაში **FLPHTL** სასახლ და კართვის სასახლ  
სა კართვის სამსახურის არაუთინას ნათქომი აპრილის ე. ქრონიკონის ფ.  
მ. ე. (445—1757).

B. ესე დუბეითის ბმაზედ გახლავს საიათნოვას ნათქომი.

7\*.

## ՀԱԼԱՏ ՑՈՆԴԱ ՇՑԵՐԵՆԴԱ ՇԲՆՔԻՆ

1. Հալատ մինդա շվենոնդա պանցեծա,  
հանցեծս ճացպրո, ճամեյարցա թեցնեծա.  
ամոմլզրոյ թուղու կը զա ճա զոնցեծա.  
筵անցեծսաւա մուցություն, ռենջչսաւ.
2. յրտև քրոլոնծաս որո ճալո հատ պնդա,  
յրտև նոյարսա որո ալս հատ պնդա,  
յրտև թեծալուս որո ծալո հատ պնդա.  
սասլյո ճա ճարցա մատո պէորսա.
3. մարտալուս սուրպա սօնիմնուսմերպալուտա:  
„ծալո ճացրցո, զարգո նշուարտւ զամալուլուտա;  
ամացո մը տոտոն ճացզու, ոցո ճարիս հիմս թիւրտա.“  
հարմանա հոմ զըլուրսետ զըրացոնծաս ասետսա?!
4. հալատ մինդա շվենոնդա դռալատո;  
օլար յմարա, հոմ զարտարո տացս լացո?  
զոտ ցոհիշոնսան, տացնե մաց-պանկալատո  
մռազույն պանոնթո սալցուրսա.
5. զոն օպուս տու, զոն թեմեցզեծա—մորինոս,  
ցուլո հիմո կըլազ օլար ամոմլզրուս.  
թշունու ծրացնու մցունուն ոյ—սայինոս  
սահատնոցաս զյր ճասկլացըն սայմուտա!

P. S.: A. ՂԱՓԻԱ ԵԱՐԱՆԱ

\* հայստանու տարբանու ոհ.։ С. Шарти, սարաւուս գամ., 6, Ծովունուս գամ.  
17—18.

## შენ იმ თავით ხომ ბრძენი ხარ, კეკით სულელსა ნუ!

1. შენ იმ თავით ხომ ბრძენი ხარ, კეკით სულელსა ნუ!  
ვბაძავ.
- ერთ ტაფაში ნუ აურევ, რასაც სიზმარში ვნახავ.  
მე იმ თავით დამწევარი ვარ, ხელმეორედ ნუ მხრაკავ-  
თუ რომ, ვიცი, დაქანცულხარ, შე სხვის რაღათ აბრალებ?
2. შენისთანა მბრძანებელი არ არს, როსტომ-ზაალო!  
შენი გვარი გვართა შორის ნაქებია, ჰალალო!  
თუ რომ ბევრი ცოდვა მქონდეს, თავი მომქერ, უფალო!  
შენ შეხედე შენს გამჩენსა და უბრალოდ ნუ მსაჯავ!
3. დაჭრილს ექიმი თუ უნდა, იმიტომ რომ განკურნოს.  
ყული აღაზე არ ჩივის, კვლავ შეპფერის ითმინოს.  
უცხოს ნულარ დაუჯერებ, არ შეგშალოს, გაცდინოს.  
ლოთის სერობის ქადაგივით პასუხს კარით ნუ გასცემ!
4. ყველას დალევა არ ძალუძს ჩემი წყლის,—სხეა წყალია!  
ყველას წაკითხვა არ ძალუძს ჩემ ნაწერთ,—სხეა ცალია!  
ფუძეც ქვიშა არ გეგონოს,—ქვითკირი და სალია!  
ნიალვრივით გაუშრობლად შენ მალე ნუ ილევი!
5. ქარმა რამდენიც წაილოს, ზღვას ქვიშას ვერ დააკლებს.—  
თუგინდ ვიყო ან არა და, მეჯლისთ საზს ვერ მოაქლებს.—  
მოგაკლდები მხოლოდ შენა, ბეწვსაც არვინ მოიკლებს.  
სახათნოვას ნეშტს ნუ ისცრი აბაშ-ინდო-არაბეთს!

P. S.: A. ესე არუთინას. ქრონიკონის უ. მ. ა. (441—1753).

B. ესე მუხამებაშია.

\* რუსული თარგმანი იხ.: В. Брюсов, 235—236 (№ 9), ნაკლულოვანი  
(მხოლოდ 1, 4 და 5 ტაეპების) ქართული თარგმანი იხ. სიკო ფაშალიშვილი,  
შენ იმ თავითვი,—„კოლექტივიზაცია“, 1934 წ. № 234.

9\*

## მე უარისი გულბული ვარ

1. მე ყარიბი ბულბული ვარ, შენ—ოქრო ყაფაზივით.  
გამითელე პირისახე თითქოს ფიანდაზივით.  
ტურფავ, ერთხელ მესაუბრე შაპის ილთიმაზივით.  
ლამაზ სახის პატრონი ხარ, ალისფერის, გაზივით.
2. ბალში, ტურფავ, რომ შესულხარ და სეირნობ გმირულად.  
შენი შექი მზის მსგავსია, მხილველს ჭიბლავს ღვთიურად.  
ყუცხლად მიქცე გულვიძლი, მომექეცი გიუურად.  
არცერთ კიკლუცს არ აქვს შენი მიხრა-მოხრა ნაზივით.
3. ტურფავ, იცი, მონა ვარ მე, ძვირფასის ჩირალი ვარ.  
ვინმე მნახოს კარზედ გეგდო, იფიქრებს ტუსალი ვარ.  
შენის ეშხით დავსნეულდი,—არ ვკვდები, არც სალი ვარ.  
მუდამ ვლელვარებ ზღვასავით, გიუ ვარ არაზივით.
4. შენის ნახვით გიუდებიან,—თეთრ სახეზე ხალი გაქვს.  
ჩემს სიკვდილზე სულ ოკნებობ, ჩემი შიშის ალი გაქვს.  
როდესაც კი გესალმები, მე ზურგს მიქცევ, ბრაზი გაქვს.  
როგორც ვხედავ, შენი სიტყვა გადის შაპინდაზივით.
5. სახათნოვამ სოქვა: „ვიტირებ, ანდა არა—ვხარობდე!  
მწუხარებას თვით გაღვიტან, დე კიდეც ვშიშობდე!  
ნეტა უფლება მომეცეს შენ გაუფლო, ვცდილობდე  
მეჯლისებში წაგიყვანო ვარიყ-დაქრულ საზივით“.

P. S.: A. ეს სიმღერა ეინც ისწავლოს, დოსტიას სიმღერის ჩმით თქმის.  
თუ არ იცოდე, იყითხე თუ გოზალარ იღნალინა ბალ დასტა ბჟ  
დასტა თარფანურ.

\* რუსული თარგმანი იხ.: В. Брюсов, 250 (№ 2).

## 10.

### ე, ბულბულო, ციდან გვეცი

1. ე, ბულბულო, ციდან გვეცი,  
სით მოფრინავი, ციდან მოდი?  
შენ გსურს ვარდი, მე—კიპლუცი;  
შე რათ სტირი? მე ვტიროდე!
2. ე, ბულბულო, შემეცითხე  
მე—დამწვარსა დარდისაგან;  
კურთხეულ არს შენი კუთხე,  
შე—დამწვარო ვარდისაგან!
3. მე ვიდოდე სატრტოსთანა,  
ექლებთანა როს ხეიდოდე;  
მე—კიპლუცთან, შე—ვარდთან;  
შე რათ სტირი? მე ვტიროდე!
4. ნოჭივითა მე მწვანე ვარ;  
მესაუბრე, ხმა გაგიცნო!  
შენ ვარდისკენ მიდრეკილხარ,  
მე—კიპლუცთან, რომ გაეიცნო.
5. ე, ბულბულო, გენაცვალე!  
ნეტა ჩემთან იხრუკოდე.  
სადათნოვას დარდი სთვალე;  
შე ნუ სტირი! მე ვტიროდე!

P. S.: A. არუთინას ნათქომი თასლიბი.

---

\* რუსული თარგმანი: В. Брюсов, 254 (№ 7), С. Шарти, .სარატოვის ჟამ., 11.

## სიტყვა შენი შემიტყია

1. სიტყვა შენი შემიტყია, უბიშო და წმიდა ხარ.  
 ოქროს ფარჩად აესებული უკვდავების წყარო ხარ.  
 შენგნით ქვეყნა ვერ ძლება, რადგან რძისა წყარო ხარ—  
 ქვეყნა რომ დიდი ზღვაა, მასში ცურავ, ნავი ხარ.  
 მეშინიან მეც არ დამწვა, რომ უშრედი ცეცხლი ხარ.

თუ უშრედი შენ ცეცხლი ხარ,  
 სიტყვას გეტყვი არაკად.  
 თუ რომ სირმა ვერცხლიცა ხარ,  
 იყავ ოქროს ვარიყად!

2. ნეტავი ჩვენ რას გეიპირებ, ან რას ფიქრობ მანდაო?  
 არ მოდიხარ და არ ამბობ: როგორა ხარ, ბანდაო?  
 მიხრა-მოხრით, სიარულით თუ ჯეირანს გვანდაო,  
 მიტომ ველარ ჩამოგშორდი, ხალიც ლოყას ვარგაო,  
 თუმც გიყვარდე-შემიძულო-მომემთხვიო თავთაო.

მომემთხვიო სულ ნელადა  
 ვით შეპფერის ხატთაო.  
 ვინც რომ შევხედოს ცერადა,  
 დაუმნელდეს თვალთაო!

3. განა გინმე გიბაასებს—ათასგვარი სიტყვა ხარ.  
 გამოთქმითა ჯავაირი, სეინაქსრისა სიტყვა ხარ.  
 სურნელობით ატებობ ყველას, ბალასინის ხე რომ ხარ.  
 შენისთანა ეშიიანი არვინაა, ცეცხლი ხარ.  
 ბევრი შენგნით დამწვარია, ენისაც პატრონი ხარ!

ენის პატრონად იქეცი,  
 მე ეში ვერ დავძლიე.  
 ამაოხრე, წავიქეცი,  
 ამბობ: აბა, დამძლიე!

4. ჭევაზე სულ მთლად გადამრიე, მტკივა შიგნიო, ლვიძლთანა—  
 გულმუცელიც დამიხრუკე, მეწვის შიგნით, ფილტვთანა.  
 ამაოხრე-დამაქციე, რა გავაწყო, ვისთანა?  
 შენ როდისლა მოგიწვიო? ადეგ, მოდი ჩემთანა!  
 იხარე და გაგვახარე,—სტუმარი ხარ ჩვენთანა!

ს ფუმარი ხარ საყვარელი  
და მონისა დამხსნელი;  
ათასფერია საჭმელი,  
წმიდა ღვინოც უხრწნელი.

5. ტურფას ეშიით ფეხდგომელა ლოცვად გადავიქეცი.  
ქვეყნით გამოძლა სოფელი, შენ კი მე გამექეცი.  
ფეხ-ქვეშ მოელე და დამნამე, ივაჯუად ვიქეცი.  
რათ არ ამბობ: „სახათნოვა, რათ იტირე, რათ მეცი?“  
ნუოუ ჰქვაზედ აიშალე, აიმდვერი ვით მხეცი.

მლვრიე გული დაგიდგება,  
ბულბულივით იოხრე.  
ქალაქში ხარ, ლმერთს დიდება,  
წა ხანთანა, ითხოვე!

P. S.: A. ეს შუბამაზი ბაიათით არუთინას ნათქომი.

var.:

ଦୀର୍ଘତିହରା

1. ମେ ତକ୍ଷଵନ୍ଦା ମାଝ୍ୟସ ଅତାଶନ୍ଦିତ,  
ରନ୍ଧମ ଅବ୍ୟକ୍ତିର ଅମିଗଦ୍ଦୟେ.  
ଶନ୍ମ ଦ୍ଵାମକ୍ଷେରୀ ଉର୍ଗଶୁଲନ୍ଦିତ,  
ତ୍ଵାଲତ ସିନାତଳ୍ଲେପ ହାମିକ୍ଷନ୍ଦେ.
2. ହାଜିନଦା ରନ୍ଧମ ଅତାଶସ ଉପିର୍ବ,  
ଦ୍ଵାମତ୍ତିବାର ଗୁଲ୍ଲାଙ୍କ ଶ୍ଵେଲା ସ୍କ୍ରିପ୍  
ଶ୍ଵେଶ୍ଲିଲି ବାର, ଶୁନ୍ତକ୍ଷେତ୍ର ମିଶିର୍ବ;  
ଗୋକ୍ରେଷ୍ଟିବିତ: ତୁରିତା ମିଶିର୍ବ!
3. ତୁରିତା-ଦୁଲଦୁଲି ଏହ ପ୍ରିୟିନ,  
ନାହିଁନାହିଁ ଏହ୍ୟସ ଶୁନ୍ଦିନି,  
ଶାକାତନନ୍ଦା ମୁଦାମ ତୀରିନି  
ଯିତ ପାରିଦି ଦୁଲଦୁଲି.

## 12.

## ბევრი იტევის: მე დაჭრილი არა ვარ

1. ბევრი იტევის: მე დაჭრილი არა ვარ,  
 ლეილ-მეჯლუმის ყოფაში არა ვარ.  
 კაცი ყოველთვის პირისახით ვუქივარ.  
 სიტყვას ამბობ არაკებრივ მასალით.
  2. ენაჲტებილი, გემოთ შაქარ-თაფლივით,  
 თმებიჲრებან, სუნითაცა ვარდივით.  
 გნახო ბზობას მორთულ პატარძალივით.  
 ზარ-ზარბაბიც ხომ გაცვია ხას-ალით.
  - [3]. თუ ხარ მეუე უბრძნესი და ძვირფასი,  
 შენთანა მაქეს არზა-თხოვნა ათასი:  
 მსურს შენს კარზე ვიყო როგორც ჰასასი,  
 რადგანაც [მოუვ წევაზედ] შენი სურათ[ით].
  4. მომიშორეთ ანდა რითმე მიშველეთ.  
 დამკარით და ნიშან-დალიც მაჩინეთ.  
 თუ რომელგნებავსთ, გამაქვავეთ, მიმტერეთ;  
 ვერა ვძლები კეკლუცთანა საუბრით.
  5. ნეტა როგორ მე გაუძლო ამდენ დარდს,  
 თვალთ უცრემლი მდის,—თითქოს ჰგვანდეს სისხლს ან  
 თხრამლს.  
 მთელს კეირასა მე ვოცნებობ ტურთას, ყანდს,  
 ვითქმულბული წითელ ვარდის დანახვით.
  6. წევად შემშალა, ჯადოქარი არსად არს.  
 უწყალოებდა განდგომილი არცა არს.  
 სახათნოვამ სთქვა ასე რომ: არა ჩანს!  
 აწ დავდივარ ცრემლებისა ნუგეშით.
- ნ.: A. ესე ვარსალი არუთინას ნათქომი ტურთასე.  
 B. ესე ვაღების სიმღერის ხმაზედ დიაბ, ეს გალ მოუხსენებია საიათნოვას.  
 მართალია სომხურია, მაგრამ ნააწყობდა ბირ ნდომ სომეხი ყმა (sic),  
 დიაბ მრავალი გახლავს. მისუვის მოგ[ა]ხსენე.

13\*.

## მე და ჩემი საყვარელი ერთს წელსა ვართ შობილი.

1. მე და ჩემი საყვარელი ერთს წელსა ვართ შობილი.  
სისხლი გულში ამემღვრია, ახლოვდება სიკვდილი.  
დღე და ღამე ტურფასათვის მეხრუკება გულ-ღვიძლი.  
თვალი სველი, პირი მშრალი, ენა ჩლუნგი მიფიქრეთ!
2. გულმუცელი დამისუსტდა ანგალთა მუქარისგან.  
ჰქვა-გონება ამერია თამაშობა-მღერისგან.  
თვალთ სინათლეც თუ დამაკლდა, ტურფასათვის კვნესისა  
არ მაქვს იმედი ვიცოცხლო, დრო-მომული მიფიქრეთ!
3. ვარ დამწევარი-დადუგული, არსად შველა არა მაქვს.  
ენითაც ვერ გამოითქმის ის, რაც გულში სავსედ მაქვს.  
ათასთერად საბრალო ვარ, რომ ამდენი დარდი მაქვს.  
ჰქვა-გონება გამილაყდა, წყალწალებულ მიფიქრეთ!
4. გულმუცელი მელოდიარობს, თვალებიც იცრემლება.  
ზღვაში ჩასულ ლრუბელსაფით გულმკერდი მისველდება.  
მალამოსაც რამდენს ვიდებ, წყლული უფრო იხსნება.  
სისხლისაგან დავიწურე, წყლულ-გახსნილი მიფიქრეთ!
5. ვინც რომ მხედავს, ამბობს ასე: „ვაი შენ თავს, საწყალ  
მუდამ უნდა შენ გიყუროთ, სისხლი თვალიდან ღვარო.  
როგორ მოხდა ერთს კარგ მიჯნურს შენ ვერ შეხვდი,  
უწყალო“.  
სიზმარივით დღენი გავლენ, ხე ხენეში მიფიქრეთ!

P. S.: A. ესეც დიბაუ იუნგიდუნიის ბმაში ჰანგში ჟაზალი არუთინას წათქმა  
ქრონიკონის უ. გ. ზ. (447—1759).

\* რუსული თარგმანი იხ. В. Брюсов, 251—252 (№ 4).

14\*.

## მიტოვ თვალი არ მიშრება

1. მიტომ თვალი არ მიშრება, სისხლი გულში რომ დამრჩა.  
ვერასგზითა ვერ მომირჩა, მუწუკს მალამო შერჩა.  
შენის ეშხით ჩავლოვინდი, თვალი გზაზე რომ დამრჩა.  
სანახავად არ მოვიდა, სიყვარული სხვას დარჩა!
2. გაზაფხულის უამი მოდგა, აგერ დადგენ ბარში ხვნაღ.  
ბულბული სად მიავლინეთ: ბაღში?, იით სავსე მთად?  
მაშ ხმა მისი რათ არ გვესმის, სალმ-ჩინარო, გვითხარ,  
რათ?
3. ყაყაჩომ კი სოქვა ასე რომ: მოვატყუოთ ბულბული,  
რომ ბულბულსა მოავონდეს რეჭანის თაიგული.  
მიმსელელთ ვარდი თუ მოწყვიტეს, ნახეს მისი ბუმბული.  
ვაი შენს თავს, ე ბულბულო, ლეში ჩაფარს რათ შერჩა?!
4. სიტყვა შენი ლამაზია, ენა შაქარ-ნაბათი.  
მსმელს ზარალი არ მოვუა, ხელთ უკირავს შარბათი.  
კვირაში რომ შეიდი დღეა, მექევსეა შაბათი.  
ზეზი წითელი ჩაგიცვამს, ყალამქარი სად დაგრჩა?!
5. ბულბულთ-ენა აქვსთ აშულთა, ლოცვა-ქურთხევა უნდა.  
შაპთან სიტყვაც გამოდგება, ჯალათობა არ უნდა.  
მოსამართლე არ სჭირდება, მხოლოდ სასჯელი უნდა.  
არვინაა რომ დაიხსნას: სახათოვა დარდს შერჩა!

S.: A. ესეც დიბაუ იენგილუნის ჩმაში არუთინას ნათქომი თიბათვე ქრონიკონის უ. მ. ვ. (446—1758).

\* რუსული თარგმანი იხ.: B. Брюсов, 253--254 (№ 6).

## 15.

რათ არ აგვიპტ: რათ სტიროდი?

1. რათ არ ამბობ: რათ სტიროდი?

ანდა: რატომ გამორბოდი?

ვარდის მსგავსად იშლებოდი

ექლებითა,

ეკლებითა.

საყვარელო, გმაღლობთ, მნახე,

სიკეთითა დაგინახე.

2. გამიგონე დარდი! მოდი!

შენის ეშხით სულ ვტიროდი.

წუთისოფელს ვემდუროდი

ნალველითა,

ნალველითა.

საყვარელო, გმაღლობთ, მნახე,

სიკეთითა დაგინახე.

3. შენს ტანს ჰშვენის ზარ-ატლასი,

რით ირევა ჰქვა ყველასი.

მკერდს უხდება ლალ-ალმასი

შაირითა,

შაირითა.

საყვარელო, გმაღლობთ, მნახე,

სიკეთითა დაგინახე.

4. მე შენ გაქებ სიმღერაში.

შამამნები კამარაში.

ბოლთასა-ჰკრავ შიგ ბალჩაში

წყლულებითა,

წყლულებითა.

საყვარელო, გმაღლობთ, მნახე,

სიკეთითა დაგინახე.

5. სახათნოვა ვით დაშენარდეს?  
თვალნი სატრფოს უგავს მთვარეს.  
მტერს კი ენა ჩაუვარდეს

თვალისკვრითა,  
თვალისკვრითა.

საყვარელო, გმადლობთ, მნახე,  
სიკეთითა დაგინახე.

P. S.: A. ესე თასლიბი.

B. ესეც ხაჯაპ მუხალათის თასლიბია.

## 16.

## გეტად ტკბილი ხეა გაქვს შენა

1. მეტად ტკბილი ხმა გაქვს შენა, ლამაზადაც საუბრობ.  
მან დაგლოცოს, სამსახურსა ვისაც უწევ და უთმობ.  
წელი თუ გაქვს ჯეირანის, შაქარივით თვალს ატკბობ.  
საფრანგეთიდან მოსული შენ ხარა ხარ, კიკლუცო!
2. თუ რომ მე ვთქვა: „ყუმაში ხარ!“, — საცმელია, გაცეობა.  
ანდა „სალბი“ რომ ვიწოდო, — ერთხელაც გაითლება.  
ხოლო თუ ვთქვა: „ჯეირანო!“, — ბევრი შენ დაგედრება.  
მაშ, მითხარი, როგორ გაქო, საქებელო, კიკლუცო?!
3. თუ რომ „ია“ მე ვიწოდო, — ეგონები მოითა ხარ.  
ანუ თუ ვთქვა: „ჯავაირო!“, — ეგონები თვალი ხარ.  
ხოლო თუ ვთქვა: „მთვარე ხარ“-ო, — ეგონები ცითა ხარ.  
მზესავითა რომ მრგვალი ხარ, ფარს გიხმობენ, კიკლუცო!
4. მსურს ყოველთვის ქარზე გეგდო ხატის მონასავითა.  
წითელ ვარდივით თვალები, იშლები ტუხტივითა.  
ენა მეტად მახვილი გაქვს, ხელი ქალალდივითა.  
ზღვაში ნაშოვი მძივი ხარ, მანიაკი, კიკლუცო!
5. შე რომ ოესლი სიყვარულის დათესე ჩემს გულშია,  
მთელი ყოფაც ჩამიმწარე, ჩახედე ჩემს სულშია!  
სახათნოვაც შენ მოკალი, აამლერიე რჯულშია!  
თავთ მოსული ტკივილები მოიშორე, კიკლუცო!

P. S.: A. ყაფია ესე კარგი იარზე ნათქომი არუთინას.

17\*.

## ჩემი ტურფა რომ ვიხილე

1. ჩემი ტურფა რომ ვიხილე ბალჩაში ხეტიალით,  
დედამიწა მით დამშვენდა, მოირთო ოქროს ნალით.  
ბულბულივით ვიგალობე ვარდის თავზე ტრიალით.  
ვადვირი, გული მეწვის, თვალი ცრემლი მდის ჩქრიალით.  
იმედი მაქვს გამჩენისა მტერზე ვიქნე ავ-თვალით.
2. შენმა ქცევამ გადამრია, გულიც გამიფანტაო.  
შარბათიცა რომ დალიე, ტუჩები გაქვს ყანდაო.  
ლოყის ხალით, ტკბილის ხმითა ბევრი გახდა ბანდაო.  
მომეც დანა და მომქალი, ნუ მიქმ მასხარადაო.  
დე მოვკვდე ჭრილობისგან, მოვკვდე ტურფას თავთაო!
3. თორმეტი თვე წელიწადში შენი თმები იწნება.  
ტუჩებიდან თაფლი გწეოთავს, საყელოცა სველდება.  
გაზაფხულის ღაწუბისა წითელ ვარდთან იშლება.  
რა ხეირი აქვს მებაღეს, თუ ბულბული მოდვება  
და ჭიკვიკით შემოუვლის ბალჩასა და გაქრება.
4. შენს სახეს რომ გადილებენ, უებრო ხარ სურათში.  
ჭრაქივითაც აბნთები, გშვენის ყოფა სალჩაში.  
მუშკით სავსე ბროლივითა ლამაზი ხარ თალჩაში.  
გაიშლები ვარდივითა და შნოს შექმნი ბალჩაში.  
ქარი ფოთოლს თუ მოხვდება, ჩაცვიცდება ქალთაში.
5. მე სხვა ტურფა არა მყავდეს, ამ თავიოვე მოიგე!  
ყური მიგდე, გენაცვალე, რაც რომ გითხრა, გაიგე?  
მო, შეხედე შენს გამჩენსა და სუფრაცა დამიგე!  
სახათნოვას ნუ აჯავრებ, მე ტუსალად გამიგე!  
თავი, მართლაც, გამილაყე, სხვაზე ხელი აიღე!

P. S.: A ესე მუხამაზი კარგი არუთინას ნათქომი.

\* რუსული თარგმანი იხ.: В. Брюсов, 251 (№ 3).

18\*.

### ქვეყანაზე ვერ ვიქვნესებ, ვიდრე ჩემთვის ჯანი ხარ.

1. ქვეყანაზე ვერ ვიქვნესებ, ვიდრე ჩემთვის ჯანი ხარ.  
 უკვდავების წყლით ავსილი ოქროს ფინჯანიცა ხარ.  
 ვიჯდე ისე რომ მაჩრდილო, ზარბაბის კარავი ხარ.  
 ბრალი ჰპოვე, ისე მომკალ, სულთანი და ხანი ხარ!

2. წელი სალბის ჩინარივით, ფერით ფრანგის ატლასი.  
 ენა-ტუჩი შაქარ-ყანდი, კბილი სპეკალ-ალბასი.  
 მინა ოქროში ჩასმული, თვალნი ლამაზი თასი.  
 უძვირფასეს ჯავაირი, ბადიშხანის ლალი ხარ!

3. ამ დარღს როგორლა გავუძლო, გული ქვადა ქციული-  
 სისხლად მადინე ცრემლები, კევაზე გადარეული.  
 ახლად დარგულ ბალივითა ვარღით შემოვლებული.  
 ბულბულივით გეტრიალო, სეირნობაც ხარ და ხარ!

4. შენმა ეშხმა მთლად დამათრო: მღვიძავს, თითქოს ძილ-  
 შიც ვარ?!

ქვეყნით სოფელი გამოძლა, მე შენგნით მშეირი ვარ.  
 როგორ გაქო, რა გიშოდო, არაფერი არა ვარ.  
 ცეცხლის ზღვიდან ამოსული ჯერანი-რაში ხარ!

5. რა იქნება მესაუბრო, სადათნოვას სატრფო ხარ.  
 ქვეყანას რომ შენ აჩრდილებ, მზის პირისპირ ფარი ხარ.  
 მიხაე-ილი-დარიჩინი, ია-ვარდი-სუსამბარ.  
 ვილის წითელი ყვავილი, ღელეთ შროშანიცა ხარ!

P. S.: A. ესე არუთინას ნათქომი ვინც ისწავლოს, შენდობა ბრანის. ესე  
 ყაზალი დასტა ბედასტა თარითანურის ჩმაში არუთინას  
 ნათქომი.

\* რუსული თარგმანი იხ.: B. Брюсов, 249—250 (№ 1).

ეს ლექსი მომდევნო ლექსის პასუხია. ამიტომ იყი მას უნდა მოსდევდეს და  
 არა წინ უსწრებდეს:

19.

### შემიზვარე სახათნოვა

1. შემიუყვარე, სახათნოვა, დავთარი ვარ შენთვინა.  
 ყვავილს ნუ სწყვიტ ექლებშია,—სუსამბარიც შენთვინა.  
 არ გაგიშვებ მჩეზე დარჩე, —ბუჩქნარი ვარ შენთვინა.  
 მე შენს სიკვდილს ვით ვინატრებ, —ნუყლი, ყანდი შენ-  
 თვინა!
2. კვლავ შენს ბალსა შენ შეხედე, სხვა ბალში ვარდს ვერ  
 ნახავ.  
 ძველ პურმარილს ნუ გადისვრი, ახალს ვერსად ვერ ნახავ.  
 თუმც ქვეყანა გადაბრუნდეს, ჩემისთანას ვერ ნახავ.  
 თუ სხვა კეკლუცს არ იყვარებ, შობილი ვარ შენთვინა!
3. ნეტა დედას არ ვეშობე, ვაი იმ დღეს, რომ ვნახე.  
 ბულბული ხარ, მე კი ვარდი; არ სოქვა: ვარდი ვერ  
 ვნახე.  
 ცოტა კიდევ მოითმინე, ინდოეთს სვლა დაგძრახე.  
 უხარჯოდ და უქირაოდ, —მანდილ-ზარი შენთვინა!
4. მე რომ თავი გავიმეტე, ის მსხვერპლადა იქციოს.  
 სიყვარულით, მოღი, გავძლეთ; ისევ ყველამ ირჩიოს.  
 მე ჩემს ფიცს არ გადუდგები, ვინ რაც უნდა მირჩიოს.  
 უკვდავობა თუ ინატრო, მოგიძებნი შენთვინა!
5. შენმა დარდმა დამაბერა, ვისლა უთხრა, თუ რა ვარ.  
 ნუ გამიშვებ ხელიდანა: მე ხომ ოქროს თასი ვარ.  
 საფრანგეთით მოტანილი ზარ-ატლასიც თითონ ვარ.  
 დაჭიცე და უუთში ჩადე ეგ დავთარი შენთვინა!

P. S.: A. ყანალი ესე ერთი იღრარიანი იარს უთქომს და გალმით ფურ-  
 ცლისაგან საიათოვეასა აპრილის ა. ქრონიკონის უ. მ. ბ. (442—  
 1754).

20.

**საიათოვა და მიჯნური**  
**(დიალოგი)**

საიათოვა

1. მე ეჭიში რათ მინდა,  
დოსტაქარი რათ მინდა?  
შენ რო მომეც წამალი,  
ისაა სხვა წამალი!  
  
მე მალამო შენი მწვავს,  
მისი ძალა მართლაც მრწამს!  
შენ რო მომეც წამალი,  
ისაა სხვა წამალი!

მიჯნური

2. წაღი, გასწი აქიდან  
და მომშორდი თავიდან!  
შენ რომ გიოქვამს რალაცა,  
გიოქვამს სხვაგან სადლაცა!  
  
შენი ქცევა ასეთი  
ვერ შეგრჩება ზე მეტი.  
შენ რო გიოქვამს რალაცა,  
გიოქვამს სხვაგან სადლაცა!

საიათოვა

3. შენის ეშხით, გარწმუნებ,  
მე ჩემს სახლსა ვერ უძლებ.  
მომიღუნდა ხელები,  
დამიღამბლდა ფეხები.  
  
სალმობა მომერია,  
ჯანიც გამომელია.  
შენ რო მომეც წამალი,  
ისაა სხვა წამალი!

მიჯნური

4. ის წამალი ვერ გარგებს,  
დარღსაც არვინ გაგიგებს.

თუ ჭევა გაქვს, დაეშურე  
 და თაგს რამე უშვილე!

თუ არა და, ვფიცავ ღმერთს,  
 შე ჩაგიმტერევ წიბო-გვერდს.  
 შენ რო გითქვამს რაღაცა,  
 გითქვამს სხვაგან სადღაცა!

### საიათოვა

5. ბულბული ვარ, ბალჩაში  
 ვარდი დამრჩა ექალში.  
 ცეცხლი ჩამიგდე გულში,  
 დანა ჩამირცე წყლულში.

კარაბადინშიც არ არს,  
 ძველ დაეთრებშიც არა არს:  
 შენ რო მომეც წამალი,  
 ისაა სხვა წამალი!

### მიჯნური

6. შენ მაშინ იზარალე,  
 როს დოვლათი ინატრე.  
 სირცხვილიცა დაკარგე,  
 შიშიცა უქუგდე.

ნულარა ლვრი შენს სისხლსა,  
 ნურც მიჩვენებ სიკვდილსა.  
 შენ რო გითქვამს რაღაცა,  
 გითქვამს სხვაგან სადღაცა!

### საიათოვა

7. რატომ არის რომ, ტურფავ,  
 თმებს ილებავ და ჰსურმავ?  
 შენ გგონია, არ ვიცი,  
 ან ვარ, მართლაც, უვიცი?

თითქოს მყავდი—არ მყავდი?  
 შენის ეშნით გავთავდი.  
 შენ რო მომეც წამალი,  
 ისაა სხვა წამალი!

### მიჯნური

8. ოვალი პატიოსანი  
 ვარ გვირგვინის ნიშანი.  
 ვით შირინი ფაჭრადის  
 ულაბაზეს მარადის.

მე იმ თავით გიქივარ,  
 სახათნოვას სატრფო ვარ.  
 შენ რო გითქვამს რაღაცა,  
 გითქვამს სხვაგან სადლაცა!

### საიათოვა

9. რათ ხარ დაწუმებული,  
 ვითომც გაბუტებული?  
 შენმა ტალლამ როგორც მკრა,  
 გემად ზლვაში გადამკრა.

მოვკვდები და ვერ მნახავ,  
 სახათნოვას დამარხავ.  
 შენ რო მომეც წამალი,  
 ისაა სხვა წამალი!

P. S.: A. ესე არუთინა და თავისი საყვარელი რომ ულაპარაკინათ, ის  
 არის, ესე შირვანის ჰანგში რომ ანბობენ თუ უოლარუმზდან, ენ-  
 კენისთვის გ. ქრონიკონის უ. მ. დ. (444—1756).

---

\* რუსული თარგმანი ინ.: С. Шарти, სარატოვის გამ., 7—8, ტფილისის  
 გამ., 22—24.

21.

ძვირფას თვლებით მოოჯვილი

1. ძვირფას თვლებით მოოჯვილი ოქროს რახტი ხარ,  
ტურფავ.  
ლმერთმა შენც და ისიც პლოკოს, ვისაც აშვენებ, ტურ-  
ფავ.  
ბულბულს ენა დაუმშვენე, ვარდთ სამოთხე ხარ, ტურფავ.  
ვარდი ხარობს მხოლოდ ერთს თვეს, შენ კი ყოველთვის,  
ტურფავ!
2. სათითაოდ ვერ ითქმევა ის, რაც ითქმის მოთხრობით:  
ზარის-ზარბაბის კედლები, გული ხალით-ხალიჩით;  
ჭერი ვერცხლით მოქედილი, აღგილ-ადგილ ვარაყით.  
ხოსრო-შავის აგებულო ტახტო თოვუზის, ტურფავ!
3. სკანდა-ჟულდარის ცნობილი ჯავაირი-ლალი ხარ.  
დანგი დანგთაგან რჩეული, მოხდილი მისხალი ხარ.  
სასეირნოდ როს მიღიხარ, არვის უცქერ, ცალი ხარ.  
მეფის-ჟულის შიში არ გაქვს, უსახტო ხარ შენ, ტურ-  
ფავ!
4. თუ რომ სიბრძნით სოლომონი იყოს კაცი ან ქალი,  
თუ რომ სავსე მარგალიტით პქონდეს ყელი და მკლავი,  
მზე და მთევარე ერთობ იყოს, ანდა დევი ან ალი,  
შენებური მარიტათით ყველას დასძლევ შენ, ტურფავ!
5. ზეცით თოვლი მოგივიდა, იას ფუნჯი ხარ, ჯანო!  
შენთან მჯდომას სწეავ და პლაგავ, ნაზიანი ხარ, ჯანო!  
სამათნოვა არ მომკვდარა, რატომ სწუხარ, სთქვი, ჯანო!  
ნეტა მოკვდე, შენ გადარჩე, საფლავს მივლიდე, ტურ-  
ფავ!

P. S.: A. ესეც დიბის პანგში არუთინას ნათქომი. ლმერთმან შეუნდოს იარი-საგან მოკლულს არუთინა საიათნოვა. ქრონიკონის უ. გ. ვ.  
(446—1758).

B. ესე მუხამასია.

22.

## შენის ეშხით დავსეიულდი

1. შენის ეშხით დავსნეულდი, წამლისათვისა ვტირი.  
ვშიშობ, დარდმა არ დამაღნოს, სისუქნისთვისა ვტირი.—  
ფადიშაპის ვექილივით სოფლისათვისა ვტირი.  
სახლით გავდებულივითა ადვილისთვისა ვტირი!
2. არსად პატრონი არ მოჩანს, ვუკაჯუნი კარშია.  
ექიმ ლოხმანი რო იყოს, ჩახედავდა დარდშია.  
მნახე როგორ არეულვარ, ჩამიხედე ჭკვაშია.  
ჭყალმა ძელი წამამგლიჯა, რტოსთვისაა რო ვტირი!
3. გული ეშხითა დამეწვა, მწარე დალი რათ მინდა?  
თუ რომ ლობე-ზღუდე არ აქვს, ის ბალი რალათ მინდა?  
მოელი ლარი გამწყვეტია, კაპარჭი რალათ მინდა?  
ჭვაწე ისარი გამიტყდა, წვერისთვისაა ვტირი!
4. წერილს ვედარ წერს კალაში გამომშრალი მელნისებრ.  
სიტყვა თითოდ ვერ ითქმევა ბრძენთა თქმულებისამებრ.  
შიგ ფეხიცა ვერ შემიღვამს ზღვით მოცულ საგანისებრ.  
აღმსარებელი მომშორდა, ცოდვისთვისაა ვტირი!
5. სოფლად მელიქ-ქეთხუდი ხარ, ქალაქს კი სულთან-ხანი.  
ბაღში ია და ვარდი ხარ, მთაში სუმბულ-შროშანი.  
სადათნოვა ყაბულსაა—ამოუგდო მას ჯანი.  
სიკვდილისთვის ალარ ვზრუნავ, გვარისათვისლა ვტირი!

P. S.: A. ესე არუთინას ნათქომი ქრონიკონის უ. მ. ვ. (446—1758)  
 B. ისე დიბ კარგი სიმღერა არის სუგამი იტყვიან.

## 23.

### ლაგაზი ხარ, შახათაი

1. ლამაზი ხარ, შახათაი, დამკვრელს ნუ შეურაცხვოთ!  
როგორც კი რომ ეშხში შეხვალ, თითქოს ყველას უარ-  
ჰყოთ!
2. ეშხს ისეთი ცეცხლი აქვს რომ არც იწვის, არც ილევა.  
თუ რომ ზღვაში ჩავარდები, ჭიკვა მაინც აგვრევა.
3. მაშ აშულმა ვით გაუძლოს შენგნით მოცემულ მავ მებს,  
თვითმპყრობელი შენ მეფე ხარ, საწინდარი არა გრგებს.
4. თუ, ვინ იცის, შენ მთებს შეხვდე სანთელივით დაადნობ,  
ანდა ქალაქ-ადგილს მოხვდე, დააქცევ და დაამხობ.
5. შახათაის მომლერალსა საწინდარი არა აქვს.  
მიტომ მეცა, საიათოვას, იხტიბარი არა მაქვს.

P.S.: A. ქ. ეს დივანი ხისტ ლავნ [ე]. ოვორ სოფრი, ოღორში ასე. ჰიმი  
გუბიმ თე ჰაევარ ასიმ. ამენ, ასტუად! ის, მღდსუ კურთი არუთინს,  
პსტუც ინჩორი იარსმ ტარინ გლუბ დრი ამენ ხალინ. ამა სურბ ქა-  
რაპიტი ქაროლუთენოვ სოფრეცა ქამანჩენ უ ჩო[ნ]გურინ უ [თ]ამ-  
ბურენ (თარგმანი იხ.: ლ. მელიქეშეთ-ბეგი, საიათოვას ვიწაობა, გვ.  
30).

24.

### ଶେରି ଜାଣି ମା ଏହି ବୋଲି

1. ଶେରି ଫାସି ମେ ଏହି ବୋଲି, ଜାଗାଠିରିଲ ମୁଖୀଁ ଥାର.  
ମେଜଲୁମାଦାପ ଏହିବେଳେ, ଲେଇଲାବି ମୁଖୀଁ ଥାର.
2. କେବ୍ରାନାହିଁ ଶେରି କେମି ଥାର, ଶେବରାଲେବା ଏହା ଗାଜ୍ବୀଁ,  
ମିଳ ଚାହିଁବାରେ ନାହାନିବୁ ଏବଂ ଯାନଦିଲୁ ବଲନମାଦ ଗାଜ୍ବୀଁ!
3. ଓଲାଟିଲିର ମାରିବୁଥିଲ ରନ୍ଧି ଶେଗିଜିଲିର: କବିଲୁବି ବିଷ ଅଲମାବି,  
ପାଲାମଜାରିଲି-ଚାରିଲି ମୁଖୀଁ ଥାର, ଉପରାଦ ଫରାଙ୍ଗିଲ ଅରିଲାବି!
4. ତମେବି ତିକିଲି ଲୁହାନିଲା, ଶେ ଲେବିଲ କୁକୁରାଶା ନୁ ଦାଲାଇେ,  
ଶେମିଦରାଲେ, ଶେମିଶ୍ଯାଲେ, ଲୁଲାଶାପ ନୁ ଅମନମାରିବାଇେ!
5. ରନ୍ଧିଲି ଜନ୍ମିବା ମେ ଗାଵୁଦଲିର ଅନ୍ଧରେ ଶନିରନ୍ଧିବାଶା,  
ଶାନ୍ତିନନ୍ଦିବାଶ ତପାଲି ସିଲିଲି ଲାଲିଲି, କିମିଲି ଦାମନ୍ଦିବାଶା.

P. S.: A. ତାଲିକିବି ଅର୍ଥତିନାଲ ନାତକିମି.

25\*.

დედამიწა მოვიარე

1. დედამიწა მოვიარე, ვიყავ აბაშიც, ტურფავ.  
შენი მსგავსი არსად ვნახე, ყველას თავი ხარ, ტურფავ.  
ხამს ან ზარსა თუ ჩაიცვამ, იქცევ ყუმაშად, ტურფავ.  
მიტომაა ვინც შენ გხედავს, ამბობს: ვიშ, ვიშ, ო ტურ-  
ფავ!
2. პატიოსან ჯავაირო, ნეტამცა შენს მყიდველსა.  
ვინც გიბოვოს, არ ინანებს; ვაიც შენს დამკარგელსა.  
აფსუს მალე რო მომკვდარა, ნათელი შენს მშობელსა:  
თუ ეცოცხლა, შენს მსგავსსა ერთს კიდევ შობავდა, ტურ-  
ფავ!
3. ჩემი თვალის-სინათლე ხარ, ზარნიშანი ზედ გაკრავს.  
შენს ნაწნაესა თმებისასა მარჯანიცა თან ახლავს.  
ოქროს ფიალა თვალები ფინჯანსაცა წააგაეს.  
ისარ-ნეშტარი წამწამით, ბასრი მჭრელი ხარ, ტურფავ!
4. სახე, ფარსულად რომ გითხრა, გიგავს შამსა-ყამარსა.  
წვრილი ტანი ქირმანშალი, გიგავს ოქროს ქამარსა.  
კალამი ხელთ ვერ ჩერდება, ასულელებ მხატვარსა.  
თუთიყუში ხარ მჯდომარედ, რაში მდგომარედ, ტურ-  
ფავ.
5. მე არ ვარ ის სახათნოვა, ქვიშას რომ დავეთუძნო.  
მაშ შენ ჩვენგან რას მოელი, რომ გული მთლად გაფურცო.  
შენ ცეცხლი ხარ, ტანზედ ცეცხლი, რომელ ცეცხლსა  
გაფუძოლო?  
ყალამქარი ინდოეთით გხურავს, მარმაშო, ტურფავ!

P. S.: A. ესეც დიბა უინგი დუნიის ჰანგში რომ მუსადასივით იტავიან  
არუთინას. ქრონიკონის უ. მ. ვ. (446—1758).

\* რუსული თარგმანი იხ.: Аврелин,— „Россия и Азия“ 1898 წ. № 15.—  
„Братская помощь“, მე-2 გამ., გვ. 607—608 (შდრ. А. ხახანოვ, Очерки, III,  
219—220).

## 26.

### მსურს იმგვარად ვიდლეგრძელო

1. მსურს იმგვარად ვიდლეგრძელო, რომ ყოფამ არ მიმუნათოს.  
თუმც ათასი დარღი მქონდეს, არც იღბალმა მიმუნათოს.—  
ვეცადო, რომ კეთილს დავხვდე, სიავემ არ მიმუნათოს.  
სიავესა შორს მოვექცე, თავმაცა არ მიმუნათოს.  
სირცხვილიცა შევინახო, ნამუსმა არ მიმუნათოს.
2. შორით მოვედ,—ჭკვის ზარალად სარგებელი ბლომალაა;  
უჯრა სავსე მაქვს თვლებითა, შიგ ოქროცა მრავლადაა;  
ინდოეთში შეძნილი საქონელიც უხვადაა;  
ქარგა ჩამომიტანია, რომლის მსგავსი არსადაა;  
გავხსნა ღუქანი ისეთი, რომ ზარმაც არ მიმუნათოს.
3. ერთი ტვირთი სავსედა მაქვს საფრანგეთის ატლასითა;  
მეორე ზარ-ყალამქარით, სახით ვითარ ეტრატითა;  
მესამეცა ჩინშაჩინსა აფარლათებს სრულებითა;  
არის ენგიდუნიაცა, ფადიშაპის ხალათითა;  
გაჭრა-გამოჭრა არ უნდა, კერვამ მე არ მიმუნათოს.
4. ერთში ყირმიზ-ზაფრანაა, მეორეში ზანჯაფილი;  
ზოგიერთში დარიჩინი, ერთშიდაცა ყარანფილი;  
ტვირთებს თოყი ვერა სწვდება, საპალნეა სულ აესილი;  
ზღვის ძირიდან ამოტანილ თვლებიცა მაქვს გასაკვირი;  
მარგალიტიც უამრავი,—კანონმა არ მიმუნათოს.
5. ბევრი ამას რო გაიგებს, იტყვის: ყველა ძეირთასია!  
არ იციან, ჭკვა-გონება ჰანგებითა ათასია.  
ტქბილი ენა მარიფათით სულ ყველაზე დიდფასია.  
სახათნოვა მიტომ ტირის, სიკვდილი რომ ჰასასია.  
ლმერთმა-მოყვარემ დამიხსნას, ტურფამ რომ არ მიმუნათოს.

27\*.

## შენ ხარ სწორედ ის სირინო.

1. შენ ხარ სწორედ ის სირინო, რომელიცა გემს ჰყულაპავს.  
სწორედ ასეც მოტყუებით დაეპატრონე ჩემს თავს.  
აღმოსავლეთ-დასავლეთსა, ჩრდილოსა და სამხარს  
შენი მსგავსი არეინაა, შენ უებრო ხარ, ტურფავ!
2. ბევრი კაცი შენის ეშხით გადაიქცა ეზიდად.  
შემიბრალე, მოდი, იქმენ ჩემი თავის ვეზირად.  
მსურს ყოველთვის გესაუბრო; თუმც ეგონოთ ყასიდად,  
სანთურ-ქამანჩა-დაფითა გეხმაურო, ო ტურფავ!
3. დარდები როს მემატება, სათქმელიცა ბევრი მაქვს.  
თვალებიდან ცრემლები მდის, რა ხეირი შენგან მაქვს?  
ოლონდ მუდამ შენთან ვიქნე,—სურვილიცა ერთი მაქვს.  
გული საუბრით ვერ ტკბება, ვერცა ძლება, ო ტურფავ!
4. სირცხვილი და მორჩილება, თავმდაბლობა-კდემა გაქვს.  
ხელებშიაც მოკრეფილი სუსამბარის დასტა გაქვს.  
თუ რომ გნებავს, მომყალ, მოშიბე! იხტიბარი შენა გაქვს!  
ოლონდ ალთქმას არ გადუდგი, ფიცი გწამდეს, ო ტურ-  
ფავ!
5. სახათნოვამ სოქვა ასე რომ: „მე არზა მაქვს ხანთანა.  
ყაბულსა ვარ, თუ შენს გამო მე მომკლავენ მასთანა.  
ისე მოხდეს, მოხვიდოდე ახლოს ჩემს საფლავთანა  
და, საფლავში მდებარესა, მიწა მაყარო, ტურფავ!“

P. S.: A. ყაფია იარანა არუთინას ნათ[ქომი].

\* რუსული თარგმანი იხ.: C. Шарти, სარატოვის გამ., 10.

## 60 300 306 გაფენინა

1. ნეტავი ვინ გაწყენინა, მორჩილი ხარ, გულნაწყენ?  
კაცი რამდენიც დაითროს, ვაზზე რჩება გულნატკენ.  
რა ზიანი მოგაყენე, რომ ხარ ასე გულნაწყენ?  
ეშეის მანქანით გამწურე, მე ვარ შენზე გულნატკენ.
2. რაც რომ მე შენ ჩამოვშორდი, ჩემში ყვათი არ დარჩა-  
პევა-გონება შენ წაიღე, ხელში არარა დამრჩა.  
თითქოს ოთხი წელი არის—ქალაქს ქარვანი ასცდა:  
მებაჟივით ვზივარ გზაზე, იჯარაზე გულნატკენ,
3. სიყვარული განახევრდა, სიძულვილი უნდაო.  
ოთხი წლისა ბალლივითა დარიგება უნდაო.  
ეშეის დანა ხელთ უჭირავს, გულის მოკვლა უნდაო.  
ბევრი კაცი ზის და ტირის მიჯნურისგან გულნატკენ.
- 5 თუ გესმის და წავიკითხაეს ბრძენთა იგავ-არავნი,  
შენის ეშეით გადვირიე, გაქრენ გულის ვარაყნი.  
ძნელი არის ეშეის ცეცხლი, სიყვარულის ბადავნი.  
ჯვირანიც სისხლში გდია, იარაღზე გულნატკენ.
5. შემო[დგომა] რომ გავიდა, [შაშვესაც] თამაში უნდა.  
გაზაფხულის უამი დადგა, ბულ[ბულს წამოსელა უნდა]-  
საათნოვას უმოყვასოდ [მწარედ ტირილი უნდა].  
ხონთქარივით [ხაზინაზე მიტომ არის გულნატკენ].

P. S.: A. [არუთინა]ს ნათქომი ქრონიკონის უ. მ. ზ. (447—1759).

29.

## ჩემო ჯანო და ჯიგარო

1. ჩემო ჯანო და ჯიგარო, ნუ აჲყვები ფიქრებსა:  
სმენა-ხილვა დაგაქლდება, ნუ აჲყვები დარღებსა!
2. არც მზე დღისით შენ დაგნათის, არცა მოვარე ლამითა.  
ჯერ მე მოვკვდე და არ გნახო მგლოვიარე სახითა.
3. სასიკვდილოდ ემზადები, მეც შენთანა მოვკვდები.  
დე შემდეგ დაიღუპოს დედამიწა-ქვეყნები.
4. თუ არ მოვედ და არ გნახე, ითას რამეს იფიქრებ.  
ნეტა კაცი როგორ მოვა: ხმას არ გასცემ, ატირებ.
5. ღვთის პირისგან შენ მიიღე ნუგეშისმცემი სული.  
სახათნოვა მიტომ მოკვდეს, რომ ხარ დალონებული.

P. S.: A. ეს დივანი კარგი ადგილს ნათქომი ზოგი წიგნის ასო სომხური,  
ზოგი ქართული. თათრულიც მიზდოდა გამერივა, ამა არ გავრივე.

30.

## ეგზიდუნია-დიბაცა

1. ენგილუნია-დიბაცა, ზარბაბი და ზარიც ხარ.  
ინდოთ მხრიდან მოტანილი ნაზი ყალამქარი ხარ.  
სოვდაგარნი შენ გაქებენ, უძვირფასეს თვალი ხარ.  
ზღვის ძირს-უფსკრულში ნაშოვი გოარი ხარ ქებული!
2. ოდეს ბალჩაში სეირნობ, ზღვისებრ ისვრი ტალლებსა.  
თავი კარგად შეინახე, ნამი არ ხვდეს ხალებსა.  
მთვარის ლამაზის სახითა შენ აგიუგბ კაცებსა.  
ქვეყნად ახლად-ამოსული ნაყოფი ხარ ქებული!
3. კარგად იყავ, გენაცვალე, მოდი ჩემთან და მნახე.  
მოიარე დედა-მიწა, და შენ რო გაქვს, ის სახე  
ფრანგის სურათში არ არის, ინდოეთშიც ვერ ვნახე.  
მიმალულხარ საქარგლოში, ყველასგან ხარ ქებული!
4. შენი ქება დავთრადა მაქვს,—სპილოს ძალუძს რომ დაგ-  
ძრას.  
შენ ფიქრებსა ნუ აჲყვები,—მაგ ფიქრებმა არ მოგელას.  
წელი ნაწარმსა რკინისგან სირმა-მავთულს წააგავს.  
ქვეყანასა აჩრდილებ და—ჩინარი ხარ ქებული!
5. მე შენს თავს არ მოვშორდები, სანამ სიკვდილს მივალ-  
წევ.  
როს ვკვდებოდე, თმაგაშლილი ლოგინთან მო! და ისევ  
სახათნოვა შემოგევლოს. ქმარა, სისხლს ნუ ამიმღვრევ!  
ბევრი ამბობს: მე ტურფა მყავს,—სხვა ტურფა ხარ ქე-  
ბული!

P.S.: A. ეს სიმღერა ვინც ისწავლოს, დოსტიას სიმღერის ხმით თქოს.  
თუ არ იცოდე, იკითხე თუ გოხალარ იღწალინა ბალ დასტაბე დას-  
ტა თარკანურ.

## 31.

## სიყვარული რომ ცეცხლია

1. სიყვარული რომ ცეცხლია, სევდიანი მიტომ ვარ.  
 ბევრი არის, ასე იტყვის: სატრფოსთანა დავდივარ.  
 ვისაც დარდი არ უნახავს, არცა ნახოს, ნაღდი ვარ.  
 ვისაც მიჯნური უყვარდეს, არც სთქვას: „ჴა ჯან, მოვდი-  
 ვარ!“
  2. ბევრი არის ისეთი რომ, ეშეი მისთვის ხრამია.  
 ზოგი არის ისეთიცა, სიყვარულის ხამია.  
 რა ან როგორ ათქმევინოს: სიყვარული შხამია?  
 დავსნეულდი, დაველიე, რალა „ჴა ჯან, მოვდივარ“?
  3. სიყვარული თუ კი არის, —ათას სახის ჰანგი აქვს.  
 ჰკვა-გონებას დააძინებს და ყველასთვის ბანდი აქვს.  
 დაპყრობილსა არ გაუშვებს, მას მაგარი ჸანგი აქვს.  
 მიტომაა დავებნიე: მივდივარ და მოვდივარ.
  4. თუ, ვინ იცის, მიჯნურთანა სიარული იქითხო,  
 როსტომ-ზაალის ამბავი გმართებს რომ წაიკითხო.  
 თუ უწყალო სატრფოს ყოფა ერთხელ მაინც იქითხო,  
 შენ პასუხად მოგექმება: სულთან-ხანად მოვდივარ!
  5. სახათოებამ კი სთქვა ასე: „მე ხომ ბევრი ვეწვალე.  
 კაცის-აღამიანისა დაპირება ვერ ვთვალე.  
 ვისაც მე არ ვეყვარები, არც ვეტყვი შემიბრალე.  
 სიყვარულსა ეშეი მოაქვს, ე მიჯნურო, მოვდივარ!“
- P. S.: A. ყაფია ესე ოვეთლამა არუთინას ნათქომი კარგი.

32\*.

## მოღი, საამოღ გვემსახურე

1. მოღი, საამოღ გვემსახურე, ხალხის ნოქარო სახათნოვა! ყველას არ ძალუძს ხელთ ჩაიგდოს საგანძურები, სახათნოვა!
2. ვინც შენ ნაღველი გისაჩიუქროს, მიეც შაქარი, სახათნოვა! არ გაგიტეხონ ფანჯრის შუშა, ქვა არ გაგარტყან, საათნოვა!
3. სასწავლებელს რომ მიაბარო,—არ მორჯულდება ცემით ავი, სანამ მის ტანს არ მოშორდება დევი ბოროტი ის პირზევი. ბედასლი ასლად ვერ იქცევა, ვერ გათეთრდება ხეხვით შევი. მრუდ შეშას რანდა ვერ ასწორებს, ვაი დურგალო სახათნოვა!
4. თუვინდ გაიკო და შეიტყო რიცხვი ვარსკვლავთა შენ ლამაზი, შორს სიავეს, და მაშ იქითხე მამათ-ცხოვრება მთლად ლამაზი, სახარებათა სიტყვებიცა წყება მარგალიტი სულ ლამაზი. ლორს ნუ დაუყრი თვალ-მსრგალიტს, ნურცა სხვა თვლებსა, საათნოვა!

რაც აღმსარებელს უზიარო, ალარ იგარო, სახათნოვა!

\* რუსული თარგმანი იხ.: В. Брюсов, 256 (№ 10).

5. სადაც ქორწილი, სადაც გლოვა, ანდა თამაში სადაც  
ხდება,  
სადაც ფამნია, სადაც წირვა, ანდა სიმღერა სადაც ხდება,  
სულის ოცნებას თუ ასრულებ, სხეულსაა რომ ეჭყინება.  
რომელ ერთ დარღს შენ გაუძლო, ო წყალწალებულო საა-  
ათოვა!

P. S.: A. ესე არუთინას ნითქომი ქრონიკონის უ. მ. ვ. (446—1758).

B. ქ. ესე მაგიერ ლექსი ქამანჩის რომ საიათოვასთვის უთქომის დარი-  
გება და ნასტავლენია.

ესეც ქამანჩაი მაგიერად არის მოხსენებული საიათოვასთვის მაი-  
სის რომ ერთმანერთი ძალიან პუზარებიათ უმდაბლესობით მო-  
ნსენდეს.

33\*.

## გულგულივით სტილისარ

1. ბულბულივით სტირისარ,  
 გარდის მსგავსად გაშლილხარ,  
 მისით შენამებულხარ,  
 კარგად შენამებულხარ.

შენისთანა არვინ არს,  
 შენისთანა უებრო.

2. სილამაზით არბაბი,  
 თმებით სიმი-შარბაბი,  
 გშენის ყუშთა ზარბაბი,  
 ყუშთ ზარბაბი, ზარბაბი.

შენისთანა არვინ არს,  
 შენისთანა უებრო.

3. პირისახე ნათელი,  
 თანაც კარგი სახელი,  
 წელზე გაკრავს სარტყელი,  
 წელზე-წელზე სარტყელი.

შენისთანა არვინ არს,  
 შენისთანა უებრო.

4. ალისფერი ჩაგიცვამ,  
 შუბლიც მაგრა შეგიკრამ,  
 ხალი სახეს მიგიკრამ,  
 ხალი-ხალი მიგიკრამ.

შენისთანა არვინ არს,  
 შენისთანა უებრო.

\* რუსული თარგმანი იხ.: С. Шарти, სარატოვის გამ., 4—5, ტფილისის გამ., 19—21.

5. ჩემი დარღი ესმით მთებს,  
ვაი-ვაგლახი ჩემს თმებს,  
სადათნვას არვინ ჰრებს,  
არვინ ჰრებს და არვინ ჰრებს.

შენისთანა არვინ არს,  
შენისთანა უებრო.

P. S.: A. ქრონიკონის უ. მ. (440—1752) მარტის გასულს. ესე ბეჭირ ყაფის  
ჰანგში თასლიბი ღსმალის მუდამი.

34.

**ქვეყანა სულ ფანჯარაა**

1. ქვეყანა სულ ფანჯარაა,—თალებისგან მოვბეზრდი,  
მაცერალიცა ლონდება,—დალებისგან მოვბეზრდი.  
გუშინ იყო უკეთესი,—დღეს-ხეალისგან მოვბეზრდი,  
კაცი მარად ერთი არ არს,—თამაშისგან მოვბეზრდი.
2. დოვლათს არ აქვს იხტიბარი, როს ვიდოდეს თვით თვით-  
სით.  
აგერ არის კაი კაცი, რომ თავს ირჩენს იხტიბრით.  
ჩვენ ქვეყანა არ დაგვრჩება ბრძნითა წინასწარის თქმით.  
მსურს გავფრინდე ბულბულივით ბალებისგან განხე სცლით.
3. ვინ დაიკვეხს: „მე ვარ უქვდავ“, ანდა: „არ მაქვს ტკი-  
ეილი?“  
ღვთით ამ ქვეყნად ალვილია კაცის შობა-სიკვდილი.  
სიმართლეცა არა სალობს, როს მრავლდება ტყუილი.  
ოცა ერთი ყულიც არ ყავს, ალაზე გვაქვს ჩივილი.
4. ჩვენ ქვეყანა ვერ დაგვრჩება, თუმც ვემსგავსოთ. ეშვს ან  
ლორს,  
ალარ ვმლერი: ენა მიჩლუნგს, კლიტე მადევს პირს და  
ბორს.  
მოთმინება მომელია, ველარ უძლებ ხალხის ჭორს.  
მოყვასი მტრად გადაიქცენ; მოძულენო, ჩემგან შორს!
5. სადათნოვა ასე იტყვის: „დარდი მომემატაო,  
არც ხეალისა მაქვს დიდება, დალიც შემემატაო.  
ხოლო ვტირი: ეკალი ვარდს რატომ დაემატაო;  
არ აცლიან აიტურჩქნოს, ნეტამც ვისით, რათაო?“

P. S.: A. ესე არუთინას ნათქომი აპრილის დამდეგს ქრონიკონის უ. მ. ს.  
(447—1759).

B. ესე დიახ კარგი მუხამბაზია სომხურებ სეიდნოვის ნათქომი.

## 35.

## სახე კალმით ღახატული

1. სახე კალმით დახატული ლამაზ ფერადებითა,  
პირისახეს ხალი გშევნის, დაწმასნული თმებითა.  
წითელ ვარდადა გაშლილხარ, მღერი ბულბულივითა.  
კბილებს ოქროში ჩასმულსა ტუჩჩე რატომ ილესავ?
2. სახე ახალ მოვარესავით თანდათანა შრგვალდება.  
შენ ნაწნავსა ნამი არ სჭირს,—ადვილად იყარცხნება.  
მიტომ შენი მნახველიცა თავის გზაზე იძნევა.  
როს შედიხარ მეჯლისშია, ყველას რალათა ჰეიბლავ?
3. შენის სახის სანახავად ყველა მოდის ბრიალით.  
მომაკვდავი შენგან ითხოვს უკვდავ წამალს სრიალით.  
ადგილიდან დაიძერები, გააკვირებ შრიალით.  
სანთურ-ქაშანჩა რათ მინდა, როს ჩონგურზე დავუკრავ?
4. შენს გულმკერდსა შვენის ვარდი, ია-სუმბულ-შროშანი.  
ბალი პატრონს რალათ უნდა, სუნითა ხარ რეპანი.  
შიგნით ქარიც მიმობერავს, თმები ვით იალქანი.  
ქვეყანა ხომ სულ ზღვა არის, შიგ ნავივით დასკურავ!
5. ერთს ათიდან არ გეტყვიან, თუმც გაქებდეს ქვეყანა.  
სიგრილეზე ხარ გაშლილი ვით დუმფარა და ია.  
მაშ შენს ეშხსა ვით გავუძლო, ჩემი ბოლო წყალია!  
სახათნოვამ კი სთქვა ასე: კმარა, ნულარ დამჩაგრავ!

P. S.: A. ესეც დიბა უკენგიდუნის ჰანგში არუთინას მარტის გასულს ქრონიკონის ფ. მ. ზ. (447—1759).  
 B. ესე მუხამბაზი არის.

36\*.

### ՇԵԽՈՍ ՊԺԵՈՒ ԱՆԴԵՑՄԱՆ

1. Շենու յ՛Շեու անդեցման,  
մեշլումուցու ալացնեման,  
Շենու եոլու նարուլու զար.  
ցագացեց մտառ,—Շեն ըստպա!
2. Երեւա սիծու ծրովելունքս,  
Յենաբալլու Շոմ՛շում-մյլազենքս.  
ոլոնճ զովցու թու Շենս յարունքս  
դա տաշտ մեցաս յեզա,—յեզա ըստպա!
3. ց՛շենու արլասու եասուտա,  
մամեցունց զուզ տասուտա  
մարագ յ՛Շեու, ծասուտա.  
զուզացեն,—Շշելաս ըստպա!
4. Նշարու մուզեահս, մեխորու ար զար.  
Նշրու նարոնենտաս յարցագ ար զար..  
զարճս զեմանի, ծովալուլու զար.  
յյալնո, ծորս,—յյալու ըստպա!
5. մեշլուսենքու սօմլուրա եար,  
մոնասէրունքու ցալոմաց եար.  
սածառնոցաս ծալուց եար.  
նարուլու զար,—սուրպաս ըստպա!.

P. S.: A. արշտոնաս նատյուրո ապրունու յ. յիշոնոյունու լ. մ. յ. (445—1757)։  
յս սօմլուրա ոմ եմանու **PLFՈՒՆ** ՆԱՏԱՄ է. ՎԱՐԹԻՆ. ԼԱԻ ԿԱՆՉԵՐ  
ՆԱ ՎԱՐԹԻ ՀԱՄԱ:

\* Ըստ շլու տարցման օք.: В. Брюсов, 235 (№ 8); С. Шарти, Սարաւու-  
ցու գամ., 9.

37.

### ბედასლს უნდა ათავსონო

1. ბედასლს უნდა ათქმევინო, მას ტირილი რას არგებს?  
 შავვერემანი რომ გალურჯდეს, ალისფერი რას არგებს?  
 შენგნით თუ რომ ვინმე მოკვდეს, მას გოდება რას არგებს?  
 სუდარი არს ერთი ფერის,—ფერადობა რას არგებს?
2. ძეირად შეძენა კაცს ჰმართებს სიტყვათა ოსტატისგან.  
 ფერი ფერსა—მადლი ღმერთსა, უჯრა სკდება საღისგან.  
 ზარ-ზარბაბის ჩამცმელს ჰმართებს იყოს დიდის გვარისგან.  
 შავ-არაბის შუბლზე ხალის მიკრობა ვის რას არგებს?
3. კარგი კაცი არის მხოლოდ ანგელოზთა ხელშია.  
 სუნი-გემო ამ ქვეყნისა ვერ შეიტყო ბრძნებშია.  
 ბედილბალსა უნაგირი უდევს რაშსა, წელშია.  
 ქვეყანა ჩვენ არ დაგვრჩება, სუნავობა ვის არგებს?
4. ქალი დედას რომ გაეყო, მიტომ ტირის ქალია.  
 ადამიანთ დასაპყრობად ეშმაქს უდგა გალია.  
 ბევრი მიჰყავს თვით ეშმაქსა, დანარჩენიც ვაია.  
 თუ ურნას არ ემსგავსება, მქობა ვის რასლა არგებს?
5. ბედილბალი შეგიბრუნდა, დოფლათიცა გაგვიწყრა.  
 ძველი შალი რომ გაცვია, მიტომ ყველა გაგეწყრა.  
 არ აქვს ჭრილობას მალამო, სახათნოვაც ტირის ღა.  
 სად აქვს დოსტაქარს წამილი, ანდა იგი ვის არგებს?

P. S: A. ქრონიკის უ. მ. ბ. (447—1759).  
 B. ესე მუხამბაზია.

38.

## დავხჩი უიარაღოთა

1. დავრჩი უიარაღოთა, მოდი მომქალ, ჯალათო!  
 ნატრულობით კი ნუ მომქალ, სირცხვილო და ადათო!  
 მეფის ქარხნით მოტანილო საჩუქარო-ხალათო!  
 ინდო-აბაშ-არაბეთო, ხორასნისავ ქალათო!
2. მკვეთრი სახე გახურებულ ოქროსავით დნებაო.  
 მიტომ შენი მნახველის პკვა თავიდანა ქრებაო.  
 უნახავს სურს შენი ნახვა, მნახველი კი კვდებაო.  
 ოქროს ვარაყით მქობილა სახე ეტრატზედაო.
3. შენის ეშნით ბევრი კვდება, ბევრიც ჯავრით სივდება.  
 ყოველ წლიურად იშლები, როს ბაზრობა იწყება.  
 ნეტა შენსა ბატონ-პატრონს,—ყურებით არ ბეჭრდება.  
 ზამთარ-ზაფხულს აყვავებულ სავარდეცა შვენდება.
4. მიზდს მიიღებს ის ნაყაში, შენს სურათს რომ გადიღებს.  
 შუბლით წარბი არ ამოდის, წარბებს იგი ვერ იტევს.  
 ამიტომაც მწყურვალე კაცს შენი წყალი ვერ არგებს.  
 შირაზისა შუშაშია ნაბათ-შარბათი გვარგებს.
5. ნეტა შენთან მჯდომ ტურფასა, კარგი მოყვასი რო ჰყავს.  
 მოლალატე მას ვერ შეხვდა, შენგნითაცა ზრუნვა აქვს.  
 სამათნოვამ შენ რა გიყოს, ქვეყნის სევდა მასა აქვს.  
 ხათაბანდის ჩარდახიცა, სასახლეცა, კოშკიც გაქვს.

P. S.: A. ესეც დიმაუ იენგი დუნიის ჰანგში. არუთინას ნათქომი.  
 ენკენისთვის ვ. ქრონიკონის უ. მ. ვ. (446—1758).

## ნეტავი სოდეა, რა ხნისა ხარ

1. ნეტავი სოდეა რა ხნისა ხარ, დაიბადე რომელ წელსა?  
არც ჭამა და არც სმა უნდა შენთან მჯდომსა შენს მხილ-  
ველსა.  
წითელ ვარდივით გაშლილხარ, სუსაბარის კონა ხელსა.  
ბულბულს ტირილით ატარებ დღე და ღამე, გენაცვალე!
2. შენ ქვეყანა გიქავია, პირთ გიჭირავს ზანჯაფილი.  
სუნით შენ ვერ დაგედრება ინდოეთის ყარამფილი.  
დღე და ღამე მორთული ხარ, ხელთ გიჭირავს ჯანჯაფილი.  
ალი ხელება შენს ტუჩებსა, წარბ-სამნდარს გენაცვალე!
3. ბევრი ნატრული მოკვდება შენზე ოხრით-ოცნებობით.  
ვისაც კი არ უნახვითარ, იქვენსის ბევრს, ათასობით.  
შვილი მშობელს ეგვანგება, აკვანი გაქვს ოქროს-მკობით.  
ნეტა დედამ ერთიც შობოს შენი მსგავსი, გენაცვალე!
4. ნაყაშნი სულ გადავიდენ არაბეთ და ინდოეთსა,  
გადავიდენ ყირიმსა და დალისტანის მთიანეთსა;  
სხვანი კიდევ გადავიდენ ურუმელს და საფრანგეთსა.  
ვინც შენს სახეს დაინახავს, ამბობს: შენ კი გენაცვალე!
5. მოდი, დაჯეგ, საათნოვა, დაუკარი შენს საქრავზე!  
მაგ გონებით, მაგ ოცნებით არ წააგო ჭკვა იმ საზზე!  
ხელთ გიჭირავს ბროლი, გვასვი ოქროს თასით ლვინო, ასე!  
ბევრგან სუფრაზე მასპინძლობ, საზანდარსა გენაცვალე!

P. S.: A. ესე არუთინას ნათქომი ქრონიკონის უ. მ. გ. (443—1755).

40.

## თმები სიმი და შარბაბი

1. თმები სიმი და შარბაბი, დანამებული რეჟანი,  
 წარბი კალმით დახატული, პირისახე ზარნიშანი,  
 ქბილნი ლალი-მარგალიტი, ფერით-სუნით ვარდშროშანი.  
 ოლონდ მოვკედე, შენ კი დარჩე, შენი ეშხი სამარეა-  
 გენაცვალე, ნუ იმტვრევი, შენმა მტვრევამ გადამრია!
  2. . . . .  
 შენზე მეტი რომ არ მიყვარს, მისი მოწამეც ლმერთია.  
 რაც მე შენი ნატრული ვარ, წელიწადზე ხომ მეტია.  
 ოლონდ მოვკედე, შენ კი დარჩე, შენი ეშხი სამარეა-  
 გენაცვალე, ნუ იმტვრევი, შენმა მტვრევამ გადამრია!
  3. როს წითელი ვარდი კენება, ბალში ბულბული არ მოდის,  
 გულღვიძლი მოლად დამიწყლულე, პირით ნაღველი ამომდის.  
 შენის ეშხით დაესნეულდი, აშ ვიწვები სიკედილამდის.  
 ოლონდ მოვკედე, შენ კი დარჩე, შენი ეშხი სამარეა,  
 გენაცვალე, ნუ იმტვრევი, შენმა მტვრევამ გადამრია!
  4. მეჯლუმიგით მთად გაეარდი, ლეილასგან ცნობა არ მაქვს.  
 შენის ეშხით გული მეწვის, გავრილების შველა არ მაქვს.  
 შენზე მეტი, ლმერთსა ვფიცავ, მე ამ ქვეყნად არენი არ  
 მყავს.  
 ოლონდ მოვკედე, შენ კი დარჩე, შენი ეშხი სამარეა.  
 გენაცვალე, ნუ იმტვრევი, შენმა მტვრევამ გადამრია!
  5. სახათნოვამ სთქვა: „უწყალო! აგერ სისხლი სლის ჩემს  
 თვეალსა.  
 ადამიან-კაცის გარდა, დაუწყევლი შენს იხტიბარსა.  
 ფიცს შენ მალე გადაუდევ, სამ-ათ წელი საღლა არსა?“  
 ოლონდ მოვკედე, შენ კი დარჩე, შენი ეშხი სამარეა.  
 გენაცვალე, ნუ იმტვრევი, შენმა მტვრევამ გადამრია!
- P. S.: A. ესე არუთინას ნათქომი მარტის ა. ქრონიკის უ. მ. ბ.  
 (442—1754). ესე თასლიბი მუხალიფის ჰანგში.

41.

## ტურფავ, არვინ გაზიანოს

1. ტურფავ, არვინ გაზიანოს, მტრის თვალშია ჩხირი ხარ.  
სუნით ქვეყანა ავსე, ბალასინის ხე რომ ხარ.  
ქალალდი გაქვს გარაყისა, სვინაქსრისა სიტყვა ხარ.  
მხილველმაც კი არა იცის, რომ გარსკვლავი მთვარის ხარ.
2. ყველას შესვლა იქ ვერ ძალუძს მორევი-ტრიალია.  
სამ-ათ ხიდ ქვეშ რომ გავიდეს, არა ერთი წყალია.  
წამწამი რომ ისარია, წარბებიც ნამგალია.  
შემავალიც ვერ გამოვა, სიკვდილის იღბალია.
3. წვრილი ტანი ლერწამივით, სახით თაიგულისებრ,  
დღეში სამ-ათ ფერად იცვლი, ვერც ერთხელ კი ტულისებრ.  
როს თამაშობ, აღიგზნები, გველის პირის მძივისებრ.  
ბნელ ადგილას როს ანათებ, უცეცხლოდა, მთვარისებრ.
4. სალამის სალამით არ ხვდები, მეფის სალამივითა.  
ხელები გაქვს ვით ეტრატი, ენა კალამივითა.  
ზარ-ზარბაბის დროშასაც ხელთ აქნევ ალამივითა.  
მხილველ ისე ეგონება შაჰი მოდის ჯარითა.
5. ტურფავ, შენგან მოშორება სიკვდილზე მეტ ძნელია.  
ენა ტქბილი, სიტყვა თბილი, კბილნიც თითქოს თვლებია.  
შვიდი ათი ხალი პირზე შეტად საკეირველია.  
შვიდ-ათიცა სიტყვა მქვეთრი სამათნოვას ძჩვევია.

P. S.: A. ესეც დიბაუ იქნიდღუნის ჲანგში. არუოინას ნათქომი ლუინობისთვის  
თ. ქრონიკონის უ. მ. ვ. (446—1758).

B. ესე მუხამსია.

42.

სანამდე რომ მე ჯანი ვარ, გენაცვალე შენ, ტურფავ-

ცრემლი ვლვარო თვალებიდან, ამოვცოხრო, ტურფავ-  
თუ, მართლაც, ხარ ჯეირანი, მაშ ვისეირნო, ტურფავ-

იარე სინაზითა,  
მე შენ გაქო საზითა,  
გაქო ილთიმაზითა.

2. თმები დასტა, ტური ფისტა, გაკვირვების დრო არის.

ჩოლ ადგილსა შევხვდეთ, ტბასთან, ჯეირანის დრო არის.  
ვარდს ბულბული, ბულბულს ვარდი, სეირნობის დრო არის.

იარე სინაზითა,  
მე შენ გაქო საზითა,  
გაქო ილთიმაზითა.

3. შევიაროთ რიგრიგობით, ბალჩა უკვე გახსნილა.

ჰანგზე ვიმტეროთ ყაყაჩი, ვარდი ბალში გაშლილა.

შროშან-სუმბულ-ბულბულითა ბალი, მართლაც, ავსილა..

იარე სინაზითა,  
მე შენ გაქო საზითა,  
გაქო ილთიმაზითა.

4. პატიოსნად აგებული, შენ ლეილას სახე გაქვს.

თმები დაგრჩა მუაჯარზე, ყველგანაცა ქება გაქვს.

ბულბულს სძინავს ვარდის ბუჩქში, მშვენიერი ბალი გაქვს.-

იარე სინაზითა,  
მე შენ გაქო საზითა,  
გაქო ილთიმაზითა.

5. მორთული ხარ ატლასითა, ზარითა და ხასშია,  
ხელში დოქი გიყავია, გვისხი ღვინო თასშია.  
სადათნოვა მოქალ, შედი სინაზითა ზვარშია.

იარე სინაზითა,  
მე შენ გაქო საზითა,  
გაქო ილთიმაზითა.

- P. S.: A. ესე არითონას ნათქომი თასირინ ჩინი იმ ჰანგში. მაისის ბ. ქრისტიანის  
უ. მ. ე. (445—1757).  
B. ესე საიათონეასგან ნათქომისა სან სან ისანის ხმაზედ. სეგაპის თასლი-  
ბია დიახ კ[ა]რგი.

43.

შენთან გვდომსა მუდამ ათრობ,—ბანგი-ბუზა ხარ, აზიზო.

მხილველს ფატლულ-დევად ქეცევ,—თითქოს ჯაზა ხარ,  
აზიზო.  
სადაც იქნე, დაამშვენებ,—მეჯლისთ მაზა ხარ, აზიზო.  
ერთ საათით ნუგბარ-მაზა, მუდამ ნორჩი ხარ, აზიზო!

2. შენი სიტყვა შაქარსა სჯობს, უფრო ტკბილი-საამოა.  
მიხრა-მოხრით რაშსა გევხარ, შენთან რბენა ამაოა.  
მარგალიტით სავსე კალო, სადაფებიც საქმაოა.  
ვერცხლის კლიტით ჩაკეტილო, ოქროს რაზა ხარ, აზიზო!
3. სახით გევხარ დილის მზესა, თანდათანობით მალლდები.  
მეფის ქარხნის ზარივითა არასოდეს არ ხუნდები.  
თუ რომ ცოდვა მქონდეს, მომკალ; თუ არა და—რათ ჯავრ-  
დები?  
ერთ ხელს წყალი, სხევში სისხლი, ჯაზავ ჯალათის, აზიზო!
4. შენს მსგავსს დაეძებს მხილველი, ფარშევანგის ბუმბულივით.  
თოვლის ქვეშეთ ამოსული მხედაკრული სუმბულივით.  
დე შენს თავს შემოგევლო ვარდის ნატრულ ბულბულივით.  
ჩემგან ნუღარ გაფრინდები, შევარდენო შენ, აზიზო!
5. შენის ეშით დავსნეულდი, ზარალ-ხეირს არ ამბობენ.  
ექიმებს როს ვებრალები, მუხლზე ცემით „ვა“-ს ამბობენ.  
ქადაგიცა უკან მიდის, „სადათნოვა, ვა“-ს ამბობენ.  
ოლონდ მოსულით გამაზარო, დამამშვენო, საზ-აზიზო!

P. S.: A. ესე არუთინას ნათქომი ქრონიკონის უ. მ. ვ. (446—1758).

44.

[ ჯინჯილ-ლამა ]

უშაბი უგდე ჯინჯილ-ლამას

1. გასწი, ნულარ იმღერებ,  
 იარს ნულარ აწვალებ,  
 ცეცხლსაც ნულარ აჩალებ.

გაჩალებულ მასუკან  
 სამ-ათ ჭრისა მო უკან!  
 იარს ნუ აწყენინებ!

2. არ ეშუინოს მას ჩვენგან,  
 არ მოგვშორდეს აქედგან,  
 ბოლო მოზიღო ყველგან.

ხეა ამოღებული,  
 ეშხითაც აღგზნებული.

არ აქეს შიში ხანისა.

3. ხანივითა სჯი და ოვლი,  
 შაპზალივით მიითვლი.  
 მაგ საქმესა რათა ქმნი?  
 შენი საქმე ბანდია,

შენი ტუჩიც ყანდია!

ტკბილადაც ამბობ: ჯანო!

4. ჯანია, რომ არ მარგებს,  
 შენი ეშხი მთლადა მრევს,  
 ნეტა შენს ბროწეულებს.

ბროწეულით მიშველე,  
 ტკბილის ხმითაც მიმღერე!

ცეცხლი ჰბერე პირითა!

5. შენს პირში სულ ლალია,  
 რაც გაცვია, ზარია;  
 ფიქრებისაც ბრალია,  
 შენ რომ სულ ინაზები.

\* \* \*

6. ნაზი-იხტიარი ხარ,  
 ქვეყნის თანაბარი ხარ,  
 ინდოს ყალამქარი ხარ.

კალმით ხარ დახატული;  
 ჯანი მაქვს მოლეული.  
 მომსპე—ჟადოქარი ხარ.

7. ჟადოქარო ფანდითა,  
 შენ შუშა ხარ ყანდითა,  
 სახლიც ჩათაბანდითა.

ხათაბანდი მაღალი,  
 ოქრო-ვერცხლი და ლალი.  
 მომსპე მაგ ხერხებითა.

8. მაგ ხერხებით მაყვედრებ,  
 დასტა-ომასაც ასველებ,  
 შენს ხათრსაცა აჯამებ.

შენ ჟამი ხარ ჩინისებრ,  
 გულმკერდი გაქვს სინისებრ!

შამამნებით გემოვნებ.

9. გემოვნებ გრიალითა  
 დასტა-ომების გაშლითა,  
 ზარ-ყუმაშის ჩაცმითა.

ყუმაშითა-ზარითა  
 იხრუკება დარდითა  
 მსვლელი შენდა თამაშად.

10. თამაშა ხარ: ვარდი ხარ,  
 კიდონტი ხარ, ლანგი ხარ,  
 ქამანჩისა ჩანგი ხარ.  
 წვრილი ხმითა როს მლერი.

\* \* \*

11. როს შენ მლერი, მოგვშონხარ,  
 ბალჩაშია წყალი ხარ,  
 იადაც კვლავ გაშლილხარ.

კვლავ მინდა რომ შეგაქო,  
 მოუთხრობელს შენ გაქო!

ვარდშიაცა ტრიალებ.

12. ტრიალებ ბულბულივით,  
 სუნი გდის სუმბულივით,  
 სუფრად თაიგულივით.

თაიგული შექრული,  
 რეპანზედა მიკრული!

აიფურჩქნე გულივით.

13. შენ გული გაქვს თესლივით,  
 არა კენდები ვარდივით.  
 მოგესალმე მეფივით.

მოგესალმე მე შენა;  
 მოიხედე ჩვენსკენა

ხშირადა და ყოველ დღე-

14. შენ დღე-დღეზე მატულობ,  
 შენს ეშხსაცა ენატრულობ,  
 ხსნასაც არსად ვპოულობ.

ვპოვე, გულში ჩახედე,  
 ექიმი ხარ—მომხედე,

კევაზედაც შემაცდინე.

15. შემაცდინე კევაზედა,  
 კოხტადა ხარ ტანზედა,  
 რატომა მწვავ ალზედა?  
 ჩემს სიკვდილს თუ ნატრულობ?

\* \* \*

16. მე ვნატრულობ იარსა,—  
 ძვირფასს იგი გაუს ქვასა.  
 არ გაღუდგე ხიტყვასა.

შენს ხიტყვასა ნუ მართმევ,  
 სულსაც ნუ ამომართმევ.

მოვრჩე შიშის-ზარისგან.

17. ଶେଷର ଦା ଜାରି ମେ ଯିନ୍ତାନ,  
 ସେବାର କି ପ୍ରେଲାର ଅବିନ୍ଦାନ.  
 ଶେବ ଶୁଣି ଗଲିଲେ ଫୁଲିଲାନ.

ଫୁଲିଲ ମିନଦୋର-ପ୍ରେଲି ବାର,  
 ମେ କି ମୁଖାଥାର ଗାର.

ଫୁଲିଲି ମିନଦେବ ମେ ଫୁଲିପା.

18. ମେ ଫୁଲିପା ଠା ଗୁପ୍ତରେବନ,  
 ଫୁଲିନିଲା ଠା ମେଧମି  
 ଡାଳାଗମିଲିପା ଗୁପ୍ତମି  
 ଡାଳାଗମିଲିପା ମାର୍ତ୍ତିନ,  
 ଫୁଲିପା ପ୍ରେପିଲିତ ଅବାନନ୍ଦ,  
 ଫୁଲିପା ଗାନଦି-ଶାନ୍ତିଜୟ.

19. ଶୁଭମାର୍ତ୍ତିଲିଲ ଗାନଦି ବାର,  
 ଶୁଭମାର୍ତ୍ତିଲିଲ ଲାଲି ବାର,  
 ଶୁଭମାର୍ତ୍ତିଲିଲ ତପାଲି ବାର.

ତପାଲି ପାତ୍ରିଲିଲିନ,  
 ଶୁଭମାର୍ତ୍ତିଲିଲ ଦା ଶୁଭନ!

ଫୁଲିଲିଲିଲିଲିଲିଲ ଗାନଦିକାର?

20. ନୀ ଗାନ୍ଧାରି,—ତୀଳାଲି ବାର,  
 ଗରି ମୁଖୁତି ଅନ୍ତିରଦୀଲିବାର.  
 ଦାମାଦନିଦି,—ଯାଦୁଲିଲାଗାର,  
 ରାଜି ଶେବ ନିଲତିମାତିନି.

\* \* \*

21. ନିଲତିମାତିନ ଗ୍ରସାର,  
 ନିଲତି ପୁନ୍ତ୍ରାତ୍ମ ଦଲେଶାର,  
 ନିଲତି ପୁନ୍ତ୍ରାତ୍ମ ଜାନିନ ନିଲତି.

ଜାନି ପାର ଦା ଜାନିନ ବାର,  
 ଶ୍ରେଦ୍ଧରିଲିପା ନାହିନ ବାର.

ନିଲତି ନିଲତି ମିଳିଲିଲ.

22. ଶ୍ରେଦ୍ଧରାନାରା ମିଳିଲିଲ.  
 ଶ୍ରେଦ୍ଧରାନାରା ଶେବେଲିଲ,  
 ଫୁଲିଲିଲିଲ ଶ୍ରେଦ୍ଧରାନାରା.

ჩახედე შენს სიტვეასა,  
არც გადუდგე იმ ფიცსა.

როს მოვკვდები, დამტირე.

23. მწარედ-მწარედ დამტირე  
და ჩეპანი მანატრე.  
ცრემლებიც უხვად ლვარე.  
შენ ლვარისა წყალი ხარ,  
მწუხარე და მწყრალი ხარ.  
გვსაჯე შაჰის სამართლით.

24. შაჰის ჩამომავალი  
არ კითხულობს რა არი—  
დალი შეკრული არი?  
თუ ის არი, ვიტირებ,  
დღესაც-ხვალაც ვიტირებ,  
ჯინჯილ-ლამას ხაზს ვიტყვი.

25. სახათნოვა, ხაზი ხარ.  
სახათნოვა, დალი ხარ.  
სახათნოვა, ბალი ხარ.  
ფიანდაზობ თავითა.

P. S.: A. ესე ბართავრი კარგი იარანა არუთინას ნათქომი.

B. ესე ბარითაურია საიათნოვას ნათქომი.

45.

მე ვუწოდებ ლალანისსა

1. მე ვუწოდებ ლალანისსა, ბაღიშხანად მაგულონ.

თუ რომ წავხდე შენი ნატვრით, სიცოცხლეცა დამაკლონ.

მეგობრები განშე დადგენ, უცხოთა კი გამლალონ.

შენ შეგშევენის ალ ყუმაში,  
 შუბლზე ზარი-მუყაიში,  
 ხელთ ვარაყის მაკრატელი,  
 კავებიცა ხუჭუჭ-სქელი.

2. მე ვუწოდებ ჩარანისსა, რომ თეჯნისი დაუკრან.

ვინ სოქვა ასე, რომ უბრალოდ კრილობანი შეგიყრან.

სახარება კაცს თავმდაბალს როდი აყენებს უკან?

პატიოსანი სახითა,  
 ბულბულისა ტქბილის ხმითა,  
 თვალინი წარმთა მუაჯარი,  
 წამწამებიც ვით ისარი.

3. მე ვუწოდებ ზადანისსა, ნარ-ან-ზენ, რიანია?

შენ რო გითქვამს ტყუილადა, ტყრფას გული სვიანია.

შაჰიც იმას ვერ გაუძლებს, რაც ჩემს თავზე ზიანია.

სუნით ფრანგების მაჯუმი,  
 თმები სიმი-აბრეშუმი,  
 მკლავი-თითი ბზა-სანთელი,  
 უბე ბალჩა, ლერწამ-წელი.

4. მე ვუწოდებ მერანისსა—თავიდანვე მიშველოს,

მოყვარენი გამიმრავლოს, მტრებს კი ბოლო მოულოს.

შევუთვალე, თუ ძმა ხარო, დედა შენმა მიდედოს.

შენგნით არის—კკვა მაკლდება,  
 დარდი დარდსა მემატება,  
 არ მეადრულობ, რომ მეფე ხარ,  
 მე საწყალი დერვიში ვარ.

5. მე ვუწოდებ მასანისსა, სან-ანალა აქციონ.  
სახათნოვა შენი არის, თუნდ ნაკუჭად მაქციონ.

• • • • •

ვშიშობ, გული გამისივდეს,  
შემიბრალე, არ გამისკდეს,  
მოვკვდები და ვეღარ მნახავ,  
სახათნოვას შენ დამარხავ.

P. S.: A. ქრონიკონის უ. მ. ა. (441—1753). არუთინას რუბაი ბაიათი  
თასლიბი.

## 46.

## ტყალი გასვი ჯამითა

1. წყალი მასვი [ჯამითა]  
 ანდა ოქროს თასითა!  
 ნაწილთ ვერ ვეზიარე  
 ბარძიმით-ფეშუმითა!  
 გენაცვალე, ე მთვარევ,  
 ჩემო თვალის სინათლევ!
2. ღმერთმა შენ გაგახაროს,  
 მტერს თვალები დასთხაროს.  
 ანგალს არ დაუჯერო:  
 არ იჭოროს-დაგძრახოს.  
 გენაცვალე, ე მთვარევ,  
 ჩემო თვალის სინათლევ!
3. ვინც ცერადა შეგხედოს,  
 აბელ-კაენს ედაროს.  
 ცოდვილ კაცსაც ერიდე:  
 ჰმართებს ღმერთსა ევედროს.  
 გენაცვალე, ე მთვარევ,  
 ჩემო თვალის სინათლევ!
4. მე ვარ ეშმაკეული—  
 კარაპეტას წყეული.  
 ავიკაცი გაშავდეს  
 ღვთითა გადარეული.  
 გენაცვალე, ე მთვარევ,  
 ჩემო თვალის სინათლევ!
5. შენის ეშხით მხდალი ვარ,  
 სიყვარულით მოვრალი ვარ.  
 უნახავი შენგანა  
 სახათნოვა მკვდარი ვარ.  
 გენაცვალე, ე მთვარევ,  
 ჩემო თვალის სინათლევ!

P. S.: A. ესე თასლიბი არუთინას ნათქომი მაისის ი. ჭრონიკონის უ. მ. ვ.  
 (446—1758).

47.

შენ თვალ-წარბი რომ შეგიქრავს

1. შენ თვალ-წარბი რომ შეგიქრავს, ექიმივით წომ ვერ გარგებ-  
როდის და რა დაგიშავე, რო მე მლანძლავ, სახლით მაგდებ?  
ვინც შენ ცერად შემოგხედოს, გავაბნედებ, გავაქვავებ:  
თითონ იცის—შეგიბრალებს ანდა მოგკლავს შენს კარზედა.
2. სახლში ნოქარს არ ინახავ, მეფე ხარო, ყულთა მკვლელო!  
სიტყვა არაკად გამიგე, ცის ნათელავ, ნისლის მკვლელო!  
ბალში წითლადა გაშლილხარ გარდივითა, ბულბულ  
ძევლელო!  
დევ გასჭრას შენმა ხმალმა, ვითარც ზმალმა სარდლისამა.
3. ერთი გზაზე დამაყენე უზრუნველი, მართლაც, ქმნილი,  
დღე და ღამე სულ ვტირივარ, თვალები მაქვს დაცრემლილი.  
დევ ვეგდო კარად შენდა, მწირის მსგავსად დაღვრემლი.  
ღმერთმა მოკლას ანგალიცა, ვით ფაპრადმა თვის შირინი.
4. გაზაფხულის სუნთქვაზედა ვარდი-ყვავილი იშლება.  
რას არგებს შენს მებალესა ბულბული რომ ამლერდება?  
ტუჩებითგან თაფლი გწვეთავს, კისერზედაც იწრიტება.  
მიტომ ტკბილად ლაპარაკობ, რომ ენა გაქვს ვით შაქარი.
5. კაცს გაიცნობ მისივ ენით, თუნდ რომ ვეზირად აქციონ.  
ბედასლი ასლ ვერ გახდება,—ვექილ-ნაზირად აქციონ.  
თუ დარჩები, შეეცადე—იარალად არ გაქციონ.  
საათნოვა, იმეტყველე—ქარს სიტყვასა ნუ მიანდობ!

48.

იცდოეთით მოტანილო

1. ინდოეთით მოტანილო, ჯავაირო საკვირველო!  
 რასაც კი რომ მოედები, დაამშენებ ოქროს ფარგლად.  
 ყოველ კაცს არ შეუძლია შე გიშოვოს, საკვირველო!  
 ვის ძალუძს რომ გესაუბროს, შენ ცნობილსა როსტომ-ზალად?
2. შიმშიტის ხის ბუნებითა ხარ ზრდილი და აყვავებულ;  
 ნეტა შენს ქმარს, შენს პატრონსა, ვისაც ჰყევხარ გასაკვირი:  
 სახე ხასა—მურასავით, დახატულ და დამშენებულ,  
 მწვანე, თეორი და წითელი, ფერადთერად გასაკვირი!
3. ადვილად ვინ გაგიმეტებს, ძნელად ნაშოვო, მნათობო!  
 ვინც შენს სახეს დაინახავს, გადირევა, საკვირველო!  
 შე, აღმასო, იაყუთო, სათამაშო გასართობო!  
 სკანდარ-ზულლარას უმსგავსო, შე თილისმავ საკვირველო!
4. ია-ვარდის მოსაწყვეტად მოსეირნევ, დალოცვილო!  
 ვარდის წყალო, მომდინარევ ბროლის შუშის პირთაგანო!  
 მეფის გვირგვინის ჯილაო, ოქრომქედო გაკერილო!  
 მონადირეს ხელთაგანა გაპარულო ჯეირანი!
5. შენგან, ტურფავ, მოშორება ძნელი არის სიკვდილივით;  
 შენის ეშით ჭკვაზე შევჭრი, გავხდი ფერფლი და ნაცარი.  
 სახათნოეა შენს ხელთაა მსახურადა—ნოქაპივით,  
 მასზე ხელის აღემაცა არის მეტად საოცარი!

P. S.: B. ესე მუხამბაზია.

49.

## სიუგარული მისაჩუქრები

1. სიუგარული მისაჩუქრე, ჩემო ტურფავ, ნუ მომქლავ!  
თუ შენს მეტი ვინწე მყეანდეს, შენვე იცი—როგორ მჰერავ!
2. შენ, ამ ქვეყნად, ჩემო ტურფავ, სულთან, შაჰი და ხანო,  
რა იქნება რო შემხედო, ერთხელ მაინც სთქა: ჯანო!
3. მე ლტოლვილი დერვიში ვარ და სადგომი არსად მაქვს.  
დამეუფლე, მიპატრონე, მეტი ილაჯი არ მაქვს.
4. ცეცხლი ცეცხლსა დაუმატე საკუთარის ჩახმახით.  
მე ამ ქვეყნად შეწერ მეტი არავინ მრევს დანახვით.
5. საჯათნოვა ვარ შავბედი, ვარდი თითქოს უეკლოდ.  
თუ თანხმობას არ გამოსთქვამ, დავილუპავ თავს უკვლოდ!

P. S.: B. ისე დიაბ ცი გრაელის ხმაზედ არის ნათქომი საიათნოვასგან. იმ  
საწყალსაც ეშხის დარდი პქონია და ენა-მეტყველება გამოუჩე-  
ნიაო და დიდი ფიქრი გაუწევს, რაღაც ასრე არის სოფელი გა-  
რეთ უნდა გაიაროს, საცოდავს თითო შენდობა უბძანეთ; რომელ-  
მაც პქონდეს, წაიკითხავს ახრი და უმცირესი მონა თქვენი უბე-  
დური იგან სეიდოვი მოუხსენდის. კარგათ იმისათვის ვერ დავწერე,  
ბძანება იყო მალე, მარტო მე არა ვტუში, არ მევარგოდა სათვალე.

50 \*.

## ბულბულს მოსეა აგბავი

1. ბულბულს მოესმა ამბავი: „ვარდი შენ გელოდება,  
აფურჩენებული, გაშლილი ნატვრით მოგელოდება,  
ცისკრის ზარის რეკანედა შენი ხმა ელანდება“.  
ბულბულმა სთქვა: „ვერ მოვალო, ვერ ვატირებ ყაყაჩოს“.
2. ვარდმა უთხრა: „ყაყაჩო ვერ მოატყუებს ბულბულსა;  
თუ რომ კევა გაქვს, იარ შენ გზით, მოერიდე გუგულსა“.  
ბულბულმა სთქვა: „თუნდ რომ უმტრონ ძილში ხელებ-  
-შეკრულსა,  
ბოლოს ბურთი-მეიდანი როსტომ-ზაალის არის“.
3. ვარდმა უთხრა: „მოლალატევ, დავჭრუევლი შენს იხტი-  
ბარს,  
აპრილ-მაისი გავიდა, არ მომხედე მეგობარს“.  
გულის-ნატვრა გულში დარჩათ, დაემსგავსეს ნისლ-ავლარს.  
ფაპრად მოკვდა წერაქვითა, შირინს დარჩა ხანჯალი.
4. ქვეყანაზე ვარდს დაუწევავ საყვარელი ბულბული.  
ბულბულივით ვამბობ: „ღმერთო, შეიბრალე ეს გული.  
სანამ ქვეყნად ცოცხალი ვარ, სახათნოვას სხეული  
შაპაბაზის გოდებითა შაპის მოსელას მოელის“.

P. S.: B. ეს მუხაბაზია. საიათონუმ იკიქრა რომა ყაენი უნდა იმისი საფლავზედ  
მოვიდეს დიდის ყიუიბითა მისთვის ლუქმა-ლუქმათ დაკუწოს. ძალი ვისაც  
კაცობა ეხმარათ იმისთანა ვაჟი-კაცის სიკვდილი.

- var: 2. ვარდმა უთხრა: „ყაყაჩო ვერ მოატყუებს ბულბულსა;  
დაეწურე, იარ შენ გზით, მოერიდე გუგულსა“.  
— „რაფერ არგებს ყაირათი დევით ხელებ-შეკრულსა,  
ბოლოს ბურთი-მეიდანი როსტომ-ზაალის არის“.
4. ათასითგან რას გაიგებ, თუ ქვეყანა სულ აქონ?  
გაზაფხულის ყვავილივით გვაგრილებ ჩვენ! მაშ გაქონ!  
ნეტა კი რომ შენ იცოცხლო, სახათნოვა დაახრჩონ.  
შაპაბაზის გოდებითა ამოგიყრის შაპი ჯავრს.

\* ახლად აღმოჩენილი ვარიანტი ამ ლექსისა გამოქვეყნებულია გ. ახატუ-  
რის შიერ „გრაკან თერთ“-ში 1934 წ. № 18 (30. VI).

## Post scriptum

ჩ. 2018- სახელმწიფო  
 გ. 2018 წელი 26 მეტებელი  
 საქართველოს კულტურის მინისტრის  
 მიმღები დოკუმენტის მიერ მიმღები  
 ც 2018 წელი 26 მეტებელი  
 სახელმწიფო კულტურის მინისტრის  
 გ. 2018 წელი 26 მეტებელი

(გ. სააზო მუხეუმის, აწ აღმოსავლეთი ცოდნების ინსტიტუტის  
 ხელნაწერი Georgica № 222, გვ. 69 v.)

თუ გ. ახცერდიანის მიერ მე-IX საუკუნის შეუ ხანგბში მოსმენილ და ჩაწერილ  
 გადმოცემას საიათოვას „მარტვილობითი“ აღსასრულის შესახებ ცალ მხარეს  
 დაცემოვებთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს მინაწერი ერთად-ერთი „საბუთი“ ამ „მარტვილობის“ მომხრეთა ხელში. მაგრამ საქმე ისაა, რომ თვით მინაწერი ვერაა  
 სწორედ გაგებული და გადათარგმნილი სომხურად სომებს მკვლევართა მიერ  
 (გ. ახატური, გ. ლევონიანი), რაიც გაუგებრობას ჰქმნის. როგორც ჭკითხველი  
 დაინახავს, თვით ლექსის უკანასკნელ ტაქტი შაპაბაზხეა საუბარი, ხოლო მინაწერში მოხსენებულია „ყავინი“; აღა-მამად-ხანის ხენება კი არსადაა. გარდა  
 ამისა, ქართ. წინადალება „მისთვის ლუქმა-ლუქმათ დაკუშოს“ გაგებულია რო-  
 გორც ეს იყო მიხენი, რომ ლუქმა-ლუქმად დაკუშეს“, მაშინ როდესაც აქ ალე-  
 გორიულადაა ნათქვამი, რომ უნდა დაკუშოს, და სხვ. დაწერილებით ამ საკითხის შესახებ იხ. ჩეკინი სპეციალი გამოკვლევა, სომხურ ენაზე, სათაურით „ახალი მასალები ტფილისის 1795 წ. მოობრებისა და საიათოვას ლეგენდარული „მარტვილობის“, „შესახებ“, რომელიც იბეჭდება სომხეთის სახ. უნივერსიტეტის „ნაშრომებში“ (ტ. I), აგრეთვე ნაწილობრივ წერილში „იონა ხელაშვილი სომხეთში და საიათოვა“, რომელიც იბეჭდება საქართველოს მუხეუმის „მოამბის“ მე-IX წიგნში.

## 51.

## უაპრად მოკვდა, შირინეა სთავა

1. ფაჭრად მოკვდა, შირინეა სთქვა: „დარდისგან დამწვარი ვარ;

ვარდი ყვავის, არ მიკარებს; ღობითა დამწვარი ვარ“. ბულბულმა სთქვა: „ვარდის ხათრით ეკლისგან დამწვარი ვარ,

თერთმეტი თვე მოწითმინე, უცხოსგან დამწვარი ვარ“.

ღმერთის ხათრით, ზარს ნუ იცვამ, ზარისგან დამ-  
წვარი ვარ;

მეჯლუმივით ვხეტიალობ, სატრფოსგან დამწვარი ვარ.

2. ფაჩას ხაზინა არ არის საკადრისი შენთვინა,  
ქირმანს შალი მოქსოვილი—საკადრისი შენთვინა,  
ოქროს ბეჭედი ლალითა—საკადრისი შენთვინა,  
ალისფერის ზარ-ატლასი—საკადრისი შენთვინა.

ღმერთის ხათრით, ზარს ნუ იცვამ, ზარისგან დამ-  
წვარი ვარ;

მეჯლუმივით ვხეტიალობ, სატრფოსგან დამწვარი ვარ.

3. ტკბილი ენა შაქარივით ვით უცეცხლო თაფლშია,  
გაზაფხულისა ყვავილო, რომ გაშლილხარ მარტშია,  
ომები სუნით რეპანისა გადაწნული ვარდშია,  
ნამი არ სდის მწვანე ფოთოლს და არა წვეთს ვარდშია.

ღმერთის ხათრით, ზარს ნუ იცვამ, ზარისგან დამ-  
წვარი ვარ;

მეჯლუმივით ვხეტიალობ, სატრფოსგან დამწვარი ვარ.

4. სადათნოვა მიტომ ვტირი, დარდები მაქვს არბაბი.  
თმები შენი კლაპიტონი, ნაწინავნი კი შარბაბი.  
შენს სურათსაც მეტად ჰშვენის დიბაო და ზარბაბი.

ლმერთის ხათრით, ზარს ნუ იცვამ, ზარისგან დამ-  
წვარი ვარ;  
მეჯლუმივით ვხეტიალობ, სატრფოსგან დამწვარი  
ვარ.

P. S.: B. ესე მუსტახათის ხმაზედ არის დიახ კარგი საიათნოვასგან ნა-  
თქომი.

52.

[ ალიზ-ლაგა ანუ ანდანო-ძება ]

1. ადგ (ან) ასტვათ „ლმეროი“... ბენ (ბან) ბარი „კეფილი“...  
გიმ (გან) გაგათ „მწვერვალი“... და (დონ) და „ეპე“...  
ელ [უნდა იყოს: ეჩ] (ენ) აერანი „ნეტა“... ზა (ზენ) ზალუშ  
„ლონიერი“...  
უთ... თო (თან) თო...
  2. უე (უან) უამანაკ „დრო“...  
ინ (ინ) ინძი „მე“...  
ლაჟნ (ლას) ლალ „ტირილი“...  
ხე (ხან) ხე...
  3. წა (წილ) წოვ „ზღვა“...  
კენ (კან) კამქ „ნება“...  
ჰო (ჰაე) ჰამან „მარად“... ძა (ძილ) ძახნ „ხმა“...  
ლაჯ (ლან) ლაბულ „ყაბული“... [ჭი (ჭარ) ჭარ „ჭველა“]...
- 4—5 .
6. რე (რე) რუნ (?)... ცო (ცან) ცამქილ „გაშრობა“... ჰეჭნ  
(ჰიე) ჰუნარ „უნარი“...  
ფეჟურ (ფარ) ფაქელ „დაკეტა“... ქე (ქარ) ქარ „შაქარ“...  
ო (ო)... ფ (ფ)...  
ჰალალ სახათ-ნოვენ...

P. S.: B. ისე ანბანთ-ქება ყარა ჰეჭნა არის სომხური გამოცემა საკთ ქა.

## 53.

## დაც-და-დასით შევისწავლე ანბანი

1. დას-და-დასით შევისწავლე ან-ბანი,  
მივედ რა'ეს, მივედ ჯე'სა, მივედ სე'ს\*.  
ხელო ჩავიგდე ქალალდი და კალამი.  
ვერ გავიგდე—კითხვა რატომ მაღირსეს?
2. ათასი და მეტი წელი გაეიდა,  
ლარიბი და მდიდარიცა არსებობს.  
სხვადასხვაა მათი სუფრა-მაგიდა,  
სიკვდილიცა უსასწოროდ ჰასასობს.
3. სიცოცხლე რომ ჩამიმწარდა, ზღვად იქცა,  
გულიც ოხერით გამიტყდა და გავწყალდა.  
დარდი ნელად წვეთ-წვეთადა ზღვად იქცა.  
არეინ არის მიჭასასოს, გავწყალდი.
4. ვინც მოკვდება ასი წლის ან ოთხმოცის,  
მისოთვის რაა ორასი ან ათასი?  
სახაონოვა! თუ რომ გახდი ორმოცის,  
შენ სიკვდილთან, ის კი შენთვის ჰასასი.

P. S.: B. ქ. ისე სომხური თეჯნისია.

---

\* უწდა იყოს: „მივედ ჯე'სა, მივედ რა'ეს, მივედ სე'ს“.

54.

ეჭხის სახმილს გვ შევედი

1. ეჭხის სახმილს მე შევედი სულის გასაწმელადა,  
 გული ქანად გადამექტა, ანადა და ბანადა<sup>1</sup>.  
 ნებაყოფლობით შევედი დარღის ალსაკვეთადა:  
 ვინ შევიპყრო, თუ არ სანი, ანიო და ბანიო<sup>2</sup>.
2. თუ ოსტატი ვიქნებოდი, სიტყვას გავამშვენებდი,  
 შარბაბსა და ოქრომკედას ერთობ დავამშვენებდი.  
 . . . . .  
 თუ რომ კაცი ნაჩი იყოს, ანიო და ბანიო<sup>3</sup>.
3. ვით სანთელი ვერ სძლებს ცეცხლში, იწყებს ღნობას·  
 ილევა,  
 ისე მევახე სიტყვის მთქმელი თვისით ამოილევა.  
 ამიტომაც სახათნოვა ასეთ რჩევას იძლევა:  
 ორსავე თვალს ნუ აკლდება ორი ანი—ბანიო<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ქაბაბ. <sup>2</sup> საბაბ. <sup>3</sup> ნაბაბ. <sup>4</sup> აბაბ.

P. S.: B. ისე სომხური ყარა ჰაჯა არის.

55.

მეცნ სარ, გამასამართლე

1. მეფე სარ, გამასამართლე, თუ რომ შენი მზე გიყვარს! 1,1  
სადაც წახვალ, გამიყოლე, თუ რომ შენი მზე გიყვარს! 1,2  
ვარდო! ნუ უშვებ მოგგლიჯონ, თუ რომ შენი მზე  
გიყვარს! 2,1  
[ჯავაირო, შემიყვარე,] თუ რომ შენი მზე გიყვარს! —
2. ყვავს არ ძალუძს ბულბულობა,—იგი მაზე ოკენებობს. 1,3  
სხვადასხვა ფერ ყვავილებში სუნით ვარდი ყველას სჯობს 1,4  
ქურდი ვინმე ნამგლით მოვა, ამოაგდებს და მოსპობს. 1,5  
[ჯავაირო, შემიყვარე,] თუ რომ შენი მზე გიყვარს! —
3. ბულბული მთით აგერ მოღის ბალის ნატვრით-გალობით. 2,2  
სახათნოვა რო მობეზრდა, მიტომ შეხვდა მაღლობით. 2,3  
•  
[ჯავაირო, შემიყვარე, თუ რომ შენი მზე გიყვარს! 2,4

## 56.

## [ მუზემის და მგელი ]

1. ოოგორლაცა ერთი მწყემსი მგელს წააწყდა ბარშია.  
**მგელმა** უთხრა: „გამარჯობა! ხომ არ მიხვაღი მთაშია?“  
**მწყემსმა** უთხრა: „მომშორდიო, თორემ გესვრი თავშია; არ მინდაო არც ხეირი, არცა შარი გზაშია!“.
2. **მგელმა** უთხრა: „მოგადგები მალულადა და მოგსპობ, ცხვრის დუმასა კბილს ჩავკიდებ, ისე რომ ვერც შეატყობ; თუ ნახევარ ფარას დაეჭვლეჯ, ნახევარსაც დავახრჩობ; გაიღვიძებ დილით, ნახავ—ხეირს და შარს შეიტყობ“.
3. **მწყემსმა** უთხრა: „რა გვონია, მე ნამდვილად ვიძინებ? თვალი, ყური განუწყვეტლივ შენსკენა მაქვს, გიმიზნებ; თუ რომ მე ხელთ ჩამვარდები, მაშინ შავ-ბეღს იწყევლებ; რკინის კრკალსაც შენს კისერზე სწორედ დილით გაჩვენებ“.
4. **მგელმა** უთხრა: „მოგადგები მალულადა და მოგსპობ; ცხვრის დუმასა კბილს ჩავკიდებ, ისე რომ ვერც შეატყობ; ავიკიდებ თითოდ ზურგზე, არავის არ გავუყობ; დილიდანვე თითო-თითოს მთის წევრზედა შეიტყობ“.
5. **სადათნოვამ** სოჭვა ასე რომ: „მე წითელი ძროხა ვარ; საწველ ქოთანი გამიტყდა, რძალთან უმძრახადა ვარ; მგელთან არ მაქვს საერთო რამ, მწყემსსა ვაქებ, საზი ვარ; თუ მოვედი, ბატკნის გემოს მე გიჩვენებ, შარი ვარ!“.

57.

[ განმანაბეჭდი და ცხვრის ხორცი ]

1. როს მახოხი და ცხვრის ხორცი ერთმანეთს წაეკიდენ,  
თვითეული იქვეხოდა: „მე თითონ ვარ მაზაო;  
შენ რომ ყვათი ალარ შეგრჩა, რალას გამოგეკიდენ?  
მე ვარ კაცთა ყვათის მდები, სიცოცხლისა რაზაო“.
2. მახოხმა სთქვა: „შეიდი კვირა არის დიდი მარხვაო;  
ამ მარხვაში კაცისათვის მე ვარ გულის ნატვრაო;  
მაღადა შეიდი პატარძალი მსახურადა თავსაო;  
ნიორ-პიტნა-ისპანახიც მითესია ბალსაო“.
3. ცხვრის ხორცმა სთქვა: „შენ რა იცი? კარგი გემო ჩემშია;  
მე რომ ფლავში ჩამიდებენ, მოიყვანენ დამკერელსა;  
მე რომ მდებენ მათლაბაში, შენ გასხამენ ჯამშია;  
ჯიბრით, იცოდე, გაგხეთქავ, ამოგადენ ნალველსა!“
4. მახოხმა სთქვა: „რამდენიცა გაიბერო, გასკდები;  
რამდენიცა დაიმტერიო, მაინც უნდა იმარხო;  
ცოლვები მთლად მოინანო, მოიგონო დარდები;  
შენდობა სთქვა, იზიარო, შეიდი კვირა იმარხო“.
5. ცხვრის ხორცმა სთქვა: „დღე დამაკლდა; უკვე ამოლე-  
ულვარ;  
უსინათლოს-ქაჩალსაცა ყველას ერთობ ვუქივარ;  
შემწვარი თუ მოხარშული აღდგომისა სამლეოო ვარ;  
ლავაშშიაც გახვეული თავაზა მე თითონ ვარ!“
6. საზათნოვამ კი სთქვა ასე: „ხომ იცით, რომ ხერხი ვარ;  
თუ რომ ვნებავსთ, ორივესა ერთად მალე დაგხერხავთ;  
ბნელ ადგილას ჩაგყრით ისე, რომ გევონოთ დევი ვარ;  
კლიტეს გარედან დაგიდებთ, მაგრა კარგად ჩაგქეტავთ!“.

58.

[ ଥାଲିଣୀ ]

1. ସାଦିର୍କୁତ୍ତେଲି ଗାଗିଆଥିଲେସ, ଗାଗାହିଲେସ, ମନ୍ଦିନିନୀ!  
ଜ୍ଵିତକ୍ରିସାଳ ଶେନ ଏଗାଗ୍ରେ ଦା ଏଗମାରିଟେସ, ମନ୍ଦିନିନୀ!  
ଶିଗ ପୂର୍ବେଦି ହାମରକ୍ଷିତ୍ତେସ ମାର୍କ୍ଷିତ୍ତେସ-ମାର୍କ୍ଷିତ୍ତେସ, ମନ୍ଦିନିନୀ!  
ପାପ କାମାରାତ୍ର-ତାଲାତ୍ର ଶେତ୍କ୍ରୀସ, ଶୁରୁତ୍ୱ-ଶୁରୁକ୍ଷା\*, ମନ୍ଦିନିନୀ!
  2. ଚିଠ୍ଯେଲ ଏଗୁରୀସ କ୍ରେଫଲେସି ମାରମାରିଲାସ ଶ୍ଵେତୀଦିତ,  
ନିନ୍ଦାରେତିତ ମନ୍ତ୍ରାବିଲି ଫାରଦାତ୍ ପାଲାମଜ୍ଜାର୍ହେଦିତ,  
ଶାମିଲେଲି ଶାର-ଶାରଦାଦି ଦେଖିରଫାସ ତତ୍ତ୍ଵଦିତି ମିଶ୍ରଦିତ,  
ଶାକୁରତକ୍ଷେତ୍ରେ ଶାମନତକ୍ଷେ, କାନ୍ଦେଲ-କ୍ଷେତ୍ରାର୍ହେଦିତ.
  3. ଶାନିଶିନି ଶେଲେଦିଲି, ଏନ୍ଦରିଲେ ଦା ଶାନଦାଲିଲା;  
ଶୁଲ୍ଲିତ-ଶୁଲ୍ଲିତ ପିତ୍ତମିଲ୍ଲେବା ମିଶ୍ରଲ୍ଲେଲ୍ଲେ ମନ୍ଦିନିଲା;  
କିଦିନବାନି ଦେଖିଲିଲି ଲତାମିଲି, ତୁରାପେଞ୍ଚି ଅଶିନିଲିଲା;  
ମଦ୍ରଦଲେଦିତ ତ୍ରୈଦିଲିଲି ବନ୍ଦିତ ଗାଜେଦେନ, ଶୁରୁତ୍ୱ-ଶୁରୁକ୍ଷା\* ମନ୍ଦିନିଲା!
  4. ପୁରୁଷଗବାରି ଧରନିର୍ତ୍ତେବା ପିତ୍ତମିଲ୍ଲେବା ଶେନ ମିଏର.
- \* \* \* \* \*

\* ଶୁରୁତ୍ୱ-ଶୁରୁକ୍ଷ—ଫିଲିଡା ଶିକ୍ଷଣ.

59.

## რამდენიც კი შენ შეგხედე, იმდენი გაღვირიე;

1. რამდენიც კი შენ შეგხედე, იმდენი გაღვირიე;  
ო, ლამაზო, შემიბრალე, ბედი ნუ გამიბნიე!  
თითქოს ხელით შემიპარი, მეხსნებოდა ილბალი.  
შენის ეშხით დავსნეულდი, თავს დამესხა ზარალი.  
შენს თავს რატომ არ შეჰედავ, დროა შენანებისა?!?
2. მე გამცარცვეს შენის სიტყვით, არ მითხარი—რა მმართებს?  
შენ ხარ ჩემი გულის სატრფო, რათ და რატომ გაკვირებს?  
ჩემს შეხვეულ ჭრილობასა სხვების სიტყვით რათ მიხსნი?  
ოვალი დამრჩა შენ გზაზედა, როდის მოხვალ— დამიხსნი?  
აშ ხალვათსა ჩვენს ოთახში დროა შერიგებისა!
3. პატიოსან მშვენიერ თავს შენ ავარად ნუ შეჰქმნი!  
გაწყალებულს ჩემს გულლვილსა შენ ნაკუწად რატომ ჰქმნი?  
ჩვენი გულის ამბავს ესე რა მიზეზით ამელიენებ?  
არუთინას სიხარულსაც ასე რატომ აქარწყლებ?  
გამიგონე, მშენიერო, დროა გარდახვევისა!

60\*.

## თმები გიგავს დასტა-რეპანს დასტა-რეპანს

1. თმები გიგავს დასტა-რეპანს, ბენზარ სუსან უ მეზა.  
წარბინი კილმით მოხატული, გელურ გუმან უ მეზა.  
წამწამიცა ისარ-ნეშტარ, დეგარ ქამან უ მეზა.  
თვალი თქროს ფიალანი, ოთ სალმიშ ჯან უ მეზა...
2. გულ როჰოა (?) ხალ ბასლანმიშ, ვარსკულავისებური.  
სარ-გაჩუნ ჭინდან მუმი დურ, ტანი ალვისებური.  
ლალარ-ლილუნ შირინ სოზუნ, კბილნი რკინისებური.  
ტუჩებიდან თაფლი გწვეთავს, სულმაგ ფინჯან უ მეზა...
3. უზუნ ოლმიშ შამს უ ლამარ, კისერი გაქვს ყარყანტის.  
ახილუფ დურ ბუხალლარუნ, ფრჩხილები აღამანტის.  
ლოლუნ შიმშატ, ბარმალუნ მუმ, თვალი-შეხედვა შანთის.  
დღე და ლამე შენს ეშხში ვარ, ლომაზ დამან უ მეზა...
4. ონუ იჩუნ ჯუნუნ ოლმიშამ, უთავბოლოდ გეძახი.  
ბახუნუფ დურ ლომნონ იჩი, შენი სუნით გავძეხი.  
ლომნონ იჩი..., შამამნებით ვიკვეხი.  
გამოიდენენ რძის წყაროს, ჩამირ-ჩიმან უ მეზა...
5. თარიფ ეგლა საჯაღნოვა, ვაქებ ქეკლუცს უმსგავსსა.  
ბელი ჰაგილადან ჩაქმა ამოართმეცს სულს კაცსა.  
ნამ გედირსან ლანლუ მარალ შენი ეშხი მომქლავსა.  
ნუ მომქლავ შენით ნატრულსა, დელ დირმა ლან უ მეზა...

\* ამ ლექსში რაც შევადაა აწყობილი, თურქულია, რომელსაც ჩვენ არ ვთარგმნით და მოვცვავს ისე, როგორც სომხურშია.



საქართველოს - საეპიკო ლიტერატური

## ლ ე ჭ ს ი კ ო ნ ი :

აფარად ქხნა (59,3) აოხრება.

აგაჯუა (11,3), resp. აგაძუა, სპარს., ჰავიჯ, მცენარეა, Anchusa.

ალამი (41,4), არაბ.-სპარს., ღროშა, ბაირალი; აქედან: ალამდარი მედროშე, მებაირალე.

ალი (12,2; 39,2; 45,1) ალისფერი.

ალმასი (15,3; 18,2; 24,2; 32,4; 48,2), სპარს., თვალი პატიოსანი.

ალქატი (3,4), სომხ., უბოვარი, ხელმოკლე, გლახა.

ანგალი (13,1; 46,1; 47,3), თურქ., კრძალული, უთავბოლო.

ანდამატი (2,1), ბერძნ., მშვენებით სრული ალმასი, მაღალი ხარისხის ალმასი.

არბაბი (33,1; 52,4), არაბ., ხარჯი, გამოსალები, საურავი; „დიდი, უდიდესი“ (ახვერდიანი, 134).

არზა (12,3), არაბ.-სპარს.-თურქ., თხოვნა, საჩივარი.

ასლი (32,2; 47,5), არაბ., ნამდვილი.

ატლასი (15,3; 18,2; 19,5; 24,3; 26,2; 32,4; 36,3; 42,5; 51,2), არაბ.-სპარს., ხალასი აბრეშუმეული.

აფხუსი (25,2), სპარს., „სანანური, სამუღაბო, არგამოსამემეტებელი“ (ჩუბ., 58).

ალა (7,2; 8,3; 34,3), თათრ., ბატონი.

აზული (5,4), არაბ., „აშიყი, აშიყი, ტრფიალი“ (ჩუბ., 77); „მოტრფიალე, შეყვარებული, მიჯნური“ (აბულ., შაჰნაზე, 794); მგოსან-მომლერალი, ტრუბადური; შდრ. რუს. ашик.

ბაახი (1,1; 36,3), „ცილობა, პაექრობა, ლაპარაქში შებმა“ (ჩუბ., 89), ბანი; აქედან: ბაახობა.

ბადავი\* (28,4) „შაქრის დანალექი, მოდულებული ტქბილი“ (ჩუბ., 90), „ტქბილი მოდულებული“ (ხაბა, 32).

ბადიშხანი || ბადეშხანი || ბადახშანი || ბედახში (18,2), „ქალაქია ალ-მოსავლეთს სპარსეთში, აღნიშნავს იქიდან წარმომდგარ,

<sup>1</sup> ამ ლექსიკონში ის სიტყვები, რომლებიც გარსკვლავითაა აღნიშნული, საითონოებას ლექსებში არ მოიპოვება და ჩვენ მიერ არის ნახმარი.

- მოტანილ ნივთს”** (კეკელიძე, ბარამეური, 229); აგრეთვე „ტუჩების ეპიტეტი“ (ჯაკობია, იოსებ-ზილიხანიანი, 160), ანუ „გიშერ-წამწამოს ეპიტეტი“ (იქვე, 161).
- ბაზი** (43,4), სპარს., „ქორი, შავარდენი, მიმინო“ (ჩუბ., 92); აქედან: **ბაზიერი** „დამგერშველი და ზედამხედველი ბაზთა“ (იქვე).
- ბალასინი** (11,3; 41,1), სპარს., მცენ., Balsamum, ვალსამოს, „ხესიტუკან ერთსა, რომლისა მონაკუეთთაგნ ჩამოეჭუეთების; კვალად ბალახია კიტრიფით და მისის გურქისაგან გამოკდიან. **ბალასინი** იქმნების მრავალწლის ზეთის-ხილის ზეთი, გინა ღვინო და სხვათაცა შეიმზადებენ“ (საბა, 33).
- ბანგი** (43, 1), სპარს., Opium, „თრიაქი, ოპია“ (ჩუბ., 95), მათ-რომელი, დამაძინებელი წამალი.
- ბანდა || ბანდი** (11,2; 17,2; 31,3; 44,3), სპარს., „შეკრული, შეშარტული“ (ჩუბ., 95); „ჯაჭვი, საკინძე“ (აბულ., შაჰნამე, 796); „ხლართი, ხვანჯი, ძაგრი“ (გრიშ., სახათონოვა, 128); მონა. აქედან: დაბანდება, შებანდებული.
- ბარძიში** (46,1) ეკლესიაში სახმარებელი „ფერერიანი მალალი სასმისი“ (საბა, 36), ღვინის სასმისი ეკლესიაში.
- ბედ-ასლი** (32,2; 47,5) „უბადო, ფლიდი“ (ჩუბ., 102), უბედური.
- ბზობა** (12,2) „დღესასწაული ბაიაობის კვირისა ან ბაიაობის კვირა“ (ჩუბ., 106), ალდგომის წინა კვირა, ქრისტეს იერუსალიმში შესვლის დღესასწაული.
- ბოლთა** (15,4) расхаживание; აქედან: **ბოლთას კვრა** იმავე მნიშვნელობით.
- ბროწეული** (36,2; 44,4) გადატანითი მნიშვნელობით ძუძუ.
- ბუზა** (43,1), სპარს., სასმელი, ბუზა.
- გაზი** (9,1) ქსოვილი; აქედან: **გულგაზი**.
- გოარი** (30,1), resp. გოვარი || გუვარი, სპარს., მარგალიტის თვალი.
- დანგი** (21,3), სპარს., „პატარა ნუმიზმატიკური ერთეულის სახელი“-ა; პროფ. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით (ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ. 1925, გვ. 27), „აბაზში ხუთი, ან ოთხი დანგი ითვლებოდა“ და „მაშასადამე იგი აბაზის ან  $\frac{1}{5}$  ან  $\frac{1}{4}$  უდრიდა“.

- დარიჩინი** (18,5; 26,4), სპარს., კინამო, *Cinnamomum*, „ქასია...  
 ოხელი რამ ქერქი არს ფრიად სუნელი (+რომელსა  
 სპარსი დარიჩინს უწოდენ)“ (საბა, 163).
- დას-და-დასით** (53,1) რიგრიგად, მწკრივ-მწკრიგად.
- დასი** (1,1), სომხ., დასი, გუნდი, მწყობრი, მწკრივი, კრებული,  
 წყება,
- დახტა** (42,2; 40,1), სპარს., გუნდი, კრებული; კონა, შეკვრა.
- დაფი** (27,2), სპარს., დაირა; საბათი: „ესე არს გრძალი, ცალ-  
 თა მკარეთა ეტრატი აკრავს საცემლად მროვაეთათვს,  
 რომელსა სპარსი დაიჩას უწოდენ; ხოლო დაფდაფსა  
 ორსავე მეკარეს ეტრატი აქუს, რომელსა დაულს უწო-  
 დენ იგინივე“ (92); ასევე ჩუბინაშვილით: „ერთს მხარეს,  
 ეტრატ გადაკრული დაირა; ხოლო დაფდაფი, დაბდაბი,  
 ღოლი ორსავე მხარეს“ (430).
- დაღი** (34,1), სპარს., საბათი: „ესე არს საბეჭდავი, გაეურვებუ-  
 ლი ცეცხლითა“ (92).
- დერვიში** (45,4; 49,3), სპარს., მწირი მაშმალიანი.
- დიბა** (30,1; 52,4), არაბ.-სპარს., ოქრომკედით ნაკერი ფარჩია,  
 ოქროქსოვილი ფარჩა.
- დოვლათი** (7,4), არაბ.-სპარს., სიმდიდრე.
- დუმფარა** (35,5), მცენ., *Nymphaea alba* L. кувшинка.
- ენგიდუნია** (26,3; 30,1) „ერთგვარი ქსოვილია“ (ახვერდ., 128).
- ენდრო** (58,3), მცენ., „ამბალახის ძირი არს წითელი სალებავი,  
 მარენა“ (ჩუბ., 491), *Rubia tinctorum* L.
- ვეზირი** (27,2; 47,5), resp. ვაზირი, არაბ.-სპარს., თანამზრახველი,  
 მრჩეველი; საბათი: „სპარსთა ენაა, გამზრახი და ეპარხო-  
 ზი ჰევან“ (118).
- ვექილი** (22,1), არაბ.-სპარს., მოადგილე, ნაცვალი, მაგიერი;  
 რწმუნებული.

**ზანჯაფილი || ჯანჯაფილი** (26,4; 39,2), თათრ., კოჭა, *Zingiber*.

**ზადანისი** (44,3) ერთერთი სამუსიქო კილოთაგანი.

**ზარბაბი** (12,2; 18,1; 21,2; 30,1; 33,2; 37,2; 41,4; 52,4; 58,2),  
 სპარს., ძვირფასი ფარჩეული; ოქროსა და ვერცხლის ძა-

ფით ნაქარგ-ნაკერი.

**ჭარი** (12,2; 15,3; 19,3,5; 21,2; 24,3; 25,1; 26,3; 30,1; 32,4;  
37,2; 41,4; 42,5; 43,3; 44,5,9; 45,1; 51,1—4; 58, 2),  
სპარს., ოქრომკედი.

**ჭარნიშანი** (25,2; 40,1), სპარს., „წვრილი ჩუქურთმა მინანქრით ამო-  
ნაკეთი, მურდახილის ყაიდაზე“ (გრიშ., სამათნოვა,  
129), „насечка золотом или серебром“ (ჩუბ., 514).

**ჭაფრანა** (26,4), არაბ.-სპარს., კრკო, ქურქუმა *Crocus*, შდრ. რუს-  
shafran.

**ჰეჭი** (14,4) ბისონი, პორტირი.

**თამაშა** (44,10) სანახევი.

**თახჩა** (17,4), სპარს., კედელში დატანებული ზარო.

**თეჯვნისი** (45,2) 13 მარცვალოვანი ლექსია 5 ტაეპად, თითო ტაე-  
პი 4 სტრიქონად.

**თილისმა** (48,3), არაბ., აეგაროზი, თალისმანი, ბაზმანდი; ჯადო.

**თოვუზი** || **თაგუსი** (21,2) ფარშევანგი, *Pavo cristatus*; აქედან: თა-  
ვუსის ტახტი (ტახტი თავუსი)<sup>1</sup>.

**იალქანი** (35,4) ალამი ხომალდისა, აფრა.

**იარი** (44,1,16) სატროფო, მიჯნური, საყვარელი.

**იაყუთი** (48,3) იაყუნდი, იაკინთი.

**ილაჭვი** (49,3), არაბ., შეძლება, იმედი.

**ილთიმაზი** (9,1; 40,1—4; 44,20,21), სპარს., ვედრება, შუამღვო-  
მლობა.

**ილი** (18,5), სპარს., მცენ., ჰილი, კაქულა, *Cardamomum*.

**ისპანახი** (57,2), სპარს., მცენ., სპანძელი, *Spinacia oberacia*,  
შდრ. რუს. შპინათ.

**იხტიბარი** || **იხტიბარი** (27,4; 34,2; 40,5; 44,6; 50,3), არაბ.,  
სარწმუნოება, სასოება, ნდობა.

**კანდელი\*** (58,2), ბერძნ., სანათი, ზეთით ასანთები ლამპარი (ეკ-  
ლესიებში).

**კაპარჭი** (22,3), სომხ., „ისართ ქარქაში“ (საბა, 161); ისრის  
ბუდე.

<sup>1</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ამ წიგნის გვ. 32 და შენ. 1 და 2 იქვე-

კარაბადინი\* (20,5), არაბ., სამკურნალო წიგნი.

კელაპტარი (58,2) სანათური.

კიდობანი (58,2) მოთხე, კოლოფი.

კიდონტი\* (44,10) „ოქროს გამოსაცდელი სასრევი“ (ჩუბ., 1117).

კლაპიტონი\* (51,4) ოქინის სიმებიდან დაწნული „ოქრომკედი“ (**ლევანიანი**, საიათოვა, 184). ეს სიტყვა ახლაც იხმარება, მაგ., წინადადებაში: „ჩემი სულის კლაპიტონი“, აგრეთვე ბავშთა ლექსებში: „ბიჭი ვარ კლაპიტონისა“.

კუნკულა\* (7,4), ბერძნ., მონაზონთ თავსახურავი, რუს. კლიბუკ.

ლალანისი (45,1), ერთერთი სამუსიკო კილოთაგანი.

ლალი (1,2; 15,3; 18,2; 21,3; 26,4; 40,1; 44,5,19; 51,1), სპარს., თყალი პატიოსანი წითელი ფერის.

ლანგი (44,10) „პირის გამოსაწყობი უკეთეს გალესვისათვის“ (ჩუბ., 1117).

მაჟა (43,1; 57,1) სანუკვარი საჭმელი, დესერტი.

მაჟდი, იხ. მიზდი.

მალამო (20,1; 37,5), სპარს., სალბუნი.

მანიაკი (16,4) ფარლული.

მარიფათი (21,4; 26,5) ზრდილობა, ზრდილობიანობა; რიგი.

მარმაში (25,5) მუსლინი, Mousseline (ახვერდ., 113).

მარჯანი (25,3), არაბ., „ძოწი, წითელი მძივები ზღვაში მოპოვებული, რომლისამე ხისაგან, კორალ“ (ჩუბ., 676).

მასანისი (45,5) ერთერთი სამუსიკო კილოთაგანი.

მაჯუმი (45,3) electuarium (ახვერდ., 170).

მელიაქი (22,5), არაბ., მოურავი, მამასახლისი.

მერანისი (45,4) ერთერთი სამუსიკო კილოთაგანი.

მეჯლისი || მეჯლიში (1,4; 25,2; 36,5; 48,1), არაბ.-სპარს., კრება, შეკრილობა, სხდომა, წვეულება, შეკრებილობა, ნაღიმი, ლხინი, ქეიფი.

მიზდი (38,4), სპარს., ხელფასი, სარგო, ქირა; შდრ.რუს.მზდა.

მინა (18,2) ემალი; აქედან: მინაქარი.

მიხაეთ (18,5), მცენ., ყარამფილი, Dianthus, რუს. ГВОЗДИКА.

მონა\* (16,4; 58,3) ეკლესიის „მონა“.

მუაჯარი || მუაჯირი (42,4; 45,2) перила.

მუნათება (26,1,5), არაბ., ყველრება, საყვედლური.

მურასა (48,2), არაბ., მოოჭვილი, ოქრომკედით ნაქსოვი, მოოქრო-

ვილი, თვალმარგალიტით მოჭედილი, „მოხდენილი, სათუ-  
თი“ (მნათობი 1933 № 5, გვ. 187).

შურაპასი (44,17), არაბ., განტევება, გასტუმრება (ჩუბ., 907).

მუსკი || მუშკი (17,4), არაბ., საქმეველი, მუსკუსი, *Muscus*.

მუყაიში (45,1), „ოქროს თმა, სხებლა“ (საბა, 232).

მუშკამბარი (4,3), არაბ., მუშკ+ამბარ, *Muskus+ambra*.

ნაბათი (14,4; 24,1; 38,4), არაბ., ყინვაშაქარი.

ნაყაში (39,4) მხატვარი.

ნეშტარი (25,3; 40,1), არაბ., „სისხლის გამოსაშვები იარაღი, ლა-  
პეტ“ (ჩუბ., 982).

ნოქარი (32,1; 47,2; 48,5), სპარს., მოსამსახურე, მოჯვამაგირე.

ნუგბარი (43,1), სპარს., პტელი, ნარუქი, ახალი ხილი.

ნუცლი (19,1), არაბ., „ნუშის გული დაშაქრული“ (ჩუბ., 188).

ფარანისი (45,2) ერთერთი სამუსიქო კილოთაგანი.

ფამნი (32,5) ერთერთი ღვთისმსახურებათაგანი, часы.

რაზა (43,2; 57,1) კარის გადასაცმელი რკინა.

რაფა (1,4), არაბ., თარო.

რაყიფი (2,2) „ორი ერთის ტრფიალი იყოს“ (საბა, 279), „მოქიშვე  
მოწინააღმდეგე, მეტოქე (სიყვარულში)“ (ჭაკობია, ომ-  
სებ-ზილიხანიანი, 169).

რაში (1,3; 18,4; 25,4; 37,3; 43,2), სპარს., რუსტემის ზღაპრული  
მერანი, შავი ცხენი.

რახი (4,1), თათრ., არაყი.

რახტი (21,1), თურქ., აღვირის მორთულობა, აღვირედი.

რევანი (12,2; 24,4; 35,4; 40,1; 41,3—4; 40,1; 44,12,23), არაბ.,  
შაშპრა, *Ocimum basilicum* L.

სადა (37,2) მარტივი, ერთი ფერი.

სადაფი (1,1; 43,2), არაბ., მარგალიტის ნიუარა, მარგალიტის  
ბუდე.

საზანდარი (39,5), სპარს., მესაზანდრე.

საზი (1,1; 42,1; 43,5; 44,24,25; 56,5), სპარს., მუსიკა, პარმონია;  
სამუსიქო საკრავი, რეასიმიანი საკრავი.

- სალბი (14,2; 16,2; 18,2), მცენ., სალვია., *Salvia*.
- სამ-ათი (40,5; 41,2) ოცდაათი.
- სამანდარი (39,2), სპარს., სალამანდრა.
- სანდალი (58,3) არაბ., მცენ., სანდლის ხე, *Santalum*, საბათი:  
„ხეა სუნნელი ინდოეთს“.
- სანთური (27,2; 35,3) „სიმებიანი ყუთი ჩხირებით საელერი“  
(გრიშ., სადათნოვა, 131); „ებანი ქნარი ან ჩანვი, გუსლი“  
(ჩუბ., 1103).
- სანიშინი || შანიშინი \* (58,3), სპარს., ჯერაკუმია, გალერეა, გინეკეი.
- სარდალი (47,2), სპარს., მხედართმთავარი.
- საღწა (17,4) ღოლაბი.
- სახტი (21,3) მოულოდნელი რამ; აქედან: სახტად დარჩენა მოუ-  
ლოდნელი რამის შეტყობია; უსახტო უშიშარი.
- სერობა (8,3) ტრაპეზი.
- სფინაქსარი (8,1; 11,3; 41,1) მამათა ცხორება შემოკლებული და  
კალენდარულის რიგით დალაგებული, რუს. Четыни-ми-  
нен, ექლესიაში საკითხავად.
- სიმი (40,1; 45,3) струна.
- სირინ (27,1), ბერძნ., ზღვის ტურფა ქალი, ტკბილად მომლერალი  
ქალ-თევზი.
- სირმა (11,1; 30,4) ურიოშო ვერცხლი ან ოქრო, ხალასი ვერცხ-  
ლი ან ოქრო, წმიდა ვერცხლი ან ოქრო.
- სოფდაგარი (30,1), სპარს., ბითუმად მოვაჭრე, კომერსანტი.
- სპეკალი \* (18,2) მარგალიტი.
- სულთანი (18,1; 22,5; 31,4; 49,2) ხონთქარი, თურქეთის (ოსმალე-  
თის) მეფე.
- სუმბული || სუნბული (11,დამ.3; 22,5; 35,4; 42,3; 43,4; 44,12),  
სპარს., მცენ., ნარდი || ნარდიონი, იაკინთო, *Sumbulus moschatus*.
- სურმა (20,7), სპარს., ანთიმონია, საოლავი, შდრ. რუს. сурьма,  
აქედან: სურმვა გაშავება, შელება.
- სუსამბარ || სუსანბარ (18,5; 19,1; 27,4; 39,1) რეპანი ლურჯ ფოთ-  
ლებიანი ფრიად სურნელოვანი, *Ocimum basilicum* L.

ტრაპეზი (58,3), ბერძნ., მაგიდა, საკურთხევლის მაგიდა.

ტული (41,3) თევზი (ზოდიაქოს ნიშანი); აქედან: ტულაობა თევზი

<sup>1</sup> იხ. ამ წიგნის გვ. 22.

პეპლვა; შდრ. სომხ. ყოთ ॥ ქართ. ცოლი (ნ. ადონცი,  
Ezniciana, პარიზი 1928, გვ. 18)<sup>1</sup>.

ოუხალი (9,3; 17,5) პატიმარი.

ოუხდი (16,4), მცენ., ფოხვერი, Althea; შდრ. სომხ. მითული თულთ-  
ქალალდი.

უჯრა (26,1; 37,2), არაბ., ყუთი გადმოსაწევი მაგიდის ან კარა-  
დისა.

ფადიშაპი (5,4; 22,1; 26,3), სპარს., შაჰი, ყაენი.

ფანდი (24,7), სპარს., რჩევა, სარჩეველი; ლინგი, ხლინგი, მორ-  
კინალთა ხელოვნება (ჩუბ.).

ფარალათი (26,3) თავისუფალი; აქედან: ფარალათება, resp. ფარ-  
ლათება განთავისუფლება.

ფარგალი (48,1), თურქ., კარაკინი, ცირკული.

ფაჩა (51,2) ფადიშაპი, ფაშა.

ფეშეუმი \* (46,1) სეპისკევერის დასასვენებელი ჭურჭელი ეკლესიაში-  
ფიალი (25,3), ბერძნ., სასმისი.

ფიანდაზი || ფეანდაზი || ფეინდაზი (9,1; 44,25), სპარს., ფეხთსაფე-  
ნი, ფეხქვეშ გასაშლელი.

ფისტა (42,2), სპარს., ფუსტული, კევის ხე, Pistacia, შდრ. სომხ.  
պիსտაჲ, რუს. фисташка.

ფიჩოსანი || ფიჩოსანი\* (7,4) ძაბით მოსილი ბერი.

ქამანჩა (1,1; 27,2; 35,3; 44,10), სპარს., კიანური.

ქარგა (28,2) ჯალდა ოქრომეტედის საკერავთ გასაბმელი და გასაჭიმა-  
ვი (ჩუბ.).

ქარგალი ქვეხელოსანი; აქედან: ხაქარგლო (30,3) სახელოსნო.

ქარვანი || ქარავანი (28,2), სპარს., მწკრივი მოგზაურთა (მაგ. აქლე-  
მებით).

<sup>1</sup> როგორც ეტყობა, ამ სიტყვასთან უნდა ჰქონდეს რაღაცა კავშირი  
სკანდარ-ნოვასა და ი. გრიშაშვილის მიერ გაფონილ სახელწოდებას „ტალითა“,  
რომლითაც ეითომდა საიათონოვას სატრფო ფუთ ცნობილი (შდრ. დ. მელიქეთ-ბეგი,  
საიათონოვას ვინაობა, ტფ. 1930, გვ. 53). გ. ლევონიანის განმარტებით (op. cit.,  
169) იგი თურქულად „ქვრივს“ აღნიშნავს. ლაზარე კაჭუკელი კი 1734 წელს  
გამოქვეყნებულს თავის „საწადელ სამოთხეში“ (ჩრდის 8444ს, 4. თ. 11 125  
განმარტავს: „ՏԱԼԻԹԱՅ, ՈՐ ԱՂՋԻԿ ԹԱՐԴՄԱՆԻ“ ტალითა ქალად გადმოითარება—)  
ნებაო.

շետքուղո \* (22,5), Տէարև., Թաթասակլուսո.

շորմանթալո (25,4), Տէարև., յ. շորմանուճ (Տէարևստի) Թուրանուլո թալո.

շածուղո (22,5; 27,5), Օրած., տանեմոծա.

շացնո || շցցնո \* (3,2), տառհ., Թաձո, Եան.

շառաւատո (50,2) գամոնցցա, ցյոնոմուա.

շալամյարո (24,3; 25,5; 26,3; 30,1; 44,6; 58,2), Տէարև., Եղբադալ նայեացո աճությունո.

շորմոնո (26,4), Եղբ., Ցուռի, Եղուրի, Եղութօն, Սյմալո Rhus Coriaria L., Հյա. կոշենիլ (Ցուռ. Գամել, Օբ արատ- սկոյ կոշենիլ, — ԺՄՎԴ 1835 ր., չ. XVII, 1, յուլի, ստր. 192—217).

շամարո (25,4), Տէարև., Ցուցարյ; Թամո-շամարո—„Թից դա Ցուցարյ“.

շանձո \* (12,5; 17,2; 18,2; 19,1; 24,2; 44,3), Օրած., տացունյարո, րաֆինադ.

շարոծո (4,1; 5,4; 11,5+), Ցուռո; Շպիտ, Շպիտություն Թյուունո.

շարամցուլո (26,4; 39,2), Եղբ., Կարուուցուլո, Թոխազո, Կա- ցուուլոս aromaticus L., Հյա. գվոզдика.

շասուծալ \* (27,2) Ժալցությունոտ.

շացածա || շացածա (9,1), Եղբ., Ցալու.

շուղո (8,3; 34,3; 47,2), Օրած.-Տէարև., Թոնա, Կմա, Թսակլուրո.

շումաթո (16,2; 25,1; 44,9; 5,1), Օրած., Լարո, Ծամես նայեացո.

շութո (32,2) „Եցանութիւն Ցուռութո, Թևացոս ցըրութիւնս, Թոմուրո ցըրոն- ցուլո“ (Ցուռուց, 231).

շառո (15,3), Օրած., Լոյժեսո.

շամամո (41,1; 15,5) Եյսցուս Տաեցա, Տաբարա դա Թուցությունո; „Ժակումնո, Եղիշելա, Սուրելուցանո Քարարա Եյսցո“ (Թնատոն 1933 № 5, ցը. 187).

շամե (25,4), Օրած.-Տէարև., Թից; Շամե-շամարո—„Թից դա Ցուցարյ“.

շանտո (60,3), Տոմե, Ցածուրեծուլո Հյունա.

շարձածո (38,2; 40,1; 52,4; 51,2), Տէարև., Ցուռություն կամ կամաց աճություն (Աճցերդ, 134).

շարձատո (14,4; 17,2; 38,4), Օրած., Ծիգուլո Տասմելո, Վայոնո, Տո- րունո.



შახათაი (23,1,5) სიმღერის ჰანგია, მოტივი.

შაჲანდაზი (9,4) მეფის მსვლელობა, სამეფო სვლა.

შაჲზალე (33,2) მეფის წული.

შაჲი (5,5; 14,5; 41,4; 44,23,24; 45,3; 49,2; 50,4), სპარს., მეფე, სპარსეთის მეფე, აქედან: შირვან-შაჲი შირვანის შაჲი, ქართ. შარვანშა; შაჲინშაჲ, მეფეთა-მეფე, ქართ. შან-შა || შანშე.

შვილ-ათი (41,5) სამოცდაათი.

შიმშიტი (36,2; 48,2), მცენ., ბზა, ბზაყალი, შიმშა, *Buxus sempervirens* L., შდრ. რუს. самшит.

შირმა (1,2), სპარს., სპილოს ძვალი.

ჩანგი (44,10), სპარს., სიმებიანი საკრავი,

ჩაფარი (14,3) ლობე.

ჩახმახი (49,4), თურქ., მოკვესილი, თოფის საკვესი.

ჩინარი (14,2; 18,2; 30,4), სპარს., მცენ., ჭანდარი, *Platanus orientalis* L., ჩинар.

ჩირალი (9,3) ჭრაქი, სანთელი; აქედან: ჩირალდანი ილუმინაცია.

ჩონგური (35,3), სპარს., მომცრო საზი.

ჭრაქი (17,4), სპარს., ბაზმაქი, სანათი.

ჭათაბანდი (38,5; 44,7), სპარს., ღოხოკონი, გრავიურა (შდრ. ხაბა თრბელიანის მოგზაურობა ევროპაში, — „ცისკარი“ 1842 წ.

№1, გვ. 5—6; №3, გვ. 37); წარმოებულია ისევე, როგორც შუშაბანდი, ხინაბანდი.

ხალათი (26,3; 38,1), არაბ.-სპარს., საპატიო სამოსელი, ტანთსაც-მელი-საჩუქარი.

ხალვათი (59,2), არაბ., ფართო, თავისუფალი.

ხალი (30,2; 33,4; 35,1; 37,2; 41,5), არაბ., „ტანზედ ან პირზედ შავი ფოლაქი, ვითარცა ქალმახის წინწერალი“ (ჩუბ., 1720).

ხამი (25,1) ბამბის ტლანქი ნაქსოვი.

ხანი (11,5; 22,5; 27,5; 31,4; 44,2,3; 49,2), თურქ., ყაენი, შაჲი.

ხარა (16,1), თურქ., აბრეშუმის ნაქსოვი.

ხასა || ხასი (12,2; 36,3; 42,5; 48,2), არაბ., წმიდა, შეურევნელი; წარჩინებული, დიდებული.

ხემი\* (1,3) ქამანა, ხაი.

ხონთქარი || ხვანთქარი (28,5), სპარს., სისხლის საქმეთა ბატონი,  
 სულთანი.

ხრამი (31,2) ღრმა ხევი.

ჯადო, სპარს., გრძნეულება, მანქანება; აქედან: ჯადოქარი (12,6;  
 44,6,7) მომხიბლავი, გრძნეული.

ჯავაირი (1,2; 16,3; 18,2; 21,3; 24,1; 25,1; 44,19; 48,1; 55,2),  
 სპარს., მარგალიტის თვალი.

ჯაზა (43,1,3) დასჯა.

ჯალათი (38,1; 44,3), არაბ.-სპარს., გამცემი, მტარვალი; აქედან:  
 ჯალათობა (24,5) მტარვალობა.

ჯამება (44,8) შეჯამება.

ჯანჯაფილი (39,2), იხ. ზანჯაფილი.

ჯეირანი || ჯერანი (11,2,3; 16,1,2; 18,4; 28,4; 42,1,2; 48,4), ოურქ.,  
 ქურუკი, გარეთხა.

ჯიგარ (29,1), სპარს., ღვიძლი.

ჯიღა (48,4), სპარს., საბათი: „ღიღებული თავ-სარჭობი“ (469),  
 ჩუბინაშვილით: „ხოირი, მარგალიტით მოოქვილი ფრთა,  
 დასარჭობი თავზედა ან თავსახურავთა ზედა“ (1772).

ჯინჯილ-ლაშა (44, სათ., 24), სპარს., ჯაჭვისებური; იგივეა: ბარი-  
 თაური—ტალღისებური, ე. ი. გაღაბმული.

ჟასასი (12,3; 26,5; 53,4) დარაჯი; აქედან: ჟასასობა (53,2,3)  
 დარაჯობა.

## საიათოოვას ლექსიტა P. S.-ებში მოხსენებული ჰანგები

- ბაიათი 11, 45.
- ბარითავრი || ბარითაური 44.
- დიბი || დიბაუ იენგიდუნია || დიბაუ უიენგი დუნია 4, 13, 14, 21, 25, 35, 38, 41.
- დედანი 23, 29.
- დოსტია 9, 30.
- დუბეითი 6.
- ვარსალი 12.
- ვალები 12.
- თარიფანური 18.
- თასლიბი 10, 15, 24, 33, 40, 42, 45, 46.
- თეჯნისი 53.
- იარანა 7, 27, 44.
- მუსადასი 4.
- მუსტაზათი 51.
- მუხალათი || მუხალიფი 15, 40.
- მუხამბაზი || მუხაბაზი || მუხამაზი || მუხამსი 1, 5, 8, 11, 17, 21, 26, 34, 35, 37, 41, 48, 50.
- რაზიანი 2.
- რუბაი 45.
- საჯაპ 15.
- უჩლამა 3.
- ყაზალი 19.
- ყარაპეჯა 51, 54
- ყაფია 7, 16, 27, 31, 33.
- შირვანი 20.
- ცა გრიელი 49.

## საქუთარ (გეოგრაფიულ და პირთა) და ეთნოგრა სახელთა საძირგელი

აბაში (8,5; 25,1; 38,1) აბისინია, ეთიოპია.

აბელი (46,3) აბელ[-კაენი].

არაბეთი (8,5; 38,1; 39,4).

არაბი (37,2).

არაზი || არეზი (9,3) მდ. რაჭისი, არაქსი.

არუთინა (59,3).

ატრონის [ტრაპეზი] (58,3).

ბალიშხანი (18,2) ქალაქია სპარსეთში.

დალისტანი (39,4).

ეჭიდი (6,3; 27,2).

ზაალი (8,1; 31,4; 48,1; 50,2), იხ. როსტომ-ზაალი.

ზულლარა (21,3; 48,3), იხ. სკანდარ-ზულლარა.

ინდოეთი ჩ(8,5; 19,3; 25,5; 26,2; 38,1; 39,2,4; 48,1; 58,2).

ინდოთ [მხარე] (30,3).

კაენი (46,3) კაენი [აბელ-].

ლეილა (24,1; 40,4; 42,4).

ლეილ-მეჯლუმი (12,1).

ლოხმანი ექიმი (4,4; 12,2).

მეჯლუმი (24,1; 36,1; 40,4; 42,4).

მოღნი სოფელია ეჯმიაწინის ახლოს; აქედან: მოღნის წმ. გომრგის  
ექლესია ანუ მოღნინი ტფილისში (58,1).

როსტომ-ზაალი (8,2; 31,4; 48,1; 50,2).

სადათნოვა (ყოველი ლექსის უკანასკნელ ტაქტი).

საფრანგეთი (16,1; 19,5; 26,2; 29,4).

სკანდარ-ზულდარა (21,3; 48,3) ისკანდერ ზიულდარნეი ანუ ალექ-  
სანდრე მაკედონელი.

სოლომონ ბრძენი (21,4).

ურნა || ურნიელი (37,4) ურნა იობისელი.

ურუმელი (39,4) ბიზანტია.

ფარსი სპარსი; აქედან: ფარსული (26,4) სპარსული.

ფაშლავ-დევი (43,1).

ფაშრადი (20,8; 47,3; 50,3; 51,1).

ფრანგი (18,2; 24,3; 30,3; 45,3).

ქალათი (38,1) ქალაქია სპარსეთში.

ქირმანი (25,4) პროვინცია „

ყირიმი (39,4).

შაჰაბასი (50,4).

შაჰსანამი (5,4) იმ ქალის სახელია, რომელზედაც, თქმულების-  
თანახმიაღ, შეყვარებული იყო აშიუ-ყარიბი.

შირაჟი (38,4; 50,3).

შირინი (20,8; 47,3; 50,3; 51,1).

ჩინმაჩინი (26,3) ჩინეთი.

ხორასანი (38,1).

ხოსრო შაჰი (21,2).

## შირვანისი

წინასიტყვაობა . . . . .	5—12
<b>შირვანი</b>	
საიათოვას შემოქმედების ლიტერატურულ-ხალხური წყაროები 15—34	
<b>ლექსთა კრებული</b>	
1. ყოველ საზში ნაქები ხარ . . . . .	37—38
2. შენი წონის მარგალიტი . . . . .	39
3. მოდი ახლო, ყური მიგდე . . . . .	40
4. როგორც ყარიბი ბულბული . . . . .	41
5. სიტყვას გეტბვი ვედრებითა . . . . .	42
6. როგორც ლეილი მეჯლუმსა . . . . .	43
7. რალათ მინდა უშენოდა უბნება . . . . .	44
8. შენ იმ თავით ხომ ბრძენი ხარ . . . . .	45
9. მე ყარიბი ბულბული ვარ . . . . .	46
10. ე, ბულბულო, სიღან გვეცი . . . . .	47
11. სიტყვა შენი შემიტყია . . . . .	48—49
var.: [დამატება] . . . . .	50
12. ბევრი იტყვის: მე დაჭრილი არა ვარ . . . . .	51
13. მე და ჩემი საყვარელი . . . . .	52
14. მიტომ თვალი არ მიშრება . . . . .	53
15. რათ არ ამბობ: რათ სტიროდი . . . . .	54—55
16. მეტად ტქბილი ხმა გაქვს შენა . . . . .	56
17. ჩემი ტურფა რამ ვიხილე . . . . .	57
18. ქვეყანაზე ვერ ვიკვნესებ . . . . .	58
19. შემიყვარე, სახათოვა . . . . .	59
20. საიათოვა და მიჯნური [დიალოგი] . . . . .	60—62
21. ქვირფას ქვებით მოოჭვილი . . . . .	63
22. შენის ეშნით დაგსნეულდი . . . . .	64
23. ლამაზი ხარ, შახათაძი . . . . .	65
24. შენი ფასი მე არ ვიცი . . . . .	66
25. დედამიწა მოვიარე . . . . .	67
26. მსურს იმგვარად ვიდლეგრძელო . . . . .	68
27. შენ ხარ სწორედ ის სირინო . . . . .	69

28. ნეტავი ვინ გაწყენინა . . . . .	70
29. ჩემო ჯანო და ჯიგარო . . . . .	71
30. ენვიდუნია-დიბაცა . . . . .	72
31. სიყვარული რომ ცეცხლია . . . . .	73
32. მოდი, საამოდ გვემსახურე . . . . .	74—75
33. ბულბულივით სტირიხარ . . . . .	76—77
34. ქვეყანა სულ ფანჯარაა . . . . .	78
35. სახე კალმით დახატული . . . . .	79
36. შენის ეშიით ანთებულვარ . . . . .	80
37. ბედასლს უნდა ათქმევინო . . . . .	81
38. დავრჩი უიარაოოთა . . . . .	82
39. ნეტავი სთქვა, რა ხნისა ხარ . . . . .	83
40. თმები სიმი და შარბაბი . . . . .	84
41. ტურფავ, არვინ გაზიანის . . . . .	85
42. სანამდე რომ მე ჯანი ვარ . . . . .	86—87
43. შენთან მჯდომას მუდამ ათრობ . . . . .	88
44. [ჯინჯილ-ლამა]. ყური უგდე ჯინჯილ-ლამას . . . . .	89—93
45. მე ვუწოდებ ლალანისა . . . . .	94—95
46. წყალი მასევი ჯამითა . . . . .	96
47. შენ თვალ-წარბი რომ შევიკრავს . . . . .	97
48. ინდოეთით მოტანილო . . . . .	98
49. სიყვარული მისაჩუქრე . . . . .	99
50. ბულბულს მოესმა ამბავი . . . . .	100—101
51. ფაპრად მოკვდა, შირინმა სთქვა . . . . .	102—103
52. [ალიფ-ლამა ანუ ანბანთ-ქება] . . . . .	104
53. დას-და-დასით შევისწავლე ან-ბანი . . . . .	105
54. ეშიის სახმილს მე შევედი . . . . .	106
55. მეფე ხარ, გამასამართლე . . . . .	107
56. [მწყემსი და მგელი] . . . . .	108
57. [მახოხი და ცხვრის ხორცი] . . . . .	109
58. [მოლნინი] . . . . .	110
59. რამდენიც კი შენ შეგხედე . . . . .	111
60. თმები გიგაეს დასტა-რეპანს . . . . .	112
<b>ლექსიკონ-საძიებელი</b>	
ლექსიკონი . . . . .	115—125
საიათნოვას ლექსთა p. s.-ებში ნოხსენებული ჰანგები . . .	126
საკუთარ (გეოგრაფიულ და პირთა) და ეთნოურ სახელთა საძიებელი . . . . .	127—128

## “පොත්තෙවල පූර්වීත්තුනුවල තෝරුණාතා ගැස්තුරුවා

ස්‍රී.	ස්‍රී.	දාඩේපිලිලියා	ඉනදෑ තුළු
33	4 ජ්‍යෙෂ්ඨාන	Voyge	Voyage
60	3 තුළුගාන	දිවාලුගා	දිවාලුගා
104	8 ජ්‍යෙෂ්ඨාන	දාඇ	දාඇ



ՀԱՅՈՅԻ  
ՑՈՒՑԱԿԱՐԱՅԻ

САЯТНОВА

Армянские стихи

с предисловием, комментариями и словарем

Проф. Л. Меликет-бека

Издательство Государственного Университета

Тифлис 1935